

4



日月之精氣，皆失其常度，則國危。故曰：「失其常度者，必敗。」

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახალხომის
კომიტეტი



საქართველოს სსრ ბუნების დაცვის რესპუბლიკური
საზოგადოება

თამაზ კიკეაძე

მღვიმები ღა კაცობრიობა



გამოიცემულია „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1979

ნაშრომი ეხება საქართველოში ამ ბოლო
 დროს აღმოჩენილ მღვიმეებს, შათა, როგორც
 ბუნების უნიკალური ძეგლების, დაცვის საჭი-
 რებს. მოტანილია საინტერესო მონაცემები
 მსოფლიოში და საბჭოთა კავშირში არსებული
 მღვიმეების შესახებ.

ს ა რ ე დ ა ქ ი ც ი თ კ ა ლ ე ბ ი ა :

1. ურუშაპი (მთავარი რედაქტორი),
2. კეცხოველი, 3. გულისავილი,
3. სულაბეჭიძეპი, დ. ნაბანი

ნახატი გარეკანზე ლ. გუდიაშვილისა

სპელეოლოგია — მღვიმეთა მცირეობა

„ბუნებას ყველაფერი შეუძლია და ყველაფერს აკეთებს“.

მონტენი

ტერმინი სპელეოლოგია პირველად 1890 წელს იხმარა ფრანგმა არქეოლოგმა ემილ რივერმა. ამისათვის მან გამოიყენა ბერძნული სიტყვა „სპელა-იონი“ — მღვიმე. მღვიმეთმცოდნეობის მამამთავრად კი ითვლება აგრეთვე ფრანგი მეცნიერი დიდუარდ ალფრედ მარტელი, რომელმაც მსოფლიოს მრავალი მღვიმე, მათ შორის საქართველოს ნღვიმეებიც კი შეისწავლა. მასვე ეკუთვნის სპე-ლეოლოგიის ძირითადი საფუძვლების ჩამოყალიბე-ბა, რომლებსაც 70 წლის მანძილზე მნიშვნელოვა-ს დაუკარგავთ. ტერმინებს „სტალაქტიტი“ და „სტალაგმიტი“ გაცილებით ხანგრძლივი ისტორია ექვს. ეს ტერმინები შემოიღო დანიელმა ბუნების-მეტყველმა ოლაო ვორმა 1655 წელს.

სპელეოლოგიის განხილვა არ შეიძლება კარს-ტოლოგიის გარეშე, რომელიც შეისწავლის ხსნად ქანებში მიმდინარე პროცესებს და ამ პროცესების

შედეგად გაჩენილ ფორმებს, მათ შორის მღვიმეები საც. „კრას“ სახელია კირქვებით აგებული პლატფორმაზე რომელიც დინარის მთებში, იუგოსლავია-იტალიის საზღვარზე მდებარეობს. ამ პლატოზე უძრავი წყვარამი, ბუნებრივი ჭა, შახტი და მღვიმეა. ეს რაიონი 1918 წლამდე შედიოდა ავსტრიის იმპერიაში და გერმანული ენის გაელენით სახელწოდება „კრასი“ დამახინჯდა და შეიცვალა „კარსტად“. 1945 წლამდე პლატო „კრასი“ უკვე იტალიის გამგებლობაში იყო და იწოდებოდა „კარსოდ“, შემდეგ „კარსტი“ იქცა დინარის მთებში განვითარებული ფორმებისა და მათი წარმომშობი პროცესების აღმნიშვნელ ტერმინად. დღეს იგი იხმარება ბსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც. იუგოსლავიაში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ხმარობენ „კრასს“, ხოლო იტალიაში, ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში — „კარსოს“.

კარსტული პროცესი რთული გეოქიმიური პროცესია. მის განვითარებაში მონაწილეობს მრავალი ბუნებრივი ფაქტორი, რომელთაგან ოთხი უმთავრესია. კარსტის განსავითარებლად აუცილებლად უნდა არსებობდეს ე.წ. ხსნადი ქანი, იგი წყალგამტარი უნდა იყოს, წყალი უნდა მოძრაობდეს და უნდა გააჩნდეს გახსნის უნარი. ამ ოთხი ძირითადი პირობის გარდა შეიძლება დავასახელოთ ქანების მინერალოგიური და ქიმიური შედგენილობა, ატმოსფერული ნალექების ხასიათი, მათი რაოდენობა, ქანების ნაპრალიანობა და ფორიანობა, ცალკეული



შრეების განლაგება, დაქანება, ნიადაგური და მცურავი
ნარეული საფარის არსებობა და სხვა მრავალი მართვების

წყალში ხსნადი, ანუ კარსტევადი ქანებია: თაბა-
შირი, ანჭიდრიდი, ქვამარილი, კირქვა, დოლომიტი
და მათი ნაირსახეობანი. ცნოაილი საბჭოთა კარს-
ტოლოგის, პროფ. გ. მაქსიმოვიჩის გამოთველით
წყალში ხსნადი ქანები რიცხვიდან ქვამარილს და
ამ ტიპის სხვა მარილებს უკავია დედამიწის ფარ-
თობის 4 მლნ. კმ², თაბაშირს და ანჭიდრიდს —
7 მლნ. კმ², კირქვებს და დოლომიტებს — 40 მლნ.
კმ². როგორც ვხედავთ, სულ შეადგენს 51 მლნ.
კმ²-ს, ეს კი დედას წის მთელი ფართობის (149
მლნ. კმ²) 34,2 პროცენტია, ე. ი. მესამედზე მეტი.
ამიტომაა, რომ კარსტული პროცესების შესწავლას
დიდი ყურადღება მუცევა, განსაკუთრებით იმ ქვეყ-
ნებში, სადაც ასეთი ხსნადი ქანებია განვითარე-
ბული.

დავუძრუნდეთ სპელეოლოგიას, რომელიც, რო-
გორც ვთქვით, კარსტოლოგიის შემადგენელი ნაწი-
ლია და ზოგ შემთხვევაში დამოუკიდებელ მეცნიე-
რებთაც წარმოგვიდგება. მღვიმეებს შეისწავლიან
გეოლოგები, გეოგრაფები, არქეოლოგები, ბიოლო-
გები, პალეონტოლოგები და სხვ.

გეოლოგებისა და გეომორფოლოგებისათვის,
რომლებსაც აირტერესებთ დედამიწის ზედა ფენე-
ბის აგებულება, მათში მიმდინარე პროცესები,
მღვიმე წარმოადგენს მრავალი პრობლემის გასა-
ოებს. ესაა მღვიმეთა განვითარება, ეკოლუცია, მათ-
ში წყლების მოძრაობა, ქანების ხსნადობა, ქიმიზმი,



შლვიმური კრისტალებისა და ათასნაირი იერებრიზებული
მქონე სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების, შეღუძის მის სხვა დანალექი ფორმების წარმოშობა და სხვ.
მღვიმე ისეთი ბუნებრივი ლაბორატორია, სადაც
მეცნიერს თვალნათლივ შეუძლია ნახოს იმ გეოლო-
გიური, გეომორფოლოგიური თუ პიდროვეოლოგი-
ური პროცესების მიმდინარეობა, რომლებსაც გე-
ოლოგიურ წარსულში ჰქონდათ აღგილი დედამიწა-
ზე და მათი შესწავლის საფუძველზე შესაძლებლო-
ბა ეძლევათ უფრო მეტი სიზუსტით იმსჯელონ
გარდასულ პროცესებზე.

ბიოლოგები, ანუ ბიოსპელეოლოგები შეისწავ-
ლიან მღვიმეთა ფაუნასა და ფლორას. ბიოსპელეო-
ლოგია ცოცხალი სამყაროს განვითარების თუ დეგ-
რაცირების მრავალ მხარეს ჰქონდა შუქს. აქაა ორგა-
ნიზმების ადაპტაცია მღვიმურ გარემოსთან, სადაც
მარადიული სიბნელეა. მღვიმეში მცხოვრებ ცხოვე-
ლებს ჩედულირებული აქვთ მხედველობა და და-
კარგული პიგმენტაცია, აქაური მცენარეებივით
უფერულნი არიან, რადგან ქლოროფილის წარმომ-
შობი სინათლის სხივები აქ ვერ აღწევენ. მღვიმური
ფაუნის შესწავლამ საბოლოოდ გაფანტა ეჭვები
ჩარლზ დარვინის მოძღვრების ირგვლივ ბუნებრივი
შერჩევის პროცესებზე. ბიოსპელეოლოგები გამო-
ჰყოფენ ცხოველური სამყაროს მრავალ ენდემურ
სახეობას, ანუ ისეთს, რომლებიც მხრალოდ მღვი-
მეებში. ბინადრობენ. დეტალურად შეისწავლიან ამ
ცხოველთა სასიცოცხლო ციკლებს, გარემოსთან შე-
უების პირობებს ისევე, როგორც ლამურებისა და

სხვა ცხოველთა ცხოვრების პირობებს, რომ უეჭყოფა
რუდმინად ან ცხოვრობენ მღვიმეებში. მღვიმეების გადა
სიცოცხლის ზოგიერთ უნიკალურ ფორმას, როგო-
რიცაა მღვიმური ბაქტერიები, მკვლევარები იყენე-
ბენ ანტიბიოტიკების ახალ წყაროდ. არსებობს ე. წ.
გოგირდოვანი ბაქტერიებიც, რომლებიც იძლევან
„ბ“ ჯგუფის ვიტამინებს, რაც მომავალი შესწავლას
საგანს შეადგენს.

მღვიმური მიკროფლორის ყველა სახეობა რო-
დია ადამიანისთვის სასარგებლო. მღვიმეებში არის
პათოგენური ბაქტერიებიც. ერთ-ერთი მათგანია
ჰისტოპლაზმუს კაპსულატუმი, რომელიც იწვევს
განუკურნებელ დაავადებას. მისი სიმპტომებია ანე-
მია, ციებ-ცხელება, ხველება, სიმძიმის შეგრძნება
ჯულის არეში. ეს ბაქტერიები ღამურის ან სხეა
ფრინველების გუანოშია, დღეს ამ ავადმყოფობის
სამკურნალოდ გამოიყენება ამპოტექსიცინი.

კარსტულ მღვიმეებთან მჭიდრო კავშირშია არ-
ქეოლოგია. ადამიანმა თავიდანვე დაუკავშირა თა-
ვისი ბედი მღვიმეს, რომელიც მის ბუნებრივ თავ-
შესაფრად და საცხოვრებლად იქცა.

მღვიმეში ნაპოვნი პირველყოფილი ადამიანის
ჩონჩხები და ცალკეული ძვლები, მისი ცხოვრებისა
და საქმიანობის მატერიალური ნაშთები ნათელს
ჰქონს არა მარტო ჩვენი შორეული წინაპრის იერს,
აგებულებას, მისი ცხოვრების წესებს, არამედ სამ-
ზეოზე გამოაქვს კაცობრიობის აღრინდელი ისტო-
რიის მრავალი საინტერესო ფურცელი, რაზეც სპე-
ციალურ თავში გვექნება საუბარი.

მღვიმეებში მოპოვებული ცხოველთა ძვლების დიდ ინტერესს იწვევს პალეონტოლოგებში. ჰქონდა მღვიმეებში არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნი ძვლები ეკუთვნის გადაშენებულ ცხოველებს, ან ისეთებს, რომლებიც დიდი ხანია მღვიმის რაიონში აღარ ცხოვრობენ. მაგალითად, მღვიმური დათვი, დომბა, მარტორქა, მამონტი და სხვა მრავალი.

ცალკე შესწავლის საგანს შეადგენს მღვიმური ხელოვნება. მღვიმეთა ჭერსა და კედლებზე აღმოჩენილია მხატვრობა, ნაპოვნია ქანდაკებები, სხვა გაკეთობანი, რომლებსაც ხელოვნებათმცოდნები შეისწავლან. პირველყოფილ ხელოვნებაზეც სპეციალურ თავში გვექნება საუბარი.

ამჟამად მღვიმეებს თავისი მიზნებისთვის იყენებენ ისეთი მეცნიერებანიც, რომლებსაც ერთის შეხედვით არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ მათთან. ჩამოვთვალოთ ზოგი მათგანი:

კოსმონავტიკა — მღვიმეებში ხანგრძლვად, ნებაყოფლობით ათავსებს აღამიანს, რათა შეისწავლოს ჩვეული ბუნებრივი პირობებიდან და გარემოდან იზოლირებული აღამიანის ბიოლოგიური ქრიობის რითმების ცვალებადობა.

ოკეანოსლოგია — პოულობს ბევრ მსგავსებას ოკეანის დიდ სიღრმეებში მცხოვრებ ორგანიზმებისა და მღვიმური ცხოველების აგებულებაში.

ფიზიკოსები იყენებენ მღვიმეებს კოსმოსური გამოსხივების ცალკეული კომპონენტების აღმნუსხავი ხელსაწყოების მოსათავსებლად.



მე დიცინა — ფართოდ გამოიყენებს უძუჭიშროება
შეებს ასთმისა და ალერგიის სამკურნალო სანატო-
რიუმებად. დიდი გამოყენება აქვს აგრეთვე მღვი-
მეებში მოპოვებულ მუმიებს, მრავალი ავადმყო-
ფობის უებაზ წამალს.

ამ უბრალო ჩამოთვლიდანაც კი ნათლად ჩანს,
თუ რა დიდი გამოყენება აქვს მღვიმეებს, რომ ალა-
რაფერი ვთქვათ მათ კეთილმოწყობაზე ტურისტთა
გრავალრიცხოვანი არმიისათვის.



„ბუნების რა სასწაულია ადამიანი
რა კეთილშობილია გონებითი“

შეკვეთი

კარსტული მღვიმეები (და არა მარტო კარსტული, ყველა ბუნებრივი) ბუნების ძეგლებია. მაგრამ ეშირ შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ ისტორიულ, არქეოლოგიურ, ხელოვნების ძეგლებსაც. არცთუ ისე იშვიათად, როდესაც ძეგლთა დაცვაზე შიდგება ხოლმე საკითხი, ცალკე, ერთმანეთისვან განმხოლოებით განიხილავენ, ერთი მხრივ, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ძეგლებს, მეორე მხრივ — ბუნების ძეგლებს. ეს დიდი შეცდომაა. აქ პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს მღვიმეები, რომლებიც შეიცავენ პირველყოფილი ადამიანის ნაშთებსა და მისი ცხოვრების, განვითარების ატრიბუტებს, ხელოვნების ნიმუშებს, ადრეული და შუა საუკუნეების ადამიანთა ცხოვრების კვალს, წარწერებს, კერამიკას, ეკლესიებს და სხვა მრავალს. ამ შემთხვევაში საზღვრის გავლება და განმხოლოება ბუნებისა და ისტორიის ძეგლებს შორის უაზრობაა. ძეგლი ფართო გაგებით არის ქვეყნის, ხალხის ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით ძეგლებს ყოფენ ოთხ ძირითად კატეგორიად: არქეოლოგიურ, ისტორიის, არქიტექტურისა და მონუმენტალური ხელოვნების კატეგორიებად.



ძეგლებს მიაკუთვნებენ აგრეთვე დამწერლობის კულტურული პერიოდის მუშაობებს, რომლებსაც აქვთ ისტორიულ-შემეცნება — თი ან ისტორიულ-მხატვრული ღირებულება. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა ზოგადსახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა და წარმოადგენს იდეოლოგიური აღმზრდელობის არსებით შემადგენელ ნაწილს (იხ. BCZ, ტ. 19, გვ. 130).

რა არის ბუნების ძეგლი? მიემართოთ ისევ ენციკლოპედიას: „ბუნების ძეგლები, ბუნების ცალკეული ობიექტები, რომლებიც დაცულია ან იმსახურებენ დაცვას თავისი მეცნიერული, სასწავლო განმანათლებლური, ისტორიულ-მემორიალური ან კულტურულ-ესთეტიკური“ მნიშვნელობით (მაკ.: ჩანჩქერი, მლვიმე, ლამაზი კლდე, ვულკანური ან მეტეორიტული კრატერი, უნიკალური გეოლოგიურა გაშიშვლება, იშვიათი, ან ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო ხე და ა. შ.).“

იმის დასადასტურებლად, რომ მლვიმე პარტო ბუნების ძეგლი არ არის, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

კარსტულ მლვიმეებში აღმოჩენილია პირველყოფილი ადამიანის ხელოვნების ნიმუშები (მხატვრაბა, ქანდაკებები და სხვ.); მლვიმეებშივეა ნაპოვნი ჩვენი შორეული წინაპრის ჩონჩხები, მისი ცხოვრების ნაშთები. აი, რას წერს გამოჩენილი ფრანკი სპელეოლოგი ნორბერ კასტერე: „იურული და ცარცული ასაკის კირქვებით აგებულ ამ ნაოჭა მთების (იგულისხმება ცენტრალური პირენეების წინა ქედები — თ. კ.) მლვიმეები ათასეული წლების მან-



ძილზე მეტწილად ისტორიულამდელი აღმართებას გაცხოვრისს წარმოადგენდნენ. ამ ნამდვილში უყვავალეოლოგიურ და ისტორიულამდელ სამოთხეში გაიშალა თითქმის მთლიანად ჩვენი მუშაობა. სწორედ იქაა მარტელისა და პენ მორტის გიგანტური უფსკრულები, იდუმალი მიწისქვეშა მდინარეები, მრავალრიცხოვანი ვეებერთელა მღვიმეები, რომელთაგან ბევრს არქეოლოგიის ანალებში სახელგანთქმული სახელები ჰქვაათ.

იქაა ორიანიაკის მღვიმე, რომელმაც სახელწოდება მისცა ისტორიულამდელ ეპოქას (ორიანიაკული); მარსულა, სადაც 1897 წელს პირინეებში პირველად იქნა აღმოჩენილი ისტორიულამდელი კედლის მხატვრობა; ტურრასი, რომელიც ერთ დროს იყო მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ეპოქის ეპონიმი (მოგვიანებით ამ ეპოქას უწოდეს აზილური, მეზობლად მდებარე სახელგანთქმულ მას დაზილის შევებულები); ტუკ დ'ოდუბერის მღვიმე, რომელშიც არის მაღლენური სკულპტურის შედევრები: 1912 წელს გრაფ ბეგუენისა და მისი სამი შვილის მიერ აღმოჩენილ თიხის დომბები; ტრუა ფრერის (სამი ძმის — თ. ქ.) მღვიმე თავისი სამი ასეული ისტორიულამდელი ნახატით, მათ შორის ცნობილი მოცეკვავე ჭადოქარი ნილბით — ბეგუენების ოჯახის კიდევ ერთი შესანიშნავი მონაპოვარი; გურდანის და ლორტეს მღვიმეები, ცნობილი ედუარდ პიეტის გათხრებით; გარგასი, დაძახინ-კებული ხელების სამი ასეული აღნაბეჭდით; მონტესპანი და მისი უთავო დათვი; ლაპასტიდი, სადაც



ნაპოვნი იყო ქვაზე ამოკვეთილი ცხენები და მუჭათა რიალური ლომის თავი“.

ბულგარელი სპელეოლოგი პეტრე ტრანტევი აღწერს მაგურას მღვიმეს ბულგარეთში, რომელ-
შიც აღმოაჩინეს პირველყოფილი ადამიანის სამარ-
ხები, კედლის მხატვრობა, შრომისა და ნადირობის
ქვის იარაღები, მღვიმური დათვის ძელები და სხვ.

პირველყოფილი ადამიანის ძელები, მისი ცხოვ-
რების ატრიბუტები მსოფლიოს მრავალ მღვიმეშია
აღმოჩენილი, მათ შორის საქართველოს ბევრ მღვი-
მეშიც.

რა მისცა მღვიმემ არქეოლოგიას? თამამად შეი-
ძლება ითქვას, რომ მღვიმე ადამიანის გონების გან-
ვითარების აკვანია. სწორედ მღვიმეთა მარადიული
სიბნელით მოცული გარემოს შესწავლის საფუ-
ძველზე ჩამოყალიბდა თანამედროვე შეხედულე-
ბანი პირველყოფილი ადამიანის განვითარების, მი-
სი კულტურის შესახებ. მსოფლიო არქეოლოგიის
ძირითადი, საკვანძო ფურცლები სწორედ მღვიმეთა
გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის შესწავ-
ლის საფუძველზეა დაწერილი. ძირითადად სწორედ
ეღვიმეებშია მიკვლეული პირველყოფილი ადამია-
ნის ჩონჩხები, მისი ცხოვრების თანამდევი ატრიბუ-
ტები. ამჟამად ფიქრობენ, რომ ადამიანი წარმოი-
შვა აფრიკის კონტინენტზე. ამ ადამიანს, რომლის
ძვლები ბეჩუანალენდში (ახლანდელი ბოკვანა),
ტონგის მახლობლად მდებარე კირქვულ მღვიმეში
აღმოაჩინეს, ავსტრალიპითეკუს აფრიკანუსის სა-
ხელითაა ცნობილი. ეს სახეობა ჯერ კიდევ არ იყო

ჩამოყალიბებული ადამიანად, მაგრამ უკვე ხმარობდა ქვებისა და ძვლების ძალზედ პრიმიტიურია მარცვა რაღებს. მსგავსი ნაშთები, რომელიც ეკუთვნის ესტრალოპითეკუს რობუსტუსს, აღმოჩენილია ტრანსვაალში, მღვიმურ სადგომში მაკაპან ლაიმვორქის მახლობლად. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ რობუსტუსი ამ მღვიმეს იყენებდა ექსტენსიურად, საკვების შესანახადაც და საცხოვრებლადაც. რობუსტუსის ძვლები არეული იყო ცხოველთა ძვლებში. ამ უკანასკნელთა ფეხის ძვლები დამსხვრეული აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რობუსტუსი ამსხვრევდა მათ ძვლის ტვინის ამოსალებად.

ჩინეთში, პაიპინგის მახლობლად ჭოუკოუტიანგის მღვიმეში აღმოაჩინეს დღეს პითეკანთროპუს პეკინიენსის სახელით ცნობილი ადამიანის განაშარებული ნაშთები. იგი ძალიან წააგავდა 1883 წელს ევგენი დიუბუს მიერ კუნძულ იავაზე აღმოჩენილ პითეკანთროპუს ერექტუსს, რომელიც თავისთავად შუალედური ადამიანი იყო ავსტრალოპითეკუსა და დღევანდელ ადამიანს — ჰომინ საფიენსს შორის.

გასული საუკუნე უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენების ხანა იყო. სწორედ ამ საუკუნის დასაწყისში წამოაყენა პირველად ფრანგმა ბუნებისმეტყველმა უან ლამარკმა დებულებები ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობის შესახებ. ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი ზემოთ ნახსენები პითეკანთროპი (1889 წ.), რომლის არსებობაც ერნსტ ჰეკელმა იწანასწარმეტყველა. სწორედ გასულ საუკუნეში დაი-

გრგვინა და საბოლოოდ შეურყია რელიგიას სამხრეთი კულტი ჩარვინის ბუნებრივი შერჩევის გეგმით ნონა. 1859 წლის შემდეგ, როდესაც დარვინის ხაშ-რომი გამოიცა, მეცნიერებმა გაიხსენეს სამი წლის წინ გერმანიაში, დუსელდორფთან, მდ. ნეანდერის ხეობის ერთ-ერთ მღვიმეში ნაპოვნი აღამიანის ჩონ-ჩი. იგი უკვე ახლოს იდგა თანამედროვე აღამიან-თან. მას მოესწორებინა მღვიმის იატაკი, მოეხატა კედლები. ესაა ნეანდერტალელი აღამიანი. სწორედ გასთანაა დაკავშირებული ხელოვნების საწყისები. პომო ნეანდერტალენსის ნაშთები და მისი ხელოვ-ნების ნიმუშები მრავლად არის წარმოდგენილი სამ-ხელით საფრანგეთის მღვიძეებში. ამ აღამიანშა თა-ვის უმაღლეს განვითარებას მიაღწია პლეისტოცენ-ში, დედამიწის დიდი გამყინვარების ეპოქაში, მავ-რამ უეცრად გადაშენდა 30 ათასი წლის წინ. ჯერ-ჯერობით აუხსნელია ნეანდერტალელი აღამიანის გადაშენების მიზეზები.

ნეანდერტალელი აღამიანი შეცვალა ე. წ. კრო-მა-ნიონელმა, რომელიც უკვე თანამედროვე აღამიანის ტიპს ეკუთვნის. მისი ჩონჩხები აღმოაჩინეს 1858 წელს საფრანგეთში, კრო-მანიონის მღვიმეში, ის-რაელში, კარმელის მთის მახლობლად მდებარე „ჩონჩხების მღვიმეში“, აგრეთვე ერაყში, ზაგროსის ჰითიანეთში, საღაც შანიღარის მღვიმეში ნახეს ჩონ-ჩხები, რომლებიც ეკუთვნოდათ ნეანდერტალელებისა და კრომანიონელთა ჰიბრიდებს. ქვემოთ მო-ცვანილ ტაბულაში მოცემულია ევროპის მღვიმეებ-ში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის განაწი-

ლება პერიოდების მიხედვით, ოომლებსაც ფასტიზაცია
დამახასიათებელი ნიშნები აქვს:

პერიოდი	ადამიანის გაძატონებუ- ლი სახეობა	შემოქმედების დამახასიათებე- ლი ნიშნები	ასაკი წევნის წელთაღრი- ცხეამდე
მუსტიე- რული	ნეანდერ- ტალული	პრიმიტიული იარაღები	150000—30000
ორინია- კული	კრო-მანიო- ნელი	ხელის ანაბე- ჭდები, ერთგვა- როვანი, ყავის- ფერი ნახატი ფიგურები	30000—20000
სტე- ტრეული	"	ორლესული ქვის დანები, პეტრო- გლიფები, კე- ლლის ქანდაკე- ბები	20000—15000
მაგდალე- ნური	"	პოლიქრომული მხატვრობა, რე- ლიეფური ფიგუ- რები, ამოკე- თილი მღვიმეთა კედლებზე და კერზე	15000—10000

მღვიმური არქეოლოგია ნათელს ჰქონის არა მარ-
ტო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებას, მის
ცერს, აგებულებას, არამედ სამზეოზე გამოიქვეს კა-
ცობრიობის ისტორიის ბევრი ისეთი ფურცელი,
რომელსაც მალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ნათქ-
ვამის დასაღასტურებლად ორიოდე მაგალითიც
ემარა.

1947 წელს იორდანიაში, უდაბურ ვადი-კუმრან-
ში, მკვდარი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო-



ე ტამირის ტომის ბედუინებმა ერთ-ერთ მღვიმე-
ში ნახეს ტყავის გრაგნილები. არქეოლოგთა ექსპერტთა
დიციებმა ამ რაიონის მღვიმეებში 40 ათასამდე ასე-
თი ხელნაწერთა ფრაგმენტი აღმოაჩინეს. გამოირკვა
რომ ეს იყო ძველი ებრაული ნაწერები და მოიცავ-
და ხანგრძლივ პერიოდს ძველი წელთაღრიცხვის VIII საუ-
კუნემდე. მათი უმრავლესობა წარმოადგენს ბიბ-
ლიოთეკის ნაშთებს, რომელიც ეკუთვნოდა ამ უდა-
ზნოში ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან
ჩვენი წელთაღრიცხვის 69 წლამდე მცხოვრებ იუ-
დეველთა სექტას. ხელნაწერთა გაშიფრვით დამ-
ტკიცდა, რომ ქრისტიანული მოძღვრების ნრავალ
იდეა ნასესხები იყო ქრისტემდე დიდი ხნით აღრე
მცხოვრებ ამ უსახელო სექტის სწავლებიდან.

ისრაელის მეცნიერთა ექსპედიციამ 1960—1961
წლებში მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ენ-
გადის სამხრეთით მდებარე მღვიმეში იპოვა მამა-
კაცთა, ქალების, ბავშვების 40 ჩონჩხი. მათი ნაწი-
ლი დასაფლავებული იყო, ნაწილი კი არა. აქვე ნა-
ხეს ტანსაცმლის ნაგლეჯები, ჭურჭელი, იარაღი,
ხელნაწერთა ფრაგმენტები. საფლავებში მიცვალე-
ბულთათვის ჩაუტანებიათ თიხის ფილები გარდა-
ცვლილთა სახელებით. ამ მღვიმეს არქეოლოგებმა
„საშინელებათა მღვიმე“ უწოდეს. გამოკვლევებით
დადგინდა შემდეგი: 132—135 წლებში იუდეველე-
ბი შიმონ ბარ-კოხბის მეთაურობით აჯანყებულან
რომაელთა წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთ სასტიკად
ჩაუხშეიათ ეს აჯანყება. დამარცხებულებს თავი

შეუფარებიათ მღვიმისათვის, რომელიც კლდის ძე
რიდან 300 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობდა, გრძელებულება
კი რომაელთა ჯარი დაბანაკებულა. აჯანყებულება
დანებებას სიკედილი ამჯობინეს. ისინი იხოცებოდ-
ნენ წყურვილისაგან. პირველ მიცვალებულებს მარ-
ხავდნენ, უკანასკნელთა დამმარხევი კი აღარავინ
ცყო. ასე აეხადა ფარდა სახალხო აჯანყების ერთ-
ერთ ისტორიულ ეპიზოდს, რომელიც აღმოჩენამდე
1826 წლით ადრე მოხდა.

საქართველოს მღვიმები ჯერ კიდევ არ არის
მთლიანად და დეტალურად შესწავლილი არქეოლო-
გიური თვალსაზრისით. ეჭვარეშეა, რომ ამ მღვიმე-
თა მარადიული სიბნელე ჩვენი შორეული თუ ახლო
წინაპრების ცხოვრების მრავალ უაღრესად საინ-
ტერენსო ფურცელს მაღავს. ამის საწინდარია ქაჩ-
ოველ არქეოლოგთა ფრიად საყურადღებო აღმოჩე-
ნები მღვიმეებში უკანასკნელი წლების მანძილზე.

მარტო 1958—1978 წლებში ქართველი არქეო-
ლოგების მიერ აღრიცხულია ორასზე მეტი მღვიმე,
ეხი და ფარდული, რომლებშიც ფიქსირებულია
შემსხვადასხვა ეპოქის გატერიალური კულტურის შემ-
ცველი ფენების არსებობა. განსაკუთრებით აღსანი-
ცველი შემსხვადას შემსახურების და ენგურის ხეობის ექს-
სავანია შავიზღვისპირეთის და ენგურის ხეობის ექს-
სავანე, „ამტყელის ფარდული“, „აფიანჩა“, „ოქუ-
ბის მღვიმე“, იმერეთში — „თეთრი მღვიმე“, „სა-
წურბლიას ეხი“, ცუცხვათის მღვიმური კომპლექსი,
„ჭახათის“, „სამგლე კლდის“, „საყავიას“, „ჭრუჭუ-
ლას“, სამხრეთ ოსეთში — „კუდაროს“ და „წონას“

და სხვა მრავალი. აქედან კულაროს, წონას, წოფხს,
ჯრუჭულას და ბრინჯაოს (ცუცხვათი) მღვიმე არა მარტო საქართვე-
ლოს, არამედ მთლიანად კავკასიისა და ახლო აღმო-
სავლეთის ძეგლი ქვისხანის შესწავლის თვალსაზ-
სით.

საყურადღებოა ქართველ არქეოლოგთა და პა-
ლეონტოლოგთა მიერ ჯრუჭულას, საკაეიის და ცუ-
ცხვათის ძლვიმეებში აღმოჩენილი და შესწავლილი
ქვის ხანის ადამიანის კბილები და ყბის ფრაგმენტი,
რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ალბათ და-
დგება დრო, როდესაც საქართველოს იდუმალებით
მოცულ მღვიმეებში ჩევნი შირეული წინაპრების
მთლიან ჩონჩხებსაც მიაკვლევენ.

მსოფლიოში პირველად საქართველოში გამოიყო
სპელეოლოგიის ცალკე დარგად სპელეისტიკა, რო-
მელიც შეისწავლის ჩევნი რესპუბლიკის უამრავ
კლდეში ნაკვეთ ძეგლებს: გამოქვაბულებს, გამო-
ქვაბულ-ქალაქებს, გამოქვაბულ-მონასტრებს, მათ
არქიტექტურას, ეპიგრაფიკას, კედლის მხატვ-
რობას. შესწავლილია გამოქვაბულები და გამოქვა-
ბულთა კომპლექსები: ბერთაყანა, ოლოდა, სარო,
ცელი ბნელა მუსხი, თეკნელა, რკონი, ვანის ქვაბე-
ბი და მრავალი სხვ. ბევრ მათგანში მოპოვებულია
სეთი დიდი მნიშვნელობის ძქონე მასალა, რომე-
ლიც ძველი ქართული კულტურის მთელ რიგ სა-
კითხებს ახლებურად აშუქებს და ბევრს ახალსაც
ამბობს.

ვოქვი, „რასა აქვს ქვეყნად ფასი,
რომ არ იყოს ხელოვნება!...
ხელოვნება — ეს ოქროა,
მიწის გულში დამატებული“.

გ ა ლ ა კ ტ ი თ ნ ი

ხელოვნება ადამიანის სულისა და მრწამსის მა-
ტერიალური გამოხატულებაა. ამიტომ იწვევს ჩვენ-
ში აღფრთოვანებას უძველესი ხანის უიშვიათესი
ნაკეთობანი, ტაძრებისა და გამოქვაბულ-ქალაქების
კედლებზე შემორჩენილი ფრესკები, აღორძინების
ეპოქის ხელოვანთა შემოქმედების ნაყოფი, ნეფერ-
ტიტისა თუ კლეოპატრას ნატიფი ქანდაკებები; მი-
ქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, როდენი, პიკა-
სო, ფიროსმანი... ყველას ჩამოთვლაც კი შეუძლე-
ბელია, და რამდენი იყო ისეთიც, რომლის სახელიც
ასტორის ქარცეცხლმა შთანთქა და ჩვენამდე მხო-
ლოდ მისმა ქმნილებამ მოაღწია. იღუპებოდა ცივი-
ლიზაციები, იღგვებოდა მიწისაგან პირისა ერები და
სახელმწიფოები, მაგრამ რჩებოდა ხელოვნების შე-
დევრები, რჩებოდა პირამიდები და ქანდაკებები;
არქეოლოგთა მძიმე და ჭიუტი შრომის შედეგად
უბრუნდებოდნენ კაცობრიობის კულტურას მკლა-
ვებმომტვრეული ქალღმერთები, წარსულის ხელო-
ვანთა უდიდესი ნიჭის მქადაგებელი. ვეზუვის
ამოფრქვევამ ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წელს უგ-
ზოუკვლოდ გააქრო რომაელთა უძველესი ქალაქე-



ბი: პომპეა, პერკულანუმი, ოპლონთისი, სტენტინუა
მხოლოდ 1713 წელს, შემთხვევით, ქის გათხრისას
წააშეცდნენ პერკულესისა და კლეოპატრას ქანდაკე-
ბებს, დაიშეს გათხრები და დღევანდელი კაცობ-
რიობის თვალშინ წარმოსდგა პომპეა მთელი თავი-
სი სიდიდით, არქიტექტურისა და ხელოვნების იშ-
კიათი ნიმუშებით.

კაცობრიობის ისტორია აღსავსეა საოცრებებით.
დღეს მაღალგანვითარებული მეცნიერებისათვი-
საც ამოუხსნელ საიდუმლოებად რჩება იღდგომის
კუნძულის ვეებერთელა ქანდაკებების ავტორთა ვა-
ნაობა, ისევე, როგორც უცნაური ნიშნები და დამ-
წერლობის ნიმუშები „კოხაუ რონგო-რონგო“ ამავე
კუნძულიდან; კერ კიდევ დაუდგენელია, ვინ აღმო-
აჩინა პირველად ამერიკის კონტინენტი. არსებობს
ჰიპოთეზა, რომ 800—600 წლებს შორის ჩვენს
წ-აღ-მდე ფილადელფიის მახლობლად უკვე არსე-
ბობდა კვროპიდან მოსული ბასკების დასახლება,
რაც თითქოს ამ ადგილებში ნაპოვნი ქვის ბასკური
დამწერლობით მტკიცდება; ვინ ააშენა მალტის
კუნძულზე ციხე-სიმაგრეები და ვინ ამოკვეთა მათ
კედლებზე სემიტური წარწერები? როგორ შემორ-
ჩა ბრაზილიის კუნძულებში პირველყოფილი ტო-
მი, რომლის წარმომადგენელთა საშუალო სიმაღლე
1,8—2 მეტრია? კითხვის ნიშნები მრავლადაა. ყო-
ველ წელს ახალ-ახალი აღმოჩენები სდევს თან და
ბევრ საიდუმლოებას ეხდება ფარდა. საკმარისია
ითქვას, რომ ადამიანის წარმოშობა-განვითარების



პერიოდი უკანასკნელი აღმოჩენებით 800-ასწლეულა
წლიდან 3 მილიონი წლით შეიცვალა.

არქეოლოგოური გათხრებით მოპოვებული პირ-
ელყოფილი ადამიანის ნაშთებისა და მისი ცხოვ-
რების მატერიალური არტიბუტების შესწავლა და
ასაკის დადგენა შესაძლებელია; ამისთვის მრავალი
ზუსტი მეთოდი არსებობს. უძველესი დამწერლო-
ბის ნიმუშების გაშიდვრვაც უკვე აღარ წარმოადგენს
ღიღ სიძნელეს, ამის არაერთი მაგალითი მოიპოვება.
ნაგრამ როგორ უნდა დადგინდეს ჩეენი უძველესი
წინაპრების, პირველყოფილ ადამიანთა სულიერი
ცხოვრების ნიუანსები? რა მეთოდები და საბუთები
არსებობს ამისთვის?

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის წარმოშობიდან
3 მილიონადე წელი გავიდა, თანამედროვე ადამია-
ნის, ანუ „ჰომო საფიენსის“ არსებობის პერიოდი
კი სულ რაღაც 30—40 ათას წელს ითვლის. და სწო-
რედ ამ პერიოდისთვისაა დამახასიათებელი საოც-
რად გიგანტური ნახტომი ადამიანის აგებულებაში,
განსაკუთრებით კი მისი გონიერებაში და
სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში. მას უკვე
ცლარ აქმაყოფილებდა მხოლოდ საარსებო საშუა-
ლებების მოპოვებისათვის ზრუნვა, იგი უკვე სხვაგ-
ვარად აღიქვამდა გარემოს, ვიდრე მისი წინამორბე-
დი — ნეანდერტალელი ადამიანი. საწირმოო ძალე-
ბის სწრაფმა განვითარებამ, რომლის ტემპებიც
მრავალჯერ აღემატებოდა წინა, ხანგრძლივი პერიო-
დის ტემპებს, გამოიწვია გონიერი სწრაფი განვითა-
რებაც. ამის დამატებიცებელია პირველყოფილი



მხატვრობის, ქანდაკების ნიმუშები, რომელთა ფირჩევა
მოჩენების პერიოდი და შესწავლა გასული აუკუ-
ნიდან იწყება.

როდის დაკრა ადამიანმა პირველად საჭრეთელს? როდის შეეცადა გამოეხატა პირველად ის, რასაც ხედავდა, რაც მის სულს აღელვებდა? ერთი სიტუ-
ეით, საიდან იღებს სათავეებს კაცობრიობის ხელო-
გნების ვეებერთელა მდინარე უამრავი შენაკადებით
და განშტოებებით? კინ იყვნენ ის პირველი ხელო-
ვანნი, რომლებმაც თავიანთი სული ფერებში თუ
ქვაში უკვდავჭყვეს მღვიმეთა ჩაბნელებულ ტალ-
ჩებში და განსასჯელად შორეულ შთამომავლობას
დაუტოვეს?

გასული საუკუნის მიწურულამდე სახვითი ხე-
ლოვნების ისტორია ასირიითა და ძველი ეგვიპტით
იწყებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის 40-იან
და 50-იან წლებში ავსტრალიისა და საფრანგეთის
მღვიმეებში აღმოაჩინეს მღვიმეთა კედლის ნახატე-
ბი და ძვლებზე გამოსახული ცხოველების ფიგურე-
ბი, მეცნიერები სკეპტიკურად უყურებდნენ ფრანგი
პალეონტოლოგის ედუარდ ლარტეს დასკვნებს. მან,
პირველმა, 1861 წელს განაცხადა რომ საფრანგეთ-
ი, არიევის და ვაენის ლეპარტამენტების მღვი-
მეებში ომოჩენილ ძვლებზე გამოსახული ირემლა-
ლისა და დათვის თავის ივტორები გამყინვარების
ეპოქის ადამიანები არიანო. სკეპტიკოსებს წარმოუ-
დგენლად მიაჩნდათ, რომ პირველყოფილ, „ვე-
ლურ“ ადამიანებს ასეთი ნატიფი გემოვნება და შე-

სრულების შესაძლებლობა ჰქონდათ. ქამიუმილი
შემდეგ ლარტეს გათხრებს დაესწრო ცნონისას ყველა
ლოგებისა და პალეონტოლოგების ჯგუფი. ლარტე
მათ თვალშინ გამყინვარების ეპოქის ფენაში იპოვა
ძამონტის ეშვის ფირფიტა, რომელზეც მამონტის
ფიგურა იყო ამოკვეთილი. მაგრამ უმრავლესობა
მაინც სკეპტიკურად უყურებდა ამ აღმონაჩენის სი-
ძველეს.

ამ აღმოჩენებს მოჰყვა ესპანეთში, ალტაშირის
მღვიმეში პოლიქრომული ნახატების პოვნა 1879
წელს, ერთი წლით ადრე კი საფრანგეთში, შაბოს
მღვიმეში. მაგრამ კვლავ უნდობლობა სუფევდა ავ-
ტორიტეტულ მეცნიერთა შორის. ამ პერიოდში
დიდ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი ჭეშმარიტ
მეცნიერებსა და კლერიკალებს შორის. ეს უკანას-
კნელნი ცლილობდნენ არქეოლოგთა აღმოჩენები
გამოეყენებინათ მატერიალისტურ მოძღვრებათა
წინააღმდეგ და საამისოდ ხშირად ფალსიფიცირება-
საც მიმართავდნენ. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის
ენთროპოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა
გაბრიელ დე მორტილემ, რომელიც ბავშვობაში
ერზუიტების სკოლაში იზრდებოდა და შემდეგ კი
ათეისტი გახდა, არ დაიჭერა მღვიმური ხელოვნების.
სიძველე და ალტაშირის მღვიმის ნახატების შესა-
ხებ ამბობდა: „ესაა ესპანელი იეზუიტების ფოკუ-
სები. მათ სურთ სახელი გაუტეხონ პირველყოფილი
ეპოქის ისტორიკოსებს“.

მე-19 საუკუნის ბოლომდე კიდევ ბევრ მღვიმე-
ში აღმოაჩინეს პალეოლითური მხატვრობა და იძუ-



ლებულნი იყვნენ დაჯერებინათ მათი სიძველეები 1902 წელს ანთროპოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მონაში ილექციის ეწვივნენ საფრანგეთის მღვიმებს: ლა მუტს, კომბარელს, ფონ-დე-გომს, და ამ შევიმეთა ნახატების სიძველეში ეჭვი აღარავის შეპარვია.

ამრიგად, ყველაზე უძველესი ხელოვნება მღვიმური მხატვრობაა, პირველი მხატვარი და მოქანდაკი კი პირველყოფილი ადამიანი. განცვიფრებას იწვევს ის ექსპრესია, დინამიზმი, აბსტრაქცია, გადმოცემის სიზუსტე, სტილიზება, ზოგჯერ რთული, პოლიქრომული კომპოზიციებიც კი, რაც ჩვენი შორეული წინაპრის შემოქმედებას ახასიათებს. ბევრი იმდროინდელი ნახატი თუ ქანდაკება თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლების ნაწარმოებებს, არათუ ჩამოუვარდება, არამედ იქნებ მათზე მაღლაც იდგეს.

მე-20 საუკუნის დასაწყისიც აღსავსე იყო პალეოლითური მხატვრობის ნიმუშების აღმოჩენებით. ყველაზე დიდი რაოდენობით მაინც საფრანგეთისა და ესპანეთის მღვიმეებში აღმოჩნდა. მათგან ჯველაზე ძველია ისტიურიცის მღვიმეში ქვაზე და ძვალზე გამოკვეთილი კონტურული ნახატები, ფერწერული გამოსახულებები, აგრეთვე ჩრდილოეთის ირმისა და სხვა ცხოველთა ფიგურებიანი ხუთმეტრიანი რელიეფი. ეს შემოქმედება ორინიაკული პერიოდისაა და მისი ასაკი ჩვენს წელთაღრიცხვამდე XXX ათასწლეულით განისაზღვრება.

მღვიმეთა კედლის მხატვრობის ნიმუშები აღმო-



ჩენილია პერონ-პერის, გარვას, ლა გრეზური მექანიკურა
მექანიკი, ხოლო მობილური ხელოვნებისა — პა-
ლეოლითელი „ვენერები“ (ქალის ქანდაკებები),
გრავირებული ფილები — ისტიურიცის, ლაბატიუს
მღვიმეებში და მათი ასაკი XXV ათასწლეულია ჩვ.
წელთაღრიცხვამდე.

საუკუნეშე ცოტა მეტი გავიდა, რაც პირველად
იხილა თანამედროვე ადამიანმა 20—40 ათასი წლის
მანძილზე მღვიმეთა მარადიული წყვდიადით მო-
ცული შესანიშნავი ქანდაკებები და ნახატები, და-
წყებული პრიმიტიული კონტურებიდან და რთული,
პოლიქრომული კომპოზიციებით დამთავრებული;
მღვიმეთა იდუმალ „გალერეებში და სალონებში გა-
შოფენილი“ საოცარი შედევრები, მამონტებისა და
ირემლალების, ხარებისა და დომბების, დათვებისა
და მარტორქების, ცხენებისა და ნიღაბიანი ადამია-
ნების, კოსმოგონიური შინაარსისა თუ ნადირობის
სცენების ამსახველი. გამოსახულებანი სამართლიან
განცვიფრებას იწვევენ და იქარწყლებენ დიდი ხნის
შანძილზე გამეფებულ შეხედულებას, რომ პირველ-
ყოფილ ადამიანს საკვების მოპოვებისა და ცხოვე-
ლური ინსტინქტების დაქმაყოფილების გარდა სხვა
არაფერი აინტერესებდა.

„ხელოვნების აკვანი მარადიული ევროპაა“ —
ასეთი სათაურით გამოაქვეყნა თავისი წიგნი ცნო-
ბილმა დასავლეთგერმანელმა ორქეოლოგმა ლოთ-
სარ ცოთუმა. ასეთი განცხადება ცოტა არ იყოს
უხერხეულიცაა, მაგრამ ბურჟუაზიული მსოფლმხედ-
ველობის მესვეურნი თავიანთი დემაგოგიური ფი-

ლოსოფის გამართლებისათვის არქეოლოგიური გამოსახული თხრებით მოპოვებულ მასალასაც კი თავისი ებურ, გათვის საჭირო ყალბ ინტერპრეტაციის უკეთებენ. ისინი ამისათვის იყენებდნენ იმ გარემოებას, რომ პალეოლითელი ადამიანის მღვიმური მხატვრობის ნიმუშები გასული საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ზედიზედ აღმოჩნდა სამხერთ-დასავლეთ ევროპაში. ლოთხარ ცოთცის მსგავსი მეცნიერები ამ ხელოვნებას მიაწერდნენ „გენიალური აზისი“ შემოქმედებას, რომელიც დედამიწის ამ ნაწილში ცხოვრობდა და რომელმაც სულიერ ზრდაში გიგანტური ნაბიჯებით გაუსწრო თავის თანამედროვე მეზობლებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია XX საუკუნის პირველი მეოთხედის გერმანული არქეოლოგიური სკოლის მამამთავრის პუსტავ კოსინას შრომები, რომლებშიც იგი იღაშერებდა სლავების, როგორც ნახევრადველურების წინააღმდეგ, ხოლო გერმანელებს აღმერთებდა და მათ გაუთავებელ ომებს „ამართლებდა“ პუმანურობისა და მოყვასის სიყვარულით. კოსინა არ იყო ფაშისტი, მაგრამ მისმა ნაციონალისტურმა შეხედულებებმა თავისი გამოხმაურება ჰქოვეს პიტლერულ რასობრივ პროპაგანდაში. ფაქტია, რომ კოსინას მოწაფეები მთლიანად ფაშისტურ პოზიციებზე დადგნენ და პიტლერის დამპყრობლურ პოლიტიკას არქეოლოგიურ „საფუძველს“ უქმნიდნენ.

გ. ობერმაიერი ჯერ კიდევ 1914 წელს წერდა, რომ პირველყოფილი ადამიანის შემოქმედებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პი-



რობები არსებობდა დასავლეთ ევროპაში უკიდურესი
ცენტრალურში. იგი საფრანგეთი, მეოთხეული ეპო-
ქის ხელოვნების ნამდვილ ელდორადოს უწოდებდა
და ოღნიშნავდა, რომ ამ ხელოვნების ნიმუშები წარ-
მოდგენილია და ვრცელდება ჩრდილოეთ შეეიცა-
რიაშიც რეინამდე, და ამ უკანასკნელს თვლიდა პირ-
ველყოფილი ხელოვნების გავრცელების საზღვრად.

მიუხედავად იმისა, რომ ძვლის ქანდაკებები და
ძვალზე ამოჭრილი შესანიშნავი ნახატები აღმოაჩი-
ნეს ჩეხოსლოვაკიაში, უკრაინაში, აღმოსავლეთ
ციმბირში და სხვაგან, მღვიმური პალეოლითური
მხატვრობა ამ რაიონებისათვის უკანასკნელ ხანე-
ბამდე ცნობილი არ იყო.

გამოჩენილი საბჭოთა არქეოლოგი ო. ბადერი
წერდა, რომ თუმცადა უკანასკნელი ათწლეულების
შანձილზე საბჭოთა კავშირში აღმოჩნდა კლდის რამ-
ჟენიმე ნახატი, მათ შორის მღვიმევის ენში ჭიათუ-
რის მახლობლად (გეომეტრიული ფიგურები), აგცას
მღვიმეში გუდაუთის რაიონში, ნაღირობის სცენები
ზარაუთ-საის მღვიმეში უზბექეთში, ხარისა და ცნე-
ნების ფიგურები ლენისპირა კლდეებზე, სოფ. შიშ-
კინოსთან და სხვ., რომლებსაც ზოგიერთი დეტა-
ლის მიხედვით საოცარი მსგავსება აქვს საფრანგე-
თის პალეოლითურ ხელოვნებასთან, მაგრამ აღნიშ-
ნული ძეგლების პალეოლითურ ასაკში ეჭვი ეპარე-
ბათო. ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ის იყო,
რომ ცხოველთა გალერეაში არ არის მეოთხეული
პერიოდის გადაშენებულ სახეობათა წარმომადგენ-
ლები, ხოლო კამენნაია მოვილის (აზოვისპირეთში)



ბამონტის გამოსახულებას ზოგი მეცნიერი ჟარტისადა
ფიგურად მიიჩნევდა.

ამ აღმოჩენების მიუხედავად დასავლეთის სამე-
ცნიერო ლიტერატურა მტკიცედ განაგრძობდა ლოთ-
ხარ ცოთცის მსგავს დემაგოგიას პირველყოფილი
„გენიალური რასის“ არსებობის შესახებ დასავლეთ
უფროპაში.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ საკაუიის მღვი-
მეში, წყალწითელას ხეობაში, სადაც გ. ნიორაძე
და ს. ზამიატნინი აწარმოებდნენ გათხრებს, ამ ორ-
მოციოდე წლის წინ ზედა პალეოლითის უამრავ ნა-
კეთობებს შორის აღმოჩნდა მილისებური ძვლის
ფრაგმენტი, რომელზეც ყვითელი თიხა-ძიწის საღ-
ბავით გამოსახული იყო რკალი, ხოლო მის შიგნით
კი ორი პარალელური ხაზი მესამით გადაკვეთილი.
1941 წელს ნ. ბერძენიშვილმა უკეთ ხსენებულ
შლვიმევის ეხში მოიპოვა ძვლის ხელშუბის პირები,
სადგისები და სხვა ნივთები, რომელთაგან ზოგი-
ერთზე ხაზოვანი საკაულები შეინიშნება. გვარჯი-
ლას კლდის მღვიმეში (კვლავ ჭიათურის რაიონში)
აღმოჩენილი ე. წ. „მეთაურის კვერთხი“ კი ორივე
მხარეს 7—7 პარალელურ ხაზითაა შემკული. ეს
უკელაფერი ზედა პალეოლითის მობილურ ხელოვ-
ნებას მიეკუთვნება. ფიქრობენ, რომ ქვის ხანის შე-
მოქმედების ნაყოფია აგრეთვე აგდას მღვიმეში
(ახალი ათონის მიდამოები) არქეოლოგ ლ. სოლო-
ვიოვის მიერ 1961 წელს მიკვლეული ფიგურები,
რაც, ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება. ამ
მღვიმეში ვნახეთ მხოლოდ რამდენიმე ამოკვეთილი

წრეხაზი, რომლებშიც ასომთავრული წარწერებია /
ჯვართან და სვასტიკასთან ერთად. თარიღულია
საინტერესოა ამას წინათ თეთრ მტკიცებულის
(წყალტუბოს რაიონი) გათხრებით მოპოვებული არ-
ქეოლოგიური მასალა, რომელთა შორის ცხვრის ოუ-
სხვა მსგავსი ცხოველის მინიატურული ფიგურაცაა.
ავრეთვე სულ ახლახან თრიალეთის არქეოლო-
გიური ექსპედიციის მიერ (მ. გაბუნიას ხელმძღვა-
ნელობით) მდ. პატარა ხრამის ხეობაში აღმოჩენილი
ცხოველთა გამოსახულებების „დიდი გალერეა“.
აქაა ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდების მატერია-
ლური ნაშთები, ცხენებისა და ირმების ჭოგების,
ფრინველების, დათვების გამოსახულებანი. აქვეა
უცნაური ორკუზიანი ცხოველი ძალზედ წაგრძელე-
ბული კისრითა და მასიური სხეულით. ეს ყველა-
ფერი გაშიფრებს მოითხოვს და ჩვენი არქეოლო-
გები მაღვ დაადგენენ შორეულ წინაპართა ცხოვრე-
ბისა და შემოქმედების სხვადასხვა მნარეს.

მაგრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა ზოოლოგ
ა. რიუმინის მიერ 1959 წელს ბაშკირეთში, კაპის,
ანუ შულგან-ტაშის მღვიმეში აღმოჩენილმა წითე-
ლი საღებავებით შესრულებულმა ნახატებმა. შემდ-
გომ წლებში ეს ნახატები შეისწავლა და ახლებიც
აღმოაჩინა ო. ბადერმა. მან დაამტკიცა ნახატების
პალეოლითური ასაკი. აქ არის გამოსახული მარტო-
რქების, მამონტების, ცხენების ფიგურები. ამ აღმო-
ჩენამ სენსაცია და დიდი გამოხმაურება გამოიწვია
დასავლეთის არქეოლოგიაში. „თეორიებს“ დასავ-


ლა საფეხურს ახასიათებდა, ისინი იყენებდნ ხელოვნული ნების ჩასახვის მაგიური პოზიციების გასტაფტურა ლად და ყველაფერს მონოთეიზმს მიაწერენ.

მღვიმეთა სიღრმეებში მხატვრობისა და ქანდაკების ნიმუშების აღმოჩენამ ბიძგი მისცა ახალი შესედულებების წარმოშობას.

მეცნიერთა უმრავლესობამ, პალეოლითის დიდმა სპეციალისტებმა, წამოაყენეს პირველყოფილი ადამიანის შემოქმედების მაგიური კონცეფცია. მისი ავტორები იყვნენ ინგლისელი ანთროპოლოგი ედუარდ ტეილორი და რუსი ბუნებისმეტყველი ლ. პოპოვი. ამ უკანასკნელის აზრით გამყინვარების ეპოქის მონადირეების შემოქმედება ბუნების ფორმებისადმი მიბაძვის და სიამოვნების ძიების შედეგი კი არ იყო, არამედ იგი გამოიწვია სურვილმა, მაგისა და ჯადოქრობის საშუალებით დაემორჩილებინათ ბუნების ძალები და პირველ რიგში მათი ძირითადი საარსებო წყარო — ნადირთა ჯოგები. გასულ საუკუნეში ტეილორისა და პოპოვის შეხედულებებმა ვერ მოიკიდეს ფეხი. ნატურალისტთა უმრავლესობა ემხრობოდა „ზემოთ ნახსენებ გამრიელ მორტილეს, რომლის კატეგორიული განცხადებით „მეოთხეული ეპოქის მოსახლეობამ არ იცადა არავითარი კულტი, არავითარი რელიგიური იდეა“. მართლაც, ამ ნახატებში არ ჩანდა რელიგიური სიმბოლოები, რაღაც ზებუნებრივის გამოსახვის ცდები.

ამ პერიოდში გამოქვეყნდა ინგლისელი ეთნოგრაფების სპეციალისა და ჭილენის მონოგრაფია

၁၆၂၃၅၈၂၂
၂၀၁၄၊ ၁၀၊ ၁၃



တော်လှသန၊ မလွှေ့မြှေး-ဦးစျေးရဲလို ပို့စွဲနဲ့ ပြောစွဲနဲ့

ဤတော်လှသန၊ မလွှေ့မြှေး ပို့စွဲနဲ့ ပြောစွဲနဲ့





ორთვეალა მღვიმე ყარა-სუ მდ. ჭამიალის ხეობაში (აფხაზეთი)


ამ მღვიმეში ცხოვრობდა პირველყოფილი აღაშიანი (რიწის გზა, მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირი).







ମୁଦମିକେତଳ୍‌ପୁଲିଆନି ମଲ୍ଲାମିଶି ହାସାସୁଲ୍‌ଲୋଲି ଗାଗରିଶ ମୋଟିହି-

ମଲ୍ଲାମିମୁଖି ମାରଗାଲିର୍ଯ୍ୟବି ଶାଗରାତ୍ରିଗାନି ଉତ୍ସକ୍ଷରିଲିଶି (ଅନ୍ତଃ-
ଶ୍ରେଣୀ)





କରନ୍ତୁ କରନ୍ତୁ କରନ୍ତୁ କରନ୍ତୁ କରନ୍ତୁ କରନ୍ତୁ କରନ୍ତୁ କରନ୍ତୁ



ସତ୍ତାଦୀର୍ଘରୀ — ପ୍ରାଚୀନତା ଅନ୍ତରେ ସମ୍ପର୍କରେ ଉପରେଥିଲେ



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପାଠ୍ୟକାରୀ



ପାଠ୍ୟକାରୀ
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ცხრაჭვარის მღვიმის შე-
სასვლელი (ნაქერალის ქე-
ლი)



სხვადასხვა ფორმის სტალაქტიტები ტარიელის მღვი-
მეში (ჩაჭა)






მდინარე მაცოხის მღვიმეში (ჩეხოსლოვაკია).



პრცეპს მღვიმის ერთ-ერთი დარბაზი „შლაპრული ტაძარი“




ଗୁଗଳ ମଲ୍ଲେଖିତୁରି ହାନିକୀରଣ
(ଅରାଧିକାରୀ ମାସିକ)



ସ୍ତରାଲ୍ମାଗମିଟ୍ରେଡି “ଲାରନ୍ଦାଯି”
ରେ “ଶିରକା” ପ୍ରକଟିତ ମଲ୍ଲୋ-
ମେହି (ହେବନ୍ଦିଲାନ୍ଦାଯି)



ସତ୍ୟାଲାଙ୍ଗମିତ୍ରେଣିସ କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହି
ପ୍ରତ୍ୟନିଷିଦ୍ଧ ମଲ୍ଲେଖିଶି (ଶାତ୍-
ରାନ୍ଧିରାଜା, ପ୍ରେରଣାରୀର ପଳା-
ଶ୍ରମ).



ଗୋଟିଏ କୁଣ୍ଡଳିଙ୍କରେ ମଲ୍ଲପିଲାଙ୍କର
ଶବ୍ଦାଳୋଚନ

ଜେଇଁ ପ୍ରାଚୀନତାରେ ମଲ୍ଲପିଲାଙ୍କର
(୧. କୁଣ୍ଡଳିଙ୍କରେ କାଳେଖିପଣୀ
ଘର)







ଶୋଭାନ୍ଧୀର କ୍ଷେତ୍ରିକୀୟମାଧ୍ୟମରେ
ଶଲ୍ଵମ୍ଭେ ଉଚ୍ଚବିହାରର ମା-
ଜାରିନିଃସେବରର ସତ୍ୟାକ୍ଷେତ୍ରର
ପ୍ରସିଦ୍ଧି (ଶାଖାନ୍ଧୀଙ୍କୁଣ୍ଡଳ)

ଶାଖାନ୍ଧୀର ମଲ୍ଲମ୍ଭେ ବିନ୍ଦୁମାଧ୍ୟମରେ
ନେତ୍ରରେ



ကျိုက်စွဲဖော်လွှာ
ချောင်း ကျော်ဘွဲ့
နေး မြောက်များ (စာဖျက်အနွောက်)

ဒုလိယံပိုကြော်ပို့
လျှော့-ဂေါ်နေး
မြောက်များ (စာဖျက်အနွောက်)





ავსტრალიის აბორიგენების შესახებ, რომელუანთვის დაწვრილებით იყო აღწერილი მათი მაგიური ცე-
რემონიები ცხოველთა ნახატების გამოყენებით.
ავსტრალიელ აბორიგენებს, რომლებიც განვითარე-
ბის ქვის ხანის ეპოქაზე შეჩერდნენ, სწამთ ნახატის
სასწაულმოქმედი ძალის; ისინი სთხოვდნენ მაგიურ
ძალას, რომ ნადირი გამრავლებულიყო, რათა ტომს
ჩეტი საკუები ჰქონდა. რეინაჟის აზრით, ასევე ფი-
ქრობდა პირველყოფილი მონადირეც და ამიტომ
ხატავდა მლვიმეთა კედლებსა და ჭერზე ცხოველ-
თა ფიგურებს. ეს შეხედულება ამჟამადაც არის
გავრცელებული და ბევრ ენციკლოპედიაში ან
წიგნში ამოიყითხავთ, რომ პალეოლითური მხატვა-
რობა შექმნილა მაგიური ცერემონიებისათვის,
ანუ „ხელოვნება თავის საწყისებს ღებულობს მა-
გიურობაში“.

ბუნებრივი იყო, რომ ახალი არქეოლოგიური
მონაპოვრები ახსნას მოითხოვდნენ. სკეპტიკოსთა
საწინააღმდეგოდ იგივე ლარტე აცხადებდა, რომ
.ჩვენი ქვეყნის აბორიგენებს ნადირობა აძლევდა
საქმაო-რაოდენობის ნადირს, ისინი მაძლარნი იყვ-
ნენ, ჰქონდათ თავისუფალი დრო. რა რჩებოდათ,
თუ არა ოცნება უფრო უკეთესი არსებობისა? და
თუ აუცილებლობა ინდუსტრიის დედაა, იგივე შეი-
ძლება ითქვას, რომ სასიამოვნო ცნოვრებისაკენ
ლტოლვა ბადებს ხელოვნებას“.

ეს შეხედულება თუმცა შცდარი იყო, მაგრამ
მაინც პროგრესს ემსახურებოდა, რადგან ქლერი-
ძალთა საწინააღმდეგოდ გმობდა რელიგიურ საწყისს

და ეყრდნობოდა სწორედ იმ პერიოდში გავტუცელება
ბულ დარვინის ევოლუციურ თეორიას. გიგანტუროვა

მღვიმური ხელოვნების დიდი სპეციალისტი აბა-
ტი ანრი ბრეილი თითქმის სიცოცხლის უკანასკნელ
დღემდე ებრძოდა შეხედულებას „ხელოვნება ზა-
გიდან“. იგი მთავარ მიზეზად მიიჩნევდა ესთეტი-
კურ მოთხოვნილებებს, აგრეთვე ცოდნისა და გამო-
ცდილების გადაცემას თაობიდან თაობამდე, რაც გა-
მყინვარების ეპოქის მონადირეთა ხელოვნების
განვითარებას იწვევდა. ამრიგად, ჰიპოთეზები და
თეორიები პალეოლითური ხელოვნების გამომწვევი
მიზეზების შესახებ ჩიხში ჩოემწყვდა. ამის მთავარი
შიზეზი კი იყო ხელოვნების საწყისების ევოლუცი-
ონისტური საფუძვლების შეზღუდულობა. მეცნაე-
რები პირველყოფილ აღამიანს მიიჩნევდნენ მხო-
ლოდ ბიოლოგიურ ინდივიდად და ავიწყდებოდათ
ეისი შემოქმედების სოციალური ბუნება. საბჭოთა
მეცნიერები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს
პალეოლითური ხელოვნების შესწავლის საქმეში
(აკადემიკოსი ა. ოკლადნიკოვი, პროფ. ო. ბალერი,
ბ. ფროლოვი და სხვ.), ანთროპოლოგები (ი. რო-
ვინსკი და სხვ.), ფსიქოლოგები (ი. პონომარიოვი და
სხვ.) ეყრდნობიან ისტორიის დიალექტიკურ-მატე-
რიალისტურ გაგებას; აქაა, პირველ რიგში, ჰომო სა-
ფინენსის მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ფსი-
ქოფიზიოლოგიური ორგანიზაციის. მუდმივობის
მტკიცება, მეორე მხრივ კი აღამიანების შემოქმედე-
ბითი საქმიანობის მამოძრავებელი ისტორიულ
საზოგადოებრივი პირობების გადამწყვეტი როლი



ალიარება შოთაოვნილებათა, იდეების, მოტივების, დინამიკაში. განვითარებული ტვინი პალეოლითელ ადამიანს საშუალებას აძლევდა ღრმად ჩაწედომოდა გარემოს, შეექმნა აბსტრაქციები. ბასრი ქვის დანა ნაკაშრებს სტოვებდა ძვალზე, როცა მას ხორცა აცლიდნენ. გადიოდა ათასობით წელი და ამას ყურა-ლებას არავინ აქცევდა. მერე კი არქიმედისა არ იყოს, პირველყოფილია ადამიანმა დაიძახა „ევრი-კა“ და ძვალზე შემთხვევითი ხაზის გვერდით შეგ-ნებული ხაზი გაავლო. თანდათან ჩნდებოდა დედისა და ცხოველთა კულტი, მძაფრდებოდა ინტუიცია, ცითარდებოდა ლოგიკური აზროვნება. როგორც ბ. ფროლოვი ამბობს — ხელოვნება ჩაისახა ისტო-რიის იმ განსაკუთრებულ პერიოდში, როდესაც ადა-მიანი უკვე ჩამოყალიბდა ფიზიკურად და ფსიქიკუ-რად და ინტელექტის მიხედვით თანამედროვე ადა-მიანს დაუახლოვდა. მაგრამ აუამიანთა ურთიერთო-ბანი, მათი სოციალური და წარმოებითი კავშირები შერ კიდევ ისეთ ჩვილ, განუვითარებელ დონეზე იყო, რომელიც ახასიათებს პირველყოფილ თემურ წყობილებას, ვ. ლენინის განსაზღვრით — პირველ-ყოფილი კომუნიზმის ეპოქას. სწორედ ეს ეპოქა გადმოგვცა პირველყოფილმა მხატვარმა თავისი წემოქმედების ცოცხალ და უშუალობით აღსავსე ნახატებში.



მღვიმე-გამოქვაბულები, ლეგენდები, კოექტები, მხატვრები და მუსიკოსები

„კიდევ სად შეიძლება განციცადო ისეთი
მღვიმე-გამოქვაბულები, მითოლო ისეთი ესთე-
ტიური ტემბა, თუ არა მღვიმეში“.

ნორბერ კასტერი

მღვიმეთა იდუმალებით მოცული სამყარო ყო-
ველთვის იწვევდა რაღაც ზებუნებრივის განცდას.
ეს არცაა გასაკეირი. შედით მღვიმეში, ჩაქრეთ
ფარანი და ყური დაუგდეთ აბსოლუტურ წყვდიადს.
ზოგ მღვიმეში ისეთი სამარისებური დუმილია, რომ
საკუთარი გულის ბაგა-ბუგიც კი უცნაურად გეჩე-
ნებათ; ზოგში კი გაიგონებთ საოცარ ხეებს, პან-
გებს, გრიალს. თქვენ კი დარწმუნებული ხართ,
როგ მღვიმეში მეტი არავინ არის. ვინ, ან რა გამოს-
ცემს ამ ჭადოსნურ ხმებს? ამის მიზეზი მრავალია.

არცერთი მღვიმე არა ჰგავს ერთიმეორებს, თი-
თოეული მათგანი ხასიათდება განუმეორებელი თა-
ვისებურებით. ახალი ათონის ფართოდ ცნობილ
მღვიმეში მნახველის განცვიფრებას იწვევს მისი
დარბაზების გრანდიოზულობა, ჭერიდან ჩამოცვე-
ნილი მრავალტონიანი ლოდები, გაქვავებული ჩან-
ჩქერი და მრავალი სხვ. სათაფულის მღვიმეში კი
შშვენიერი სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების
ხილვისას აუცილებლად გაიგონებთ მდინარის
ხმაურს. ეს მიწისქვეშა მდინარე ოლასყურაა, რო-
ცელსაც მღვიმე გაუჩენია და მრავალი ათასწლეუ-



ლის მანძილზე არ მოშენებია მღვიმის კედლებზე განვითარებული და ლოდებთან ჩატარებული.

მაგრამ ეს კეთილმოწყობილი მღვიმეებია, პრო-
ექტორებით განათებული და იქ ყველა მსურველს
უეცმლია შესვლა. ასეთები ჯერჯერობით თითო-
ოროლაა. მაგრამ სპერლეოლოგთათვის, რომლებიც
საქართველოს მიწისქვეშეთს იკვლევენ, უფრო საი-
ნტერესოა ახლადაღმოჩენილი, ფეხზაუკარები მღვი-
მეები და უფსკრულები, სადაც შედინარ და წინას-
წარ არ იცი, ფათერაკებს შეგამოხვევს და ე-
პატიუებელ სტუმარს და რა ზოაპრულ სანახაობებს
გადაგიშლის. ასე იყო გაგრის შედზე, ვახუშტი ბაკ-
რატიონისა, კრუბერისა და მარტელის მღვიმე-
უფსკრულებში, სამეგრელოსი, ასხის მასივზე მდე-
ბარე ტობას მღვიმეებში, კელასურისა და წებელ-
დის, აბრსკილისა და ცახის, ერთი სიტყვით — აფხა-
ზეთის, სამეგრელოს, რაჭა-იმერეთისა და სამხრეთ
ოსეთის მღვიმეებში. ზოგ მათგანში მუდმივი თოვლ-
ყინულია, ზოგში მძლავრი და მაღალი ჩანჩქერები,
კამკამა ტბები და ბობოქარი მდინარეები, სპილო-
ძვლისფრად მოელვარე სტალაქტიტებისა და სტა-
ლაგმიტების ტყეები, მარგალიტები და სხვა მრა-
ვალი.

სწორედ მღვიმეთა იდუმალებით მოცულმა სამ-
ყარომ განაპირობა უამრავი ლეგენდის არსებობა,
მღვიმურ თემატიკასთან რომ არის დაკავშირებული.
აი, ზოგიერთი მათგანიც.

ბერძნულ მითოლოგიაში განსაკუთრებით ხშა-
რად შეხვდებით მღვიმეს, რომელიც ვმირის, განდე-

გილი ბრძენის თუ საშინელი ცხოველის ადგილზეა
ყოფელია. საბერძნეთი და მისი კუნძულებზე აგრძელდება
ლია კირქვებით, რომლებშიც ბუნებას ბევრი მღვი-
შე გაუჩენია და ბუნებრივი იყო, რომ ადგილობრივ
მოსახლეობას მათთან ლეგენდები დაეკავშირებინა.
აი, ერთი მათგანი: ოდესლაც სამყაროს მეუფები
ცყვნენ კრონოსი და მისი მეუღლე რეა. კრონოსმა
დედის — ქალღმერთ გეას რჩევით მოკლა მამა —
ურანი, რადგან იგი თავის შვილებს — ციკლოპებს
და პექსაკონქერიებს უძირო უფსერულ ტარტარში
ჰყორიდა, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელი იყო. სა-
სიკვდილოდ დაჭრილმა ურანმა დასწუევლა კრონო-
სი, თავისი უმცროსი შვილი და მკვლელი, დაუწი-
ნასწარმეტყველა, რომ მასაც შვილი წაართმევდა
ძალაუფლებას და მოკლავდა. კრონონი მამასავით
პირქუში და ეჭვიანი იყო. იგი დაბადებისთანავე
ყლაპავდა თავის შვილებს. უკვე ხუთი შვილი გადა-
ყლაპა ტიტანმა, როცა დაიბადა მეექვსე — ზევსი,
ქალღმერთმა რეამ შვილის გადასარჩენად ეშმაკო-
ბას მიმართა, მეუღლეს მის ნაცვლად გაზვეული ქვა
მიართვა და მანაც გადაყლაპა. რეა ჩამოვიდა დე-
დამიწაზე, გაემართა კრიტოსის კუნძულისაკენ და
იქ, გადაის მღვიმეში გადამალა აკვანში მყოფი
ზევსი.

ეს მითი გამოყენებული აქვს ჰესიოდეს (VIII —
VII საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) თავის
თხზულებაში „თეოგონი“, სადაც ასეა ნათქვამი:



....როცა მოვიდა ეამი უმცროს ვაჟის გაწენის — იროვნები
ზევსის შობისა, თვით დიადმა მიწამ იზრუნა გიგანტების
ვრცელ კრეტის მხარეს ზევს-მეუფის გამოსაზრდელად.
პირქუშ ღამეში გაემგზავრა დიქტეს მხარეში
ქალ-ღმერთი რეა, ხელთა ჰყავდა ახლადშობილი,
და გადამალა მიუღომელ გაშოქეაბულში".*

ძეელ ბერძნებს სჯეროდათ, რომ მღვიმეებში
ცხოვრობდნენ ტიტანები. მათივე რწმენით გარდა-
ცვლილთა სულები შთაინთქმებოდა მღვიმეთა სი-
ლრმეებში, სადაც მიედინებოდნენ საიქიოს პირქუ-
ში მდინარეები კოკიტი და აქერონტი და იყო აიდის
საშინელი სამეფო.

მღვიმეები და გამოქვაბულები ხშირადაა ნახსე-
ნები, როგორც სამოქმედო ასპარეზი მითების სე-
რიაში „პერაკლეს გმირობანი“, მაგალითად: „ნემეის
ლომი“, „ლერნეს ჰიდრა“ და სხვ.

ჰომეროსის „ოდისეაში“ მთავარი გმირის, ოდი-
სევსის ერთ-ერთი საინტერესო თავგადაუკლის ას-
პარეზსაც მღვიმე წარმოადგენს. ესაა ოდისევსისა
და მისი თანამგზავრების შეხეედრა ცალთვალა გო-
ლიათან — ციკლოპთან კიკლოპების კუნძულზე.

საინტერესო ამბებს ვხვდებით აპოლონიუს რო-
დოსელის „არგონავტიკაში“, სადაც მღვიმე რამდე-
ნიშე იდგილასაა ნახსენები. ეს არცაა გასაკვირი,
რადგან არგოს გზა გადიოდა ჭერ ეგეოსის ზღვის
ჩრდილო ნაპირის გასწერივ, შემდეგ კი დღევანდე-
ლი ბულგარეთის, რუმინეთის, ყირიმის სამხრეთი
ნაპირის, კავკასიის შავიზღვისპირა რაიონების გას-

* ელადის მუზა. რ. მიმინოშვილ-სეული თარგმანი. 1963 წ.

წვრილ კოლხეთამდე. ეს სანაპიროები კი ძერითადად
კირქვითაა აგებული და ამიტომ მღვიმეებიც ფიფქები
ბის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. აჭოლონიუს როდო-
სელს ნახსენები აქვს დიქტეს და იდაის მღვიმეები
კუნძულ კრიტოსზე და სხვ. იგი წერს, რომ მედეამ
და იაზონშა ქორწინების ლაშე გაატარეს მღვიმეში,
რომელსაც ახლაც (ა. როდოსელის ცხოვრების პე-
რიოდში — თ. კ.) მედეას მღვიმეს უწოდებენო.

„და დღევანდლამდე უწოდებენ მედეას მღვიმეს,
სად ფერიებში შეაერთეს მათი გულები“. *

მღვიმეები და გამოქვაბულები ხშირადაა გამო-
ყენებული ბიბლიაში და სხვა რელიგიური ხასიათის
წიგნებში. მაგალითად, მოსე წინასწარმეტყველის
I წიგნის XXIII თავში ნათქვამია, რომ დაქვრივე-
ბულ აბრამს ხეთები დიდსულოვნად მოეპყრნენ და
აჩუქეს საგვარეულო მღვიმე პევრონში (ჰანანშა),
აბრამმა კი თავისი ცოლი სარა დაასაფლავა მაჩქე-
ლაპის მინდორზე მდებარე მღვიმეში და სხვ. ბიბ-
ლიის ერთ-ერთი მითის მიხედვით იესო ქრისტეც პა-
ლესტინაში, ბეთლემის მღვიმეში დაიბადა და იქვე
აღსდგა მკედრეთით.

მე-10 საუკუნის ქართველი პიმნოგრაფი იოანე
მტბევარი სწორედ ამ მითს გულისხმობდა, როცა
თავის იამბიკოში „შობისათვის“ წერდა:

„იხარებდით ყოველი დაბადებული,
რამეთუ ღმერთი გამოჩინდა დღეს ხორცითა,

* გ. წერეთლისეული რუსული თარგმანის გაღმოქანუ-
ლება ჩვენია — თ. კ.

და ბეთლემს შინა შობილი, ქუაბსა შინა...
 ...წესნი უხორცოთანი შენ გივალობდეს,
 ქუაბსა შინა შობილსა...“.

ასევე ვინმე ფილიპე, რომლის შესახებ არაფერ-
 რია ჯერჯერობით ცნობილი, გარდა მისი აკროსტირი-
 ტონული „ბეთლემის საგალობელისა“, წერდა:

„...თაყუანის-ვსცემთ ქუაბსა მაგას დიდე-
 ბულსა...“

ამ მითის გამოძახილი იყო ისიც, რომ მყინვარ-
 წვერის კალთაზე, მიუვალ კლდეში მდებარე გამო-
 ქვაბულს ჩვენმა წინპრებმა „ბეთლემის გამოქვა-
 ბული“ უწოდეს. იგი უკვე XI საუკუნის მეორე ნა-
 ხევრის მოღვაწის, ეფრემ მცირეს ნაშრომშია მოხ-
 სენებული, შემდეგ კი ვახუშტი ბატონიშვილის
 შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. სწო-
 რედ ამ გამოქვაბულმა შთააგონა ილია ჭავჭავაძეს
 დაეწერა შესანიშნავი პოემა „განდეგილი“, სადაც
 მთელი მოქმედება ბეთლემის გამოქვაბულში მიმ-
 დინარეობს.

კარგა ხანს არავინ იცოდა, სად იყო ბეთლემის
 გამოქვაბული. და აი ერთხელ, ყაზბეგის მეტეორო-
 ლოგიური ობსერვატორიის თანამშრომლებმა შემ-
 თხვევით, ზღვის დონიდან 4100 მეტრ სიმაღლეზე,
 მყინვარწვერის 400-მეტრიან შვეულ კლდეზე შე-
 ნიშნეს იგი და შესასვლელიდან გადმოკიდებული
 რკინის ჭაჭვიც. ჭართველმა მთამსვლელებში ილექ-
 სანდრა ჭაფარიძის ხელმძღვანელობით დალაშქრეს
 ლეგენდარული ბეთლემის გამოქვაბული და ნახეს
 IX—XIII საუკუნეების ვერცხლით მოჭედილი

დროშის თავი, საეკლესიო ტახტი, ეერცხლის და მას გადასაცავა
ლი და სხვა ნივთები.

შოთა რუსთველის „ეეფხისტყაოსანში“ გან-
საკუთრებით ხშირადაა ნახსენები „ქვაბი“, ანუ
გამოქვაბული, რომელიც ამ უკვდავ პოემაშიც მო-
მქმედ გმირთა ასპარეზადაა გამოყენებული. მაგა-
ლითად:

„კლდეს შიგან ქვაბი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი“.

გამოქვაბულებს ხშირად შევხვდებით აგრეთვე
„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე. მაგალითად,
ჯუანშერ ჯუანშერიანის ნაშრომში „ცხოვრება ვახ-
ტანგ გორგასალისა“, ან კიდევ ანონიმური ავტო-
რის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავან-
დედთანი“. სხვადასხვა ტიპის მღვიმე-გამოქვაბულ-
თა აღმნიშვნელ ტერმინებს ვხვდებით სულხან-საბა
ორბელიანის ლექსიკონში, ვახუშტი ბატონიშვილის
ფუნდამენტურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა სა-
ქართველოსა“ და სხვ.

დავუბრუნდეთ მღვიმეებთან და გამოქვაბუ-
ლებთან დაკავშირებულ ლეგენდებს, რადგან
ისინი ხშირად იქცეოდნენ გამოჩენილი პოეტების,
მწერლების, მუსიკოსებისა და მხატვრების შთაგო-
ნების წყაროდ.

საყოველთაოდაა ცნობილი მითი პრომეთეზე,
რომელიც განრისხებულმა ლმერთმა კავკასიონზე
მიიგავეა. არსებობს ეერსიები, რომ პრომეთეს
(იგივე ამირანის) სასჯელის მოხდის ადგილი უფრო
ხშირად იყო მღვიმე ან გამოქვაბული. პრომეთეს

მითის კოლხურ წარმოშობას სტრაბონიც აღიარებდა და და თავის „გეოგრაფიაში“ წერდა, რომ პონტური კულტურული ძეგლი არის წმინდა გამოქვაბული, რომელშიც გადმოცემით პრომეთევსი იყო მიჯაჭვულიო. ანალოგიური ლეგენდაა აბრსკილზე, აფხაზთა ამირანზე, რომელიც ლეგრომა დღევანდელი ოჩამჩირის რაიონში მდებარე ამავე სახელწოდების მღვიმეში მიაწაჭვა თავის რაშთან ერთად.

ამირანის და პრომეთევსის მითის მსგავს ლეგენდას აღწერს პროფ. მ. ჩიქოვანი 1965 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული ეპოსი“. ფილიპინების კუნძულ ლუსონის მკვიდრ ტაგალოგთა ფოლკლორიდან. აქ ამირანის მაგივრობას სწერს მეცე ლაյან-ადია (ქომაგი მეთაური), რომლის სამეფოშიც ყველა ბელნიერად ცხოვრობდა, ვიდრე დამპურობლებმა არ სძლიეს მას და ბორკილდადებული სან-მატეოს მთის გამოქვაბულში არ მიაწაჭვეს.

მღვიმე-გამოქვაბულებზე მრავალი ლეგენდა მოიპოვება მთიულურ და სვანურ ეპოსებში. მთის მონაზირეები ხშირად აფარებდნენ თავს მღვიმეებს და ამას, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა თავისი ასახვა არ ეპოვა ფოლკლორში.

მღვიმეები და გამოქვაბულები ხშირადაა ნახსენები ისეთ ლეგენდებშიც, სადაც განძის შენახვა-გადამალვაზეა ლაპარაკი. ჩვენი ექსპედიციების მუშაობის დროს ხშირად შევხვედრივართ განძის მაძიებელთა საქმიანობის ნაკვალევს — გადათხრილიატას, ორმოებს და სხვ.

„ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილია ქართველ-



თა პირველი მეფის ფარნავაზის სიზმარგლური გადამდებრები მარში ნადირობს დიღმის ეელზე. გამოედევნება ირემს. მეფის ნასროლი ისრით დაკოდილი ირემი კლდის ძირას დაეცემა: „ხოლო კლდისა ძირსა იყო ქუაბი, რომლისა კარი ამოქნილ იყო ქუითა ძუელად. შეპქონდა დარღუევა შენებულსა მას. მუნ დაასხა წუიმა მძაფრი, ხოლო ფარნავაზ ამოილო ჩუგლოვი და გამოარღუია კარი ქუაბისა მისი, რათამცა მუნ შიგა და მაშურალი წუიმისა მისგან. და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწოდომელი, ოქრო და ვერცხლი მიუწოდომელა“.

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ „ხომლის კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტრისგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“. მისივე ცნობით, როდესაც საქართველო 1259 წელს დავით მეხუთესა და მეექვსეს გაუყვიათ, ამ გამოქვაბულში გადანახული სამეფო განძის ნაწილი გაუყვიათ, ხოლო მეტი ნაწილი კი იქვე დაუტოვებიათ. ხეამლის ძნელად მისაზგომი გამოქვაბული ორჯერ — 1939 და 1945 წლებში დაიპყრეს ქართველმა მთამსვლელებმა ალიოშა ჭაფარიძის ხელმძღვანელობით. განძი ვერ ნახეს, თუმცა კვალი კი ჩანდა...“

საქართველოს ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის გაუთავეშელი ბრძოლების ისტორიაა. ამ ბრძოლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მღვიმეებსა და გამოქვაბულებს, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ოდითგანვე იყენებდნენ სახიზრებად, თავშესაფრებად.



აწ განსვენებული ცნობილი ქართველი საზოგადო გადო მოღვაწე, მთამსვლელი. გეოლოგი და სპელეოლოგი კოტე ჭავრიშვილი, რომელიც სამხრეთ საქართველოს გამოქვაბულებსაც იკვლევდა, წერდა: „ზურტაკეტის ციხე-ხრამის ყველა თხუთმეტი ჯგუფის გამოქვაბულთა საერთო ტევადობას ჩვენ ვვარაუდობთ 12—15 კაცს, მათგან არანაკლებ 3—5 ათასს აქტიურ მებრძოლს (თაროსანგრების, ციხეებისა და სხვა საბრძოლო ქვაბების ტევადობის მიხედვით). გაცილებით უფრო ტევადია ქციის ციხეხრამი. აქ არსებულ გამოქვაბულთა ყველა 17 ჯგუფში შეიძლებოდა არანაკლებ 25—30 ათასი ადამიანის გახიზვნა... ქციის ხრამისა და მდინარე ქციის აუზის სხვა ხრამების მღვიმე-გამოქვაბულთა ზოგადი მიმოხილვაც კი ნათელპყოფს, თუ რა გამჭრიახობით, ოსტატურად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ბუნებრივ პირობებს ქვეყნის თავდაცვისათვის და რომ ამ თავდაცვის ორგანიზაციაში გარკვეული იდგილი მღვიმე-გამოქვაბულებს ეჭირათ, რომლებიც ჩვენი ხალხის ნიჭია, ცოდნაშ და დიდმა შრომისუნარიანობაშ სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოიყენა“*.

მაგრამ ზოგჯერ, ურიცხვი და პირსისხლიანი მტრის წინაშე გამოქვაბულებიც უძლეური იყო. ამ როგორ აღწერს XVI საუკუნის ირანელი ისტორი-

* კოტე ჭავრიშვილი. ქციის ხრამის მღვიმე-გამოქვაბულები. „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, ტ. 2, 1963 წ.



კოსი პასან რუმლუ თავის ნაწარმოებში „აპ ს თნა პთერა თავარიხ“ (უმშევენიერესი ისტორიათანი) შეკვეთის ზის შემოსევის დროს თმოგვის ციხის აღების ეპიზოდს, რომელშიც გამოქვაბულებსაც იხსენიებს:

„...ფერიების მსგავსი ქართველი ლამაზმანები ტყვედ წაიყვანეს. ქართველთა ერთმა ნაწილმა თავი შეაფარა მალალ მთებსა და მაგარ გამოქვაბულებს. ზოგი გამაგრდა (აწყურისა და ვანის ქვაბის) ციხეებში. ვარძიის ციხეში (ვ. გორგიჭანიძის მიხედვით ზარზმა) და ეკლესიაში, რომელიც ლვთის მიერ შექმნილ საკვირველებას წარმოადგენს... თმოგვის ციხე რამდენიმე სხვა ციხესთან ერთად დაპყრობილ იქნა, თმოგვის ხეობაში ურწმუნონი მალალ ადგილებსა და ქვაბებში ასულიყვნენ კიბეებით. ყიზილბაში ცხენოსნებისა და ქვეითების ერთი ჯგუფი მათემატიკოსის მიერ გაჭიმული თოკივით სწორად გამწკრივებული აღიოდა იმ ცასავით მალალ მთაზე და გამოქვაბულთა კარებზე ირეოდა ძარცვა-გლეჭისათვის, როგორც ფუტკარი სკების წინ. მათ დაიწყეს გამოქვაბულებში დაგროვილი ქონების ძარცვა და იმ ფერიის სახის მქონე ჭაბუკების ჯგუფ-ჯგუფად გამოყვანა, რომელნიც ტყვეობასა და გაძარცვის შიშით ქვაბებში დამალულიყვნენ ისე, თითქოს მეორეჯერ მოქცეულიყვნენ დედის საშოში...“*

ინგლისელმა რევოლუციურმა რომანტიკოსმა პერსი ბიში შელლიმ თავის ცნობილ დრამაში „გა-

* პასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. 1966 წ.
46

ნთავისუფლებული პრომეთევსი” ბევრი სცენისათ-
ვის გამოიყენა მღვიმე. ეს მღვიმეები მდებარეთშემზღვირთვა
კავკასიონზე, სადაც დრამის ეპიზოდები იშლება.

ფრიდრიხ შილერს ლექსში „ელევზინური დღე-
სასწაული“, რომელიც დაწერილია 180 წლის წი-
ნათ, გამოიცემული აქვს ბერძნული მითი: ქალლ-
მერთი ცერერა ოლიმპოლან დედამიწაზე ჩამოდის
მოტაცებული პროზერპინას საძებნელად და ხედავს,
რომ აქ ცხოვრობენ მხოლოდ ველური აღაშიანები,
რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან და არც ღმერ-
თები სწავთ:

„იმალებოდა ტროგლოდიტი*, მფრთხალი შიშვილი,
კლდის მღვიმეებში, ველური და დაუნდობელი...“**

შექსპირიც თავის „მაჯბეტში“ მე-4 მოქმედების
I სცენის სამოქმედო ასპარეზად ბნელ მღვიმეს
ირჩევს, სადაც ჯაფოქრები და მიწისქვეშა სამყა-
როს ქალღმერთი ჰეკატია მაჯბეტს მოაჩვენებენ მის
მიერ მოსყიდული კაცის ხელით მოკლული სარდ-
ლის ბანკოს და სხვათა სულებს.

იოპან გოეთემ ფაუსტისა და მეფისტოფელის
სამოქმედო ასპარეზადაც მე-14 სცენაში ტყე და
მღვიმე გამოიყენა.

მღვიმეებს მნიშვნელოვანი აღგილი უკავია სა-
მუელ ტეილორ კოლრიჭის ცნობილ პოემაში „ყე-
ბლა ხანი“. მოგვყავს ერთი აღგილი ამ პოემიდან:

*ტროგლოდიტი — მღვიმეში მცხოვრები.

** ვ. ეუროპეისეული რუსული თარგმანის გადმოქართუ-
ლება ჩვენია — თ. კ.



„სიამოვნების დიდებული რაღაც წყვდიალი, კითარცა ტალღა შეა გზაზე ყველაფერს შორის წყაროს რაკრაქი და მღვიმის ხმა უფრო დიალი, ერევა ერთურთს, ზღაპრულ პანგებს თითქოს ჩამოჲგავს, ესაა ძალზე იშეიათი რამ საოცრება, ყინულის მღვიმის დიდებული სანახაობა“*.

ინგლისშივე, კამბერლენდში მდებარე მშვენიერმა ყინულიანმა მღვიმემ შთაგონა ალბათ უოდს-ვორტს თავის პოემაში „ფილელიტი“ ადამიანთა გრძნობების სიწმინდე და სილრმე მღვიმესთან შეედარებინა:

„და ეუფლება მეგობართა გულებს გრძნობები,
ლრმა, უწმინდესი, როგორც მღვიმე, მოგონებები“**.

მოგვყავს ცეკა-ფშაველას პოემიდან „მთათა ერთობა“ პატარა ნაწყვეტი, რომელშიც ჩვენი ბუმბერაზი პოეტი და ფილოსოფოსი ხმარობს ქართულ სპელეოლოგიურ ტერმინებს „დარანი“ და „ეხი“:

„ამ დროს გაისჭა კლდილანა
წყრომა და ჭაჭვის ჩეარანი,
გმირის ხმა ისმის მეღვარი,
ზანზარებს კლდისა დარანი“.

ან კიდევ:

„მესმოდა ყოველი სიტყვა,
მწირისგან თქმული ეხშია“.

მღვიმე მრავალი მხატვრისა თუ კომპოზიტორის შთაგონების წყაროდაც ქცეულა. ასორმოცდაათი

* , ** თარგმანი ინგლისურიდან ჩვენია — თ. ქ.



წლის წინათ ცნობილი გერმანელი მუსიკოსი ჰარმონიული კომპოზიტორი ფელიქს მენდელსონი გართობისა და აქტიური დასვენების მიზნით შოტლანდიას სწვევია. იგი მოყვარული მხატვარიც ყოფილა და თან პეტრი წალებული მოლბერტი, ტილოები და სალებავები. მისი ბიოგრაფი შეით კაუფმანი წერს, რომ შოტლანდიაში, ზღვის პირას მდებარე ფინგალს მღვიმეს თავისი ზღაპრული მორთულობით, ვეებერთელა ორლანს რომ ჩამოჰვავდა, უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია კომპოზიტორზე. მენდელსონს ტილოები პეიზაჟების ხატვის ნაცვლად სანოტო ქალალდად გამოუყენებია და დაუწერია საქვეყნოდ ცნობილი უვერტიურა „ფინგალს მღვიმე“.

მღვიმეებს დიდი ადგილი უკავია ვაგნერის ტეტრალოგიაში „ნიბელუნგის ბეჭედი“, რომელიც ყველაზე გრანდიოზული ნაწარმოებია არა მარტო ამ გამოჩენილი კომპოზიტორის შემოქმედებაში, არამედ მსოფლიო მუსიკალური თეატრის ისტორიაშიც. ვაგნერმა მღვიმეები გამოიყენა ნიბელუნგების მეფის ალბერიხის და მისი ძმის მიმეს ადგილსაყოფელად. მღვიმეებშივე შრომობენ ალბერიხის მონები — ჯუჯა ნიბელუნგები, რომლებიც თავისი მეფისათვის ოქროს განძს აგროვებენ და ამუშავებენ. გოლიათი ფაფნერი კი, რომელსაც ღმერთები ვოტანი და ლოგე ალბერიხისათვის წართმეულ განძს აძლევენ ქალღმერთ ფრეიის ნაცვლად, ალბერიხის წყეველის თანახმად ურჩხულად იქცევა და ცხოვრობს მღვიმეებში...



ლეონარდო და ვინჩი წერდა: „მე და შემძლოთ მოგონილი და სურვილი შენილა ლე ჩემს ძლიერ ლტოლვას და სურვილს შენილა ხელოვან ბუნების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი და უცნაური ფორმების დიდი რაოდენობა, და ხეტიალისას მივადექი დიდი მღვიმის შესასვლელს. წამით შევჩერდი მის წინაშე გაოცებული... დავიხარე, რომ დამენახა, რა ხდებოდა იქ, სიღრმეში, მაგრამ ხელს მიშლიდა დიადი წყვდიადი. ასე ვიყავი რამდენსამე ხანს. უეცრად ჩემში გაიღვიძა ორმა გრძნობამ: შიშმა და სურვილმა; შიშმა მრისხანე და ბნელი მღვიმის წინაშე და სურვილმა მენახა, ხომ არაფერი იყო ღირსშესანიშნავი მის სიღრმეებში“. ხომ არ იმალება ამ სიტყვებში კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი გენიოსის შემოქმედებითი ძიების გზა? კარგადაა ცნობილი „ჯოკონდას“ ავტორის, დამოკიდებულება აღამიანისადმი. აი კიდევ ერთი ნაწყვეტი მისი ჩანაწერებიდან: „...და თუ მოიძებნებიან ადამიანთა შორის ისეთნი, რომელთაც გააჩნიათ კეთილი თვისებები და ღირსებები, ნუ განდევნით მათ თქვენგან, ეცით პატივი, რათა თქვენი ხრისებისგან თავის დასალწევად არ გაიქცნენ უდაბურ მღვიმეებში და სხვა განმარტოებულ ადგილებში“.

მისი ერთ-ერთი შედევრი „მაღონა მღვაჩეში“ იქცა ახალი ხელოვნების ზეიმად, მაღალი აღორძინების ეპოქის კლასიკურ ქმნილებად. ბედნიერება მქონდა საკუთარი თვალით მეხილა ლუცრის მუზეუმში ეს საოცრება: მღვიმის ჭერიდან ჩამოშვებულან სტალაქტიტები, შორს კი, გასასვლელში



მოჩანს ლურჯი ცა. წინა პლანზე პირამიდულქუჩავა
განლაგებული ოთხი ფიგურა — მაღონა, ორი ბავ-
შვი და უფრთებო ანგელოზი. საოცარი სიწმინდე
და იდუმალება გამოსჭვივის ამ ფიგურებში მღვი-
მის ფონზე, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს
მყუდროებას, ერთგვარ იდილიას.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა მღვი-
მებთან დაკავშირებულ ლეგენდებზე, მუსიკაზე,
პოეზიაზე, ხელოვნებაზე, მაგრამ ესეც საკმარისია
იმისათვის, რომ დაკრწმუნდეთ, თუ რა დიდი გავ-
ლენა პქონდა მღვიმებს ამა თუ იმ ხალხის ფოლკ-
ლორზე, კაცობრიობის ბრწყინვალე წარმოშადგენ-
ლების შემოქმედებაზე.



საქართველო
სამართლის
სამსახური

„ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდე-
საც ჩვენი ცოდნა და ბუნების შეცნობა
ყართოედება და ღრმავდება არნაზული
სისწრაფით; როდესაც ამ ცოდნის გამო-
ყენება ადამიანის მოთხოვნილებათა და
მისწრაფებათა დასაქმაყოფილებლად ჩვენს
წინაშე აყენებს სრულიად ახალ პრობ-
ლემებს“.

ოპერა გეიმერი

მღვიმეთა გამოყენებას ადამიანის მიერ მრავა-
ლი ათასი წლის ისტორია აქვს. პირველყოფილი
ადამიანი, როგორც ვიცით, მღვიმეებს იყენებდა
დროებით თავშესაფრად ან მუდმივ ბინად. მაგრამ
არა მარტო პირველყოფილი, არამედ თანამედროვე
ადამიანიც ფართოდ იყენებს მღვიმეებს თავისი სა-
ჭიროებებისათვის. მღვიმეებში არის მარადიული
სიბნელე, მუდმივი ტემპერატურა და ტენიანობა
(უმრავლესობაში), დიდი ფართობები, და იზოლი-
რებულნი არიან გარემოსაგან. ეს ბუნებრივი პი-
რობები და ხშირ შემთხვევაში მცირე დანახარჯები
კეთილმოსაწყობად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს
მღვიმეებს სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ
როგორ იყენებენ მღვიმეებს საზღვარგარეთის ზო-
გიერთ ქვეყანაში, საღაც ამის შედარებით ხანგრძ-
ლივი ტრადიციები არსებობს.

ყველაზე ფართო გამოყენება ბუნებრივი მა-



ციცერებისა და საწყობების სახით მღვიმეებმა ჰქონია ეს აშშ-ში და საფრანგეთში, ვაშინგტონის, შტატების, ორეგონის შტატების მღვიმეებს იყენებენ კარაქისა და კარტოფილის შესანახად, ლუდის დასაძლელებლად, ხორცის მარაგის შესანახად ზაფხულობით. ნიუ-იორკის შტატისა და სამხრეთ საფრანგეთის ზოგ მღვიმეში აძველებენ შამპანურს, ამრავლებენ შამპინიონებს და სხვ. საინტერესოა ფართოდ ცნობილი როკფორის ყველის წარმოშობის ისტორია. სამხრეთ საფრანგეთში, ავეირონში მწყემსები ხშირად აფარებდნენ თავს როკფორის მღვიმეს. ერთხელ მათ მღვიმეში დატოვეს პურისა და ყველის ნაჭრები. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა საქმე დაამთავრეს და უკან ბრუნდებოდნენ, მოშიებულებმა კვლავ ამ მღვიმეს მიაშურეს. პური გამხმარიყო, ყველს კი მომწვანო ზოლები დასდევდა. მწყემსებმა გასინჯეს ყველის გემო და ძალიან მოეწონათ. ამის შემდეგ დაიწყეს მღვიმეში ყველის გამოყვანა, რომელსაც როკფორის ყველი ეწოდა და დღეს მსოფლიოში განთქმული დელიკატესია.

მეორე მსოფლიო ომის დროს შეედეთში მღვიმეებში ამზადებდნენ ბომბებს. ამჟამად ამ მღვიმეებში მოთავსებულ მიწისქვეშა ქარხნებში წარმატებით შზადდება ოპტიკური ხელსაწყობი თვითმფრინავებისა და ავტომობილებისათვის.

აშშ-ში, კანზას-სიტის მღვიმეები განსაკუთრებულადაა გამოყენებული სხვადასხვა კომპანიების მიერ. აქაურ მღვიმეებში მოთავსებულია გაყინუ-

ლი საკვების, პლასტიკური ნავების, გამოყენებით
რემონტების, სათამაშოების წარმოების კომპლექსული
ბი, დედამიწის საზომი ლაბორატორია, წიწილების
ფერმა, კალმახების მეურნეობა. თევზაობის მოყვა-
რულები საწევრო გადასახადს იხდიან და აღტაცე-
ბულნი არიან თევზაობით მიწის ქვეშ.

მღვიმეთა ნაკადები ფართო გამოყენებას ჰქოუ-
ლობს ქალაქების, სოფლებისა და სხვა დასახლე-
ბული პუნქტების სასმელი წყლით მომარაგებაში.
მღვიმეთა ციფი და გემრიელი წყლით იქვებება
ისეთი ქალაქების მოსახლეობა, როგორიცაა გაგრა,
ტყიბული, ჭიათურა, შაორის მიდამოებში განლაგე-
ბული სოფლები, ახალი ათონი და სხვა მრავალი.
ასევეა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებსა და კურო-
რტებზე, საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში (საფ-
რანგეთი, იუგოსლავია, ესპანეთი, იტალია, ფრანგი,
უნგრეთი, ბულგარეთი, ავსტრიალია და სხვ.).

მღვიმური ნაკადების გამოყენება სასმელ წყლად
აუცილებლად მოითხოვს შემოწმებას, გაფრთ-
ხილებას, მქაცრ სანიტარულ კონტროლს, რა-
თა თავიდან იქნას აცილებული წყლის გაჭუჭ-
ყიანება, მისი ბაქტერიოლოგიური მოწამვლა და
სხვ. ხშირად ამ წყლების ზედაპირულ შემქრებ აუ-
ზებში განვითარებულია კარსტული ძაბრები და
ჭები. რელიეფის ამ ფორმებში ჩაცვენილი საქონ-
ლის გახრჯნის შედეგად ატმოსფერულ წყალს შე-
უძლია მიწის ქვეშ ჩაიტანოს მომწამვლელი ბაქტე-
რიები (ნაწლავის ჩხირები და სხვ.) და საშიში გახ-
დეს მოსახლეობისათვის. მაგალითად, ქართველი



ჰიდროლოგის გივი გიგინეიშვილის გამოკვლევების დადგინდა, რომ აფხაზეთში, სოფ. ოტაფის მოსახლეობის ნაწილი სასმელად იყენებდა კარსტული წყაროს წყალს, რომელიც მიწისქვეშა დინებით დაკავშირებული იყო აღლებიშის კარსტულ ჭასთან. ამ ჭაში კი წყალში ეგდო ძროხის ლეში.

მღვიმური ნაკადები ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროელსა-ლგურებისათვის. ასეთი ელსალგურები იგებულია საქართველოში ისეთ მდინარეებზე, როგორიცაა ჯირხვა, ბეგერეფსთა, რეჩხი, რაჩხა, მაჭარა, ბესლეთი; საფრანგეთში — მარტელის, პიერ-სენმარტენის უფსკრულების, ბლანშეს და ბურნილონის მღვიმურ ნაკადებზე.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს და უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს მღვიმეთა ნაკადების გამოყენება საკალმახე მეურნეობების განსავითარებლად. საბჭოთა კავშირში ასეთი სახის ყველაზე დიდი მეურნეობა შექმნილია აფხაზეთში, მცირთის (შავწყალას) ვოკლუზის ბაზაზე, საფრანგეთში — ვოკლუზის¹ წყაროს წყლებზე. იტალიაში შექმნილია 200-მდე, დანიაში — 500-ზე მეტი საკალმახე მეურნეობაა, ხოლო აშშ-ში — 2 მილიონზე მეტი სატბორე მეურნეობა. ჩვენს რესპუბლიკას შესანიშნავი ბუნებრივი პირო-

¹ სწორედ ამ ვეებერთელა მღვიმური წყაროს სახელი „ვოკლუზი“ იქცა დიდდებიტიანი კარსტული წყაროების აღმნიშვნელ საერთაშორისო ტერმინად.



ბები გააჩნია მცირთის მსგავსი საკალმახე უკუკინებელობა
ობების განსავითარებლად გაგრის, სოხუმის, გუ-
დაუთის, ახალი ათონის, ზუგდიდის, გეგემქორის,
ონის, ამბროლაურისა და სხვა რაიონებში.

მღვიმეებს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გამო-
ყენებაც აქვთ — ჯანმრთელობის სამსახურში მათი
ჩაყენება.

მღვიმეთა სამკურნალოდ გამოყენებას ხანგრძ-
ლივი ისტორია აქვს. ზოგიერთი მღვიმის სამკურნა-
ლო თვისებები ცნობილი იყო ჩვენს წელთაღრიცხ-
ვამდე. იტალიელმა სპელეოლოგებმა ორი ათეული
წლის წინათ სიცილიაში, ქრონიოს მთის ერთ-ერთ
მღვიმეში აღმოაჩინეს ტერაკოტის ამფორები. ვა-
რაულობენ, ეს ამფორები მღვიმეში მოხვდა VI—V
სს. ჩვ. წ.-მდე, სიცილის კოლონიზაციის პერიო-
დში ძველი ბერძნების მიერ. ასკვნიან, რომ ამ ამ-
ფორებში აგროვებდნენ მღვიმის კონდენსაციურ
წყალს, რომელსაც სამკურნალოდ თვლიდნენ. ამ
მღვიმის წინა ნაწილს, რომლის ტემპერატურაც 41
გრადუსია, ამეამად იყენებენ სამკურნალოდ. იგი
ცნობილია „წმინდა კალოჭერის ორთქლის აბანო-
ების“ სახელწოდებით.

ამჟამად მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში ფართოდ
იყენებენ მღვიმეებს სამკურნალოდ. მღვიმეებ-
ში მკურნალობა სპელეოთერაპიის სახელითაა
ცნობილი. იტალიაში, რომელიც სპელეოთერაპიის
სამშობლოდ ითვლება, გარდა ზემოთს სენებული
ქრონიოს მღვიმისა, სამკურნალოდ იყენებენ სან-
მარტინოს, ფეტილას, გრანტეს, ჯუსტის, აქვაზან-



ტას, სულფურეას (გოგირდოვანის) და სხვა მდგრადი მეცნიერებების მექანიზმების შესახებ. ამ მღვიმეთა თბილი ორთქლი და წყალმცირებების, როგორიცაა რევმატიზმი, სასუნთქი ირგანოების დავადებანი, ნევრალგიები, ნევრიტები, ართრიტები, იშიასი და სხვ. ასეთი სახის მღვიმეებს განიხილავთ როგორც თბილ მღვიმეებს. თბილ სამკურნალო მღვიმეთა რიცხვს ეკუთვნის უნგრეთის ტავას მღვიმე მიშეკოლცის მახლობლად. ამ მღვიმეში არის 1,2 მ სიღრმის ტბა, რომლის ტემპერატურა 30° -მდე აღწევს. წყალში მაღალი შემცველობაა რკინის, სპილენძის, მძიმე მეტალების იონებისა, ამ წყლის აბაზანებით მკურნალობენ გულის სხვადასხვა დაავადებებს, ხოლო ამავე ტემპერატურის მქონე მღვიმის ჰაერი, რომელიც შეიცავს რადიუმის ემანაციას, კარგად მოქმედებს სასუნთქ ირგანოებზე და მთლიანად ადამიანის ორგანიზმზე.

სპელეოთერაპიული მიზნებისათვის გამოიყენება ე. წ. „ცივი“ მღვიმეებიც. ბრონქიალური ასთმისა და ქრონიკული ბრონქიტების სამკურნალოდ იყენებენ კლუტერატის მღვიმეს ექსტრალიაში, დასავლეთ გერმანიაში. ასეთივე სტაციონარებია მოწყობილი უნგრეთში, აგტელეკისა და ბეკეს (მშვიდობის) მღვიმეებში, გერმანიის დემოკრატიულ ჩესპუბლიკაში — ზაალფელდში (ფერიის მღვიმე) და სხვაგან. ამ ორიოდე წლის წინ წარმატებით დაიწყეს ასეთივე ავადმყოფობების მკურნალობა წყალყეს ასეთივე ავადმყოფობების მღვიმეში, მაგრამ მისი შესაფერ სტაციონარად მოწყობა ჯერგერობით

ვერ მოხერხდა. ამას ერთგვარად „ხელი შეუშაფარებული მღვიმეში დაწყებულმა არქეოლოგიურმა განაზღავნება მა, რაც თავისთვად დიდი მეცნიერული ინტერესის შემცველია.

მეცნიერების აზრით კირქვებში განვითარებულ მღვიმეთა სამკურნალო თვისებები იმით აიხსნება, რომ ატმოსფერულ წყალს ნახშირორჟანგა გაზის სახით შეაქვს რაღიაქტიური ნახშირბაზი, რომელიც გროვდება სტალაქტიტებზე, სტალაგმიტებზე და სხვა ნაღვენთ ფორმებზე. ეს ნახშირბადი ხელს უწყობს მღვიმის ჰაერის იონიზაციას. ბეტა გამოსხივება სამკურნალო გავლენას ახდენს აღამიანზე, რომელსაც აქვს გულსისხლძარღვთა დაავალებანი, ასთმა, პრონქიტი, რევმატიზმი და სხვ.

საქართველოში ბევრია ისეთი მღვიმე, რომლის გამოყენებაც შეიძლება სამკურნალო მიზნებისათვის. აუცილებელია მათი შესწავლა სპეციალისტი მედიკოსების მიერ. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ენერგიულად უნდა მოპყიდოს ხელი ამ საინტერესო და საჭირო საქმეს სპელეოლოგებთან ერთად.

ყველაზე დიდი გამოყენება მღვიმეებს აქვს ტურისტული სანახაობითი ობიექტების სახით. ამ მიზნებისათვის ტარდება მღვიმეთა ქეთილმოწყობითი სამუშაოები და იქმნება ისეთი პირობები, რომ ტურისტებს გაუაღვილდეთ მღვიმის დათვალიერება, თან დიდი ყურადღება ექცევა ადვილად მსხვრევადი იშვიათი მღვიმური წარმონაქმნების და საერთოდ მღვიმის დაცვას. ქვემოთ მოვიყ-



ვანთ რამდენიმე მაგალითს, თუ სად და ოოგორაა გამოყენებული მღვიმეები სანახაობით ობიექტების გადასაცემა.

კეთილმოწყობილ მღვიმეთა რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც განთქმულია საერთოდ დიდი ზომის მღვიმეებით და მათი ტურისტული თვალსაზრისით გამოყენებასაც 166 წლის ისტორია აქვს. პირველი მღვიმე, რომელიც ამ მიზნით გამოიყენეს, იყო მამონტის, და 1816 წლიდან დღემდე შენახველთა ნაკადი სულ უფრო მატულობს. ამას დღეისათვის კეთილმოწყობილ მღვიმეთა რიცხვმა 160-ს გადააჭირდა.

კეთილმოწყობილ მღვიმეთა რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზეა საფრანგეთი (138 მღვიმე). დიდ ბრიტანეთში ტურისტული მიზნებისთვის გამოყენებულია 40 მღვიმე, გფრ-ში — 35, იტალიაში — 34, იუგოსლავიაში — 24, ჩეხოსლოვაკიაში — 21. მრავალი კეთილმოწყობილი მღვიმეა უნგრეთში, პოლონეთში, გდრ-ში, რუმინეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ავსტრიალიაში, იაპონიაში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში. კაპიტალისტურ ქვეყნებში უმრავლეს მღვიმეთა კეთილმოწყობითი სამუშაოები და მათი ექსპლოატაცია კერძო ფირმებისა და პირების ხელშია. ცნობილი ფაქტია, რომ კაპიტალისტი თავის კაპიტალს არ დააბანდებს ისეთ საქმეში, საიდანაც მას დიდი მოგება არ ექნება. სწორედ დიდ მოგებას იძლევა მღვიმეთა ექსპლოატაცია.

სოციალისტურ ქვეყნებში მღვიმეთა კეთილმა-
წყობას სახელმწიფო აწარმოებს და შემოწმებული
სახელმწიფოსია.

ტურისტული მიზნებისთვის გამოყენებულ მღვი-
მებთან, როგორც წესი, აშენებულია სასტუმროე-
ბი, კემპინგები, მოტელები, არის ფასიანი ავტოსა-
დგომები, კარგადაა დაყენებული რეკლამის საქმე,
გაყვანილია გზები, იყიდება მრავალი სახის თემა-
ტური სუვენირები, წიგნები, ბუკლეტები, გზამკვ-
ლევები, ღია ბარათები, სლაიდები და ა. შ., მუშაო-
ბენ რესტორნები და კაფეები, ბარები და სასადი-
ლოები.

ქართველმა სპელეოლოგებმა უკანასკნელი 15
წლის მანძილზე საზღვარგარეთის ევროპის მრავა-
ლი კეთილმოწყობილი მღვიმე მოინახულეს და და-
რწმუნდნენ მღვიმეთა გამოყენების ორმაგ ეფექ-
ტიანობაში; ერთი მხრივ, ესაა ტურისტთა ქმაყო-
ფილება და ალტაცება მღვიმეთა ხილვით, მეორე
მხრივ კი დიდი შემოსავალი ამ მღვიმეთა გონივ-
რული ექსპლოატაციით. მაგალითად, იუგოსლავია-
ში ისეთ დონეზეა დაყენებული მღვიმეთა კეთილ-
მოწყობა, რომ სპელეოლოგთა IV საერთაშორისო
კონგრესი 1965 წელს გაიხსნა აქაურ ცნობილ
მღვიმეში — პოსტოინაში, სადაც ერთ-ერთ დარ-
ბაზში 10 ათასი კაცი ეტევა და ხშირად იმართება
კონცერტები ან წარმოდგენები. ამ მღვიმეს იმდე-
ნი მნახეველი ჰყავს, რომ მას იუგოსლავიის ტურიზ-
მის ბარომეტრსაც უწოდებენ. რესპუბლიკების მი-
ხედვით აქ ასეთი სურათია: სლოვენიაში კეთილ-



მოწყობილია 10 მლვიმე და წელიწადში ამ მღვიმეთა რაოდ მის მნახველთა რიცხვი 800 ათასს აჭარბებს. ხორციანობისა ვატიაში შესაბამისად 7 და 311 ათასი. ბოსნია-კერცეგოვინაში — 3 და 110 ათასი, სერბიაში — 3 და 226 ათასი კაცი. სულ იუგოსლავის 24 კეთილმოწყობილ მღვიმეს წელიწადში საშუალოდ 1,5 მილიონამდე ტურისტი ათვალიერებს. იშვიათია ტურისტი, რომ არ იყიდოს რაიმე სუვენირი, ლიანიარათები, სლაიდები, არ ისაღილოს მღვიმესთან აგებულ რესტორანში, ზოგიერთი კი ღამეებსაც ათევენ მახლობელ სასტუმროებსა და კემპინგებში. შემოსავლის დიდი ნაწილი მოდის უცხოელი ტურისტების ხარჯზე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოთა კავშირში და კერძოდ, საქართველოში? უკანასკნელ წლებამდე საბჭოთა კავშირში არსებობდა ერთადერთი კეთილმოწყობილი კუნგურის ყინულოვანი მღვიმე პერმიდან 100 კმ-ის დაშორებით. მიუხედავად სიშორისა, მას მაინც ყოველწლიურად 200 ათასი კაცი ათვალიერებს. უკვე დაწყებულია ყირინისა და პოდოლის ზოგიერთი მღვიმის კეთილმოწყობითი სამუშაოები.

საქართველო ხელოვნური გამოქვაბულებისა და ბუნებრივი მღვიმეების რაოდენობით საოცრად მდიდარია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ იგი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიექცა ყურადღება მღვიმეთა კეთილმოწყობის დიდ საქმეს. კიდევ 1925 წლიდან, როდესაც პეტრე ჭაბუკავერ კიდევ 1925 წლიდან, როდესაც პეტრე ჭაბუკავერ



ანშა აღმოაჩინა სათაფლიის მღვიმე, საფუძვლებით ჩატარებული მდგრადი მოვალეობის მიერ მღვიმე გამოიყენებოდა ულამაზესი სტალაქტიტები და სტალაგმიტები, ზოგნი ამტკრევდნენ კიდევ მათ, კედლებზე ჩნდებოდა წარწერები და სხვა.

1966 წელს საქართველოს სსრ ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება სათაფლიისა და ანალი ათონის მღვიმეთა კეთილმოწყობის შესახებ. სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 1971 წელს. ახალი ათონის მღვიმე ექსპლოატაციაში შევიდა 1975 წელს და საქვეყნო აღიარებაც მოიპოვა. ახალი ათონის მღვიმის შესწავლისა და კეთილმოწყობისა სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა 1977 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაც კი დაიმსახურა.

მაგრამ კვლავ მშეველელს ელიან სათაფლიის მღვიმე და იქვე მდებარე დინოზაერების ნაკვალევები. კვლავ ჰაერშია გამოკიდებული საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ულამაზესი და უდიდესი მღვიმის აბრსკილის პროექტი, რომლის პირველი ვარიანტი ჯერ კიდევ 1957 წელს შეიქმნა. უნდა დაჩქარდეს ცუცხვათის უნიკალური მრავალსართულიანი მღვიმის კეთილმოწყობაც.

ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობათა სამშართველომ კეთილმოწყო საწურბლიის მღვიმე წყალტუბოს რაიონში და ბევრი აღარაფერი უკლია თეთრი მღვიმის კეთილმოწყობითი სამუშაოები.



ბის დამთავრებასაც. სათაფლის ტერიტორიაზე უკუნიორთვა
დამთავრდა და მალე ჩადგება ხალხის სამსახურში
საბჭოთა კავშირში პირველი სპელეოლოგიური
მუზეუმი.

დროა მივხედოთ ხელოვნურ გამოქვაბულებსაც.
სასწრაფოდ უნდა დაიწყოს უფლისციხის, დავით
გარეჯის, გარძის გამოქვაბულ-ქალაქებისა და სა-
მონასტრო კომპლექსების კეთილმოწყობა. რი-
გში დგანან ვანის ქვაბები, სამსარის, აბუხალოს,
თმოვეის, ქციის ხრამისა და მისი შენაკადების,
მტკერისა და მისი შენაკადების უამრავი გამოქვაბუ-
ლები, რომლებიც ჩვენი წინაპრების შემოქმედების
ნაყოფს, სახიზრებსა თუ საკულტო ნაგებობებს
და ერის კულტურის ხელთუქმნელ ძეგლებს წარ-
მოადგენენ.

„წინათ ბუნება ემუქრებოდა აღამიანს,
ახლა კი აღამიანი ემუქრება ბუნებას“.

კუსტო

მღვიმეთა და გამოქვაბულთა სწორი, გონივ-
რული გამოყენება, ისევე, როგორც ისტორიის,
არქეოლოგიის, კულტურის თუ ბუნების სხვა ძეგ-
ლებისა, წარმოუდგენელია მათი მოვლა-პატრონო-
ბისა და დაცვის გარეშე.

ბუნებისა და მისი ძეგლების დაცვის პრობლემა
ახალი არ არის. ტერმინი „ბუნების ძეგლი“ პირვე-
ლად იხმარა 1819 წელს გამოჩენილმა გერმანელმა
ბუნებისმეტყველმა და მოგზაურმა, თანამედროვე
ფიზიკური გეოგრაფიის ერთ-ერთმა ფუძემდებელ-
მა ალექსანდრე ფრიდრიხს ვილჰელმ პუმბოლდტმა.
ეს დიდი მეცნიერი ბუნების ძეგლებს უწოდებდა
საინტერესო კლდეებს, უძველეს ხეებს, რომელთა
დაცვა და შთამომავლობისათვის შენარჩუნება აუ-
ცილებელ საქმედ მიაჩნდა. ტერმინი „ბუნების ძე-
გლი“ საუკუნენახევრის წინ იხმარა აგრეთვე დიდ-
მა პოლონელმა პოეტმა ადამ მიცკევიჩმა პოემაში
„პან თადეუში“. მან ეს გამოთქმა გამოიყენა მშობ-
ლიური ადგილების უძველესი ხეების მიმართ და
გულისტივილით აღნიშნავდა, რომ ძველ ტყეებს
შეუბრალებლად ძარცვავენ და ანადგურებენ.

ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, არქიტექ-
ტურის ძეგლებისგან განმხოლოებით ბუნების ძეგ-



წლის წინათ ცნობილი გერმანელი მუსიკოსი და კომპოზიტორი ფელიქს მენდელსონი გართობის და აქტიური დასვენების მიზნით შოტლანდიას სწვევია. იგი მოყვარული მხატვარიც ყოფილა და თან პჟონია წალებული მოლბერტი, ტილოები და სალებავები. მისი ბიოგრაფი შეით კაუფმანი წერს, რომ შოტლანდიაში, ზღვის პირას მდებარე ფინგალის მღვიმეს თავისი ზღაპრული მორთულობით, ეკებერთელა ორლანს რომ ჩამოჰვავდა, უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია კომპოზიტორზე. მენდელსონს ტილოები პეიზაჟების ხატვის ნაცელად სანოტო ქაღალდად გამოუყენებია და დაუწერია საქვეყნოდ ცნობილი უვერტიურა „ფინგალის მღვიმე“.

მღვიმეებს დიდი ადგილი უკავია ვაგნერის ტერიალოგიაში „ნიბელუნგის ბეჭედი“, რომელიც ყველაზე გრანდიოზული ნაწარმოებია არა მარტო ამ გამოჩენილი კომპოზიტორის შემოქმედებაში, არამედ მსოფლიო მუსიკალური თეატრის ისტორიაშიც. ვაგნერმა მღვიმეები გამოიყენა ნიბელუნგების მეფის ალბერიხის და მისი ძმის მიმეს ადგილსა მყოფელად. მღვიმეებშიც შრომობენ ალბერიხის მონები — ჯუჯა ნიბელუნგები, რომლებიც თავისი მეფისათვის ოქროს განძს ავროვებენ და ამუშავებენ. გოლიათი ფაფნერი კი, რომელსაც ლმერთები ვოტანი და ლოგე ალბერიხისათვის წართმეულ განძს აძლევენ ქალღმერთ ფრეიის ნაცელად, ალბერიხის წყევლის თანახმად ურჩხულად იქცევა და ცხოვრობს მღვიმეებში...

ლეონარდო და ვინჩი წერდა: „მე დავშემუშავი
ლე ჩემს ძლიერ ლტოლვას და სურვილუსა და მიუსა
ხელოვან ბუნების მიერ შექმნილი მრავალფეროვა-
ნი და უცნაური ფორმების დიდი რაოდენობა, და
ხეტიალისას მივადექი დიდი მღვიმის შესასვლელს.
წამით შევჩერდი მის წინაშე გაოცებული... დავიხა-
რე, რომ დამენახა, რა ხდებოდა იქ, სილრმეში,
მაგრამ ხელს მიშლიდა დიადი წყვდიადი. ასე
ვიყავი რამდენსამე ხანს. უეცრად ჩემში გაიღვიძა
ორმა გრძნობამ: შიშმა და სურვილმა; შიშმა მრის-
ხანე და ბნელი მღვიმის წინაშე და სურვილმა მენა-
ხა, ხომ არაფერი იყო ღირსშესანიშნავი მის სილრ-
მეებში“. ხომ არ იმალება ამ სიტყვებში კაცობრი-
ობის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი გენიოსის
შემოქმედებითი ძიების გზა? კარგადაა ცნობილი
„ჯოკონდას“ ავტორის დამოკიდებულება ადამიანი-
სადმი. აი კიდევ ერთი ნაწყვეტი მისი ჩანაწერები-
დან: „...და თუ მოიძებნებიან ადამიანთა შორის
ისეთნი, რომელთაც გააჩნიათ კეთილი თვისებები
და ღირსებები, ნუ განდევნით მათ თქვენგან, ეცით
პატივი, რათა თქვენი ხრისებისგან თავის დასაღწე-
ვად არ გაიქცნენ უდაბურ მღვიმეებში და სხვა
განმარტოებულ ადგილებში“.

მისი ერთ-ერთი შედევრი „მადონა მღე-შეში“
იქცა ახალი ხელოვნების ზეიმად, მალალი ალორძი-
ნების ეპოქის კლასიკურ ქმნილებად. ბეღნიერება
მქონდა საკუთარი თვიალით მეხილა ლუვრის მუ-
ზეუმში ეს საოცრება: მღვიმის ჭერიდან ჩამოშვე-
ბულან სტალაქტიტები, შორს კი, გასასვლელში



მოჩანს ლურჯი ცა. წინა პლანზე პირამიდულაფერებული
განლაგებული ოთხი ფიგურა — მადონა, ორი გვერდის მიერთებული შვილი და უფრთებო ანგელოზი. საოცარი სიწმინდე
და იდუმალება გამოსჭვივის ამ ფიგურებში მღვი-
მის ფონზე, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს
მყუდროებას, ერთგვარ იდილიას.

კიდევ ბეცრი რამის თქმა შეიძლებოდა მღვი-
მეებთან დაკავშირებულ ლეგენდებზე, მუსიკაზე,
პოეზიაზე, ხელოვნებაზე, მაგრამ ესეც საკმარისია
იმისათვის, რომ დაერწმუნდეთ, თუ რა დიდი გავ-
ლენა ჰქონდა მღვიმეებს ამა თუ იმ ხალხის ფოლკ-
ლორზე, კაცობრიობის ბრწყინვალე წარმომადგენ-
ლების შემოქმედებაზე.



„ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდე-
საც ჩვენი ცოდნა და ბუნების შეცნობა
ფართოელება და ღრმავდება არნახული
სისწრაფით; როდესაც ამ ცოდნის გამო-
ყენება ადამიანის მოთხოვნილებათა და
მისწრაფებათა დასაქმაყოფილებლად ჩვენს
წინაშე აყენებს სტულიად ახალ პრობ-
ლემებს“.

ო პ ე ნ გ ე ი მ ე რ ი

მღვიმეთა გამოყენებას ადამიანის მიერ მრავა-
ლი ათასი წლის ისტორია აქვს. პირველყოფილი
ადამიანი, როგორც ვიცით, მღვიმეებს იყენებდა
დროებით თავშესაფრად ან მუდმივ ბინად. მაგრამ
არა მარტო პირველყოფილი, არამედ თანამედროვე
ადამიანიც ფართოდ იყენებს მღვიმეებს თავისი სა-
ჭიროებებისათვის. მღვიმეებში არის მარადიული
სიბნელე, მუდმივი ტემპერატურა და ტენიანობა
(უმრავლესობაში), დიდი ფართობები, და იზოლი-
რებულნი არიან გარემოსაგან. ეს ბუნებრივი პი-
რობები და ხშირ შემთხვევაში მცირე დანახარჯები
კეთილმოსაწყობად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს
მღვიმეებს სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ
როგორ იყენებენ მღვიმეებს საზღვარგარეთის ზო-
გიერთ ქვეყანაში, სადაც ამის შედარებით ხანგრძ-
ლივი ტრადიციები არსებობს.

ყველაზე ფართო გამოყენება ბუნებრივი მა-



ცივრებისა და საწყობების სახით მღვიმეებმა ჰქონდათ კულტურული გენერაციების შემცირების და საფრანგეთში. ვაშინგტონის, შეისტუდიონის, ორეგონის შტატების მღვიმეებს იყენებენ კარაქისა და კარტოფილის შესანახად, ლუდის დასაძელებლად, ხორცის მარაგის შესანახად ზაფხულობით. ნიუ-იორკის შტატისა და სამხრეთ საფრანგეთის ზოგ მღვიმეში აძველებენ შამპანურს, ამრავლებენ შამპანიონებს და სხვ. საინტერესოა ფართოდ ცნობილი როკფორის ყველის წარმოშობის ისტორია. სამხრეთ საფრანგეთში, ავეირონში მწყემსები ხშირად აფარებდნენ თავს როკფორის მღვიმეს. ერთხელ მათ მღვიმეში დატოვეს პურისა და ყველის ნაჭრები. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა საქმე დამთავრეს და უკან ბრუნდებოდნენ, მოშიებულებმა კვლავ ~ ამ მღვიმეს მიაშურეს. პური გამხმარიყო, ყველს კი მომწვანო ზოლები დასდევდა. მწყემსებმა გასინჯეს ყველის გემო და ძალიან მოწონათ. ამის შემდეგ დაიწყეს მღვიმეში ყველის გამოყვანა, რომელსაც როკფორის ყველი ეწოდა და დღეს მსოფლიოში განთქმული დგლიცატებისა.

მეორე მსოფლიო ომის დროს შვედეთში მღვიმეებში ამზადებდნენ ბომბებს. ამჟამად ამ მღვიმეებში მოთავსებულ მიწისქვეშა ქარხნებში წარმატებით მზადდება ოპტიკური ხელსაწყოები თვითმფრინავებისა და ავტომობილებისათვის.

აშშ-ში, კანზას-სიტის მღვიმეები განსაკუთრებულადაა გამოყენებული სხვადასხვა კომპანიების მიერ. აქაურ მღვიმეებში მოთავსებულია გაყინუ-



ლი საკვების, პლასტიკური ნაცების, გამოყენების რემონტების, სათამაშოების წარმოების კომპანიები, დედამიწის საზომი ლაბორატორია, წიწილების ფერმა, კალმახების მეურნეობა. თევზაობის მოყვარულები საწევრო გადასახადს იხდიან და აღტაცებულნი არიან თევზაობით მიწის ქვეშ.

მღვიმეთა ნაკადები ფართო გამოყენებას ჰქოულობს ქალაქების, სოფლებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სასმელი წყლით მომარაგებაში. მღვიმეთა ცივი და გემრიყელი წყლით იკვებება ისეთი ქალაქების მოსახლეობა, როგორიცაა გაგრა, ტყიბული, ჭიათურა, შაორის მიდამოებში განლაგებული სოფლები, ახალი ათონი და სხვა მრავალი. ასევეა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებსა და კურორტებშე, საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში (საფრანგეთი, იუგოსლავია, ესპანეთი, იტალია, ფრგ, უნგრეთი, ბულგარეთი, ავსტრიალია და სხვ.).

მღვიმური ნაკადების გამოყენება სასმელ წყლად აუცილებლად მოითხოვს შემოწმებას, გაფრთხილებას, მკაურ სანიტარულ კონტროლს, რათა თავიდან იქნას აცილებული წყლის გაჭუჭყიანება, მისი ბაქტერიოლოგიური მოწამვლა და სხვ. ხშირად ამ წყლების ზედაპირულ შემკრებ აუზებში განვითარებულია კარსტული ძაბრები და ჭები. რელიეფის ამ ფორმებში ჩაცვენილი საქონლის გახრმნის შედეგად ატმოსფერულ წყალს შეუძლია მიწის ქვეშ ჩაიტანოს მომწამვლელი ბაქტერიები (ნაწლავის ჩხირები და სხვ.) და საშიში გახდეს მოსახლეობისათვის. მაგალითად, ქართველი



ჰიდროლოგის გივი გიგინეიშვილის გამოკვლევით დადგინდა, რომ აფხაზეთში, სოფ. ოტაფის მოსახლეობის ლეობის ნაწილი სასმელად იყენებდა კარსტული წყაროს წყალს, რომელიც მიწისქვეშა ღინებით დაკავშირებული იყო ადლეიტიშის კარსტულ ჭას-თან. ამ ჭაში კი წყალში ეგდო ძროხის ლეში.

მღვიმური ნაკადები ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროელსა-დგურებისათვის. ასეთი ელსადგურები აგებულია საქართველოში ისეთ მდინარეებზე, როგორიცაა ჯირხვა, ბეგერეფსთა, რეჩი, რაჩხა, მაჭარა, ბეს-ლეთი; საფრანგეთში — მარტელის, პიერ-სენმარ-ტენის უფსკრულების, ბლანშეს და ბურნილონის მღვიმურ ნაკადებზე.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს და უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს მღვიმეთა ნაკადების გამოყენება საკალმახე მეურნეობების განსავითარებლად. საბჭოთა კავშირში ასეთი სახის ყველაზე დიდი მეურნეობა შექმნილია აფხაზეთში, მცირთის (შავწყალას) ვოკლუზის ბაზაზე, საფრანგეთში — ვოკლუზის¹ წყაროს წყლებზე. იტალიაში შექმნილია 200-მდე, დანიაში — 500-ზე მეტი საკალმახე მეურნეობაა, ხოლო აშშ-ში — 2 მილიონზე მეტი სატბორე მეურნეობა. ჩვენს რესპუბლიკას შესანიშნავი ბუნებრივი პირო-

1 სწორედ ამ ვეებერთელა მღვიმური წყაროს სახელი „ვოკლუზი“ იქცა დიდდებიტიანი კარსტული წყაროების აღმნიშვნელ საერთაშორისო ტერმინად.



ბები გააჩნია მჭიდროს მსგავსი საკალმახეუშეუტნები თბების განსავითარებლად გაგრის, სოჭუშის, გუდაუთის, ახალი ათონის, ზუგდიდის, გევაჭეორის, ონის, ამბროლაურისა და სხვა რაიონებში.

მღვიმეებს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გამოყენებაც აქვთ — ჯანმრთელობის სამსახურში მათი ჩაყენება.

მღვიმეთა სამკურნალოდ გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ზოგიერთი მღვიმის სამკურნალო თვისებები ცნობილი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იტალიელმა სპელეოლოგებმა ორი ათეული წლის წინათ სიცილიაში, კრონიოს მთის ერთ-ერთ მღვიმეში აღმოაჩინეს ტერაკოტის ამფორები. ვარაუდობენ, ეს ამფორები მღვიმეში მოხვდა VI—V სს. ჩვ. წ.-მდე, სიცილიის კოლონიზაციის პერიოდში ძველი ბერძნების მიერ. ასკვნიან, რომ ამ ამფორებში აგროვებდნენ მღვიმის კონდენსაციურ წყალს, რომელსაც სამკურნალოდ თვლიდნენ. ამ მღვიმის წინა ნაწილს, რომლის ტემპერატურაც 41 გრადუსია, ამეამად იყენებენ სამკურნალოდ. იგი ცნობილია „წმინდა კალოჭერის ორთქლის აბანოების“ სახელწოდებით.

ამჟამად მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში ფართოდ იყენებენ მღვიმეებს სამკურნალოდ. მღვიმეებში მკურნალობა სპელეოთერაპიის სახელითაა ცნობილი. იტალიაში, რომელიც სპელეოთერაპიის სამშობლოდ ითვლება, გარდა ზემოთხსენებული კრონიოს მღვიმისა, სამკურნალოდ იყენებენ სანმარტინოს, ფეტილას, გრანტეს, ჯუსტის, აქვაზან-



ტას, სულფურეას (კოგირდოვანის) და სხვა მუნიციპალიტეტების მეებს. ამ მღვიმეთა თბილი ორთქლი და წყალი წარმატებით კურნავს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა რევმატიზმი, სასუნთქი ორგანოების დაავადებანი, ნევრალგიები, ნევრიტები, ართრიტები, იშიასი და სხვ. ასეთი სახის მღვიმეებს განიხილავენ როგორც თბილ მღვიმეებს. თბილ სამკურნალო მღვიმეთა რიცხვს ეკუთვნის უნგრეთის ტავას მღვიმე მიშეკოლცის მახლობლად. ამ მღვიმეში არის 1,2 მ სიღრმის ტბა, რომლის ტემპერატურა 30° -მდე აღწევს. წყალში მაღალი შემცველობაა რკინის, სპილენძის, მძიმე მეტალების იონებისა, ამ წყლის აბაზანებით მკურნალობენ გულის სხვადასხვა დაავადებებს, ხოლო ამავე ტემპერატურის მქონე მღვიმის ჰაერი, რომელიც შეიცავს რადიუმის ემანაციას, კარგად მოქმედებს სასუნთქ ორგანოებზე და მთლიანად აღამიანის ორგანიზმზე.

სპელეოთერაპიული მიზნებისათვის გამოიყენება ე. წ. „ცივი“ მღვიმეებიც. ბრონქიალური ასთმისა და ქრონიკული ბრონქიტების სამკურნალოდ იყენებენ კლუტერატის მღვიმეს ვესტფალიაში, დასავლეთ გერმანიაში. ასეთივე სტაციონარებია მოწყობილი უნგრეთში, ავტრიელეკისა და ბეკეს (მშეიღობის) მღვიმეებში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ზაალფელდში (ფერიის მღვიმე) და სხვაგან. ამ ორიოდე წლის წინ წარმატებით დაიწყეს ასეთივე ავადმყოფობების მკურნალობა წყალტუბოში მდებარე თეთრ მღვიმეში, მაგრამ მისი შესაფერ სტაციონარიად მოწყობა ჭერჭერობით



ვერ მოხერხდა. ამას ერთგვარად „ხელი შეუქრძნება
მღვიმეში დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრება-
მა, ჩაც თავისთვად დიდი მეცნიერული ინტერე-
სის შემცველია.

მეცნიერების აზრით კირქვებში განვითარებულ
მღვიმეთა სამკურნალო თვისებები იმით აიხსნება,
რომ ატმოსფერულ წყალს ნახშირორჟანგა გაზის
სახით შეაქვს რადიაქტიური ნახშირბაზი, რომელიც
გროვდება სტალაქტიტებზე, სტალაგმიტებზე და
სხვა ნაღვენთ ფორმებზე. ეს ნახშირბადი ხელს
უწყობს მღვიმის ჰაერის იონიზაციას. ბეტა გამოს-
ხივება სამკურნალო გავლენას ახდენს ადამიანზე,
რომელსაც აქვს გულსისხლძარღვთა დაავადებანი,
ასთმა, ბრონქიტი, რევმატიზმი და სხვ.

საქართველოში ბევრია ისეთი მღვიმე, რომ-
ლის გამოყენებაც შეიძლება სამკურნალო მიზნე-
ბისათვის. აუცილებელია მათი შესწავლა სპე-
ციალისტი მედიკოსების მიერ. რესპუბლიკის ჯან-
მრთელობის დაცვის სამინისტრომ ენერგიულად
უნდა მოპეიდოს ხელი ამ საინტერესო და საჭირო
საქმეს სპელეოლოგებთან ერთად.

ყველაზე დიდი გამოყენება მღვიმეებს აქვს
ტურისტული სანახაობითი ობიექტების სახით. ამ
მიზნებისათვის ტარდება მღვიმეთა კეთილმოწყობითი სამუშაოები და იქმნება ისეთი პირობები,
რომ ტურისტებს გაუაღვილდეთ მღვიმის დათვალიერება, თან დიდი ყურადღება ექცევა აღვი-
ლად მსხვრევადი იშვიათი მღვიმური წარმონაქმნე-
ბის და საერთოდ მღვიმის დაცვას. ქვემოთ მოვიყ-



ვანთ რამდენიმე მაგალითს, თუ საღ და როგორად შემოვალებული მღვიმეები სანახაობით ობიექტებზე ჰალ.

კეთილმოწყობილ მღვიმეთა რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც განთქმულია საერთოდ დიდი ზომის მღვიმეებით და მათი ტურისტული თვალსაზრისით გამოყენებასაც 166 წლის ისტორია აქვს. პირველი მღვიმე, რომელიც ამ მიზნით გამოიყენეს, იყო მამონტის, და 1816 წლიდან დღემდე შენახველთა ნაკადი სულ უფრო მატულობს. აშშ დღეისათვის კეთილმოწყობილ მღვიმეთა რიცხვმა 160-ს გადააჭირბა.

კეთილმოწყობილ მღვიმეთა რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზეა საფრანგეთი (138 მღვიმე). დიდ ბრიტანეთში ტურისტული მიზნებისთვის გამოყენებულია 40 მღვიმე, გფრ-ში — 35, იტალიაში — 34, იუგოსლავიაში — 24, ჩეხოსლოვაკიაში — 21. მრავალი კეთილმოწყობილი მღვიმეა უნგრეთში, პოლონეთში, გდრ-ში, რუმინეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ავსტრიალიაში, იაპონიაში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში. კაპიტალისტურ ქვეყნებში უმრავლეს მღვიმეთა კეთილმოწყობითი სამუშაოები და მათი ექსპლოატაცია კერძო ფინანსებისა და პირების ხელშია. ცნობილი ფაქტია, რომ კაპიტალისტი თავის კაპიტალს არ დააბანდებს ისეთ საქმეში, საიდანაც მას დიდი მოგება არ ექნება. სწორედ დიდ მოგებას იძლევა მღვიმეთა ექსპლოატაცია.



სოციალისტურ ქვეყნებში მღვიმეთა კეთილდღიური
წყობას სახელმწიფო აწარმოებს და შემოსიზუალურ
სახელმწიფოსია

ტურისტული მიზნებისთვის გამოყენებულ მღვი-
მებთან, როგორც წესი, აშენებულია სასტუმროე-
ბი, კემპინგები, მოტელები, არის ფასიანი ავტოსა-
დგომები, კარგადაა დაყენებული რეკლამის საქმე,
გაყვანილია გზები, იყიდება მრავალი სახის თემა-
ტური სუვენირები, წიგნები, ბუკლეტები, გზამკვ-
ლევები, ღია ბარათები, სლაიდები და ა. შ., მუშაო-
ბენ რესტორნები და კაფეები, ბარები და სასაღი-
ლოები.

ქართველმა სპელეოლოგებმა უკანასკნელი 15
წლის მანძილზე საზღვარგარეთის ევროპის მრავა-
ლი კეთილმოწყობილი მღვიმე მოინახულეს და და-
რწმუნდნენ მღვიმეთა გამოყენების ორმაგ ეფექ-
ტიანობაში; ერთი მხრივ, ესაა ტურისტთა კმაყო-
ფილება და აღტაცება მღვიმეთა ხილვით, მეორე
მხრივ კი დიდი შემოსავალი ამ მღვიმეთა გონივ-
რული ექსპლოატაციით. მაგალითად, იუგოსლავია-
ში ისეთ დონეზეა დაყენებული მღვიმეთა კეთილ-
მოწყობა, რომ სპელეოლოგთა IV საერთაშორისო
კონგრესი 1965 წელს გაიხსნა აქაურ ცნობილ
მღვიმეში — პოსტონიაში, საღაც ერთ-ერთ დარ-
ბაზში 10 ათასი კაცი ეტევა და ხშირად იმართება
კონცერტები ან წარმოდგენები. ამ მღვიმეს იმღე-
ნი მნახველი ჰყავს, რომ მას იუგოსლავიის ტურიზ-
მის ბარომეტრსაც უწოდებენ. რესპუბლიკების მი-
ხედვით აქ ასეთი სურათია: სლოვენიაში კეთილ-
60



მოწყობილია 10 მლვიმე და წელიწადში ამ მღვერული მის მნახველთა რიცხვი 800 ათასს აჭარბებს. ხოზიალიტურა ვატიაში შესაბამისად 7 და 311 ათასი. ბოსნია-ჰერცეგოვინაში — 3 და 110 ათასი, სერბიაში — 3 და 226 ათასი კაცი. სულ იუგოსლავის 24 კეთილმოწყობილ მღვიმეს წელიწადში საშუალოდ 1,5 მილიონამდე ტურისტი ათვალიერებს. იშვიათია ტურისტი, რომ არ იყიდოს რაიმე სუვენირი, ლია ბარათები, სლაიდები, არ ისაღილოს მღვიმესთან აეგბულ რესტორანში, ზოგიერთი კი ღამეებსაც ათვერ მახლობელ სასტუმროებსა და კემპინგებში. შემოსავლის დიდი ნაწილი მოდის უცხოელი ტურისტების ხარჯზე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოთა კავშირში და კერძოდ, საქართველოში? უკანასკნელ წლებამდე საბჭოთა კავშირში არსებობდა ერთადერთი კეთილმოწყობილი კუნგურის ყინულოვანი მღვიმე პერმიდან 100 კმ-ის დაშორებით. მიუხედავად სიშორისა, მას მაინც ყოველწლიურად 200 ათასი კაცი ათვალიერებს. უკვე დაწყებულია ყირინისა და პოდოლის ზოგიერთი მღვიმის კეთილმოწყობითი სამუშაოები.

საქართველო ხელოვნური გამოქვაბულებისა და ბუნებრივი მღვიმეების რაოდენობით საოცრად მდიდარია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ იგი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიექცა ყურადღება მღვიმეთა კეთილმოწყობის დიდ საქმეს. ჯერ კიდევ 1925 წლიდან, როდესაც პეტრე ჭაბუკი-



ანმა აღმოაჩინა სათაფლის მღვიმე, საფუძველები ჩაეყარა ჩვენში მღვიმურ ტერიზმს. მაგრა ნაერთი მაშეალებით იმჭვარტლებოდა ულამაზესი სტალაქტიტები და სტალაგმიტები, ზოგნი ამტკრევდნენ კიდეც მათ, კედლებზე ჩნდებოდა წარწერები და სხვა.

1966 წელს საქართველოს სსრ ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება სათაფლისა და აწლი ათონის მღვიმეთა კეთილმოწყობის შესახებ. სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 1971 წელს. ახალი ათონის მღვიმე ექსპლოატაციაში შევიდა 1975 წელს და საქვეყნო აღიარებაც მოიპოვა. ახალი ათონის მღვიმის შესწავლისა და კეთილმოწყობისა სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა 1977 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაც კი დაიმსახურა.

მაგრამ კვლავ მშველელს ელიან სათაფლის მღვიმე და იქვე მდებარე დინოზაფრების ნაკვალევები. კვლავ ჰაერშია გამოკიდებული საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ულამაზესი და უდიდესი მღვიმის აბრსეკილის პროექტი, რომლის პირველი ვარიანტი ჯერ კიდევ 1957 წელს შეიქმნა. უნდა დაჩქარდეს ცუცხვათის უნიკალური მრავალსართულიანი მღვიმის კეთილმოწყობაც.

ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობათა სამმართველომ კეთილმოწყო საწურბლიის მღვიმე წყალტუბოს რაიონში და ბევრი აღარაფერი უკლია თეთრი მღვიმის კეთილმოწყობითი სამუშაოე-



ბის დამთავრებასაც. სათაფლის ტერიტორიაზე უკანასკნელი
დამთავრდა და მალე ჩადგება ხალხის სამსახურში
საბჭოთა კავშირში პირველი სპელეოლოგიური
მუზეუმი.

დროა მივხედოთ ხელოვნურ გამოქვაბულებსაც. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს უფლისციხის, დავით
გარევის, ცარძის გამოქვაბულ-ქალაქებისა და სა-
მონასტრო კომპლექსების კეთილმოწყობა. რი-
გში დგანან ვანის ქვაბები, სამსარის, აბუხალოს,
თმოგვის, ქციის ხრამისა და მისი შენაკადების,
მტკვრისა და მისი შენაკადების უამრავი გამოქვაბუ-
ლები, რომლებიც ჩვენი წინაპრების შემოქმედების
ნაყოფს, სახიზრებსა თუ საკულტო ნაგებობებს
და ერის კულტურის ხელთუქმნელ ძეგლებს წარ-
მოადგენენ.



„წინათ ბუნება ემუქრებოდა აღაშიანს,
ახლა კი აღაშიანი ემუქრება ბუნებას“.

კუსტო

მღვიმეთა და გამოქვაბულთა სწორი, გონივ-
რული გამოყენება, ისევე, როგორც ისტორიის,
არქეოლოგიის, კულტურის თუ ბუნების სხვა ძეგ-
ლებისა, წარმოუდგენელია მათი მოელა-პატრონო-
ბისა და დაცვის გარეშე.

ბუნებისა და მისი ძეგლების დაცვის პრობლემა
ახალი არ არის. ტერმინი „ბუნების ძეგლი“ პირვე-
ლად იხმარა 1819 წელს გამოჩენილმა გერმანელმა
ბუნებისმეტყველმა და მოგზაურმა, თანამედროვე
ფიზიკური გეოგრაფიის ერთ-ერთმა ფუძემდებელ-
მა ალექსანდრე ფრიდრიხს ვილჰელმ პუმბოლდტმა.
ეს დიდი მეცნიერი ბუნების ძეგლებს უწოდებდა
საინტერესო კლდეებს, უძველეს ხეებს, რომელთა
დაცვა და შთამომავლობისათვის შენარჩუნება აუ-
ცილებელ საქმედ მიაჩნდა. ტერმინი „ბუნების ძე-
გლი“ საუკუნენახევრის წინ იხმარა აგრეთვე დიდ-
მა პოლონელმა პოეტმა ადამ მიცკევიჩმა პოემაში
„პან თაღეუში“. მან ეს გამოთქმა გამოიყენა მშობ-
ლიური ადგილების უძველესი ხეების მიმართ და
გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ძველ ტყეებს
შეუბრიალებლად ძარცვავენ და ანადგურებენ.

~~ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, არქიტექ-
ტურის ძეგლებშისგან განმხოლოებით ბუნების ძეგ-~~



ლების განხილვა შეუძლებელია, მღვიმე ბუნების ძეგლს წარმოადგენს, ბუნების ნაწილია და მის მქონე მისამართი ერვე შექმნილი. სამწუხაროა, რომ ეს ძეგლები შეუძრალებლად ნადგურდებიან და იბილწებიან. აქ ორი აშკარა ფაქტორია: ადამიანი და ბუნებრივი აერნტები: ქარი, წვიმა, ყინვა და სხვა მრავალი. ყველა განვითარებული ქვეყნის უპირველეს ამოცანას შეადგენს ძეგლთა მოვლა-პატრონობა, ჩეგენერაცია, დაცვა, შენარჩუნება მომავალი თაობები-სათვის, რადგან ისტორია ჩვენია, არ იწყება და ჩვენით არ მთავრდება.

ბევრს უნახავს უფლისციხის, ვარძიის, დაეგით გარეჭის კედლებზე და ფრესკებზე ათასნაირი წარწერები, სათაფლიისა თუ სხვა მღვიმეთა კედლებზე ჭვარტლით დაწერილი გვარები და სახელები, მომტვრეული სტალაქტიტები და სტალაგმიტები და ვინ მოსთვლის რამდენი რამაა უგუნურთა ხელით შერყვნილ-წაბილწული, რომლებსაც საკუთარი სახელის ტაძართა კედლებზე საღებავით დაწერა თუ ხეზე დანით ამოჭრა დიდ ვაჟკაცობად და საამაყოდ მიაჩნიათ. ეს კი დიდი უკულტურობისა და უგუნურების მაჩვენებელია. ექსპედიციების დროს ხშირად მინახავს პერანგშემოცლილი უძველესი ეკლესია, ტაძარი, რომელთა იშვიათი ორნამენტიანი თუ წარწერებიანი ქვები ეზოთა გალავნებად ან გომურების იატაკად გამოუყენებიათ. ამას კი უკვე ბავშვები და ჯერ ჭერაზე მოუსვლელი გოგონები და ჭაბუქები აღარ აკეთებენ; ეს მოზრდილთა ნახელავია და აბა, ამის შემყურე ბავშ-

ეი რაღას გაუფრთხილდება წინაპართა სისხლით
მორწყულ კადლებსა და ლოდებს, უკუჭარებულ
დაცვას არაერთი ქართველი მეომარი შესწირვია.
ასევეა მლეიმეებშიც, რომლებიც თავისუფალი მი-
მოსვლის ობიექტებად გადაქცეულან და უპატ-
რონოდ არიან მიტოვებული.

გარემოსთან, კულტურისა და ბუნების ძეგლებ-
თან დამოკიდებულება ადამიანს ბაეშვობიდანვე
უნდა ჩაენერგოს. ეს ხანგრძლივი პროცესია და
განსაკუთრებული ნაყოფის მოცუმა შეუძლია საშუ-
ალო სკოლაში სწავლის პერიოდში. აქ პირველ რი-
გში დიდი და საპატიო პასუხისმგებლობა ეკისრება
აღმზრდელ პედაგოგებს, რომლებიც ოჯახთან ერ-
თად მონაწილეობენ ბავშვის ხასიათისა და ჩვევე-
ბის ჩამოყალიბებაში. ისიც ბუნებრივია, რომ პედა-
გოგები საამისოდ სპეციალურად უნდა იყვნენ
მომზადებულნი. ამ საკითხის დიდ მნიშვნელობაზე
და აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ
იუნესკომ 1977 წლის ოქტომბერში თბილისში
ჩაატარა სამთავრობათშორისო კონფერენცია, რო-
მელმაც განიხილა გარემოს საკითხებთან დაკავში-
რებული განათლების პრობლემები.

იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას ეს გა-
დაუდებელი ამოცანა, აუცილებლად მიმაჩნია ზო-
გადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ
სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სას-
წავლებლებში ფართოდ დაინერგოს თემატური ექს-
კურსიები, შეხვედრები და საუბრები შესაბამისი
დარგების გამოჩენილ სპეციალისტებთან, რეფე-



რატების მომზადება თვით მოსწავლეთა და სტუდენტების
დენტითა მიერ დამოუკიდებლად და სხვა მრავალშემსახურება
პოლონეთში, არატურისტულ სეზონში ტურბაზები
სავსეა სკოლების მოსწავლეებით, რომლებსაც პე-
დაგოგები თან დაკყვებიან და აცნობენ სამშობ-
ლოს, მის ბუნებას, ძეგლებს. ბუნებრივია, რომ
ასეთი ლონისძიებების გატარება ჩვენშიც დიდ
ეფექტს მოგვცემს; ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს
მოსწავლეთა ურთიერთდანმარტინისა და მეგობრო-
ბის განმტკიცებას, მეორე მხრივ — მათ გაკაჯებას,
მშობლიური ქვეყნის წარსულისადმი თუ აწმო-
სადმი პატივისცემისა და ძეგლთა გაფრთხილების
ჩვევების გამომუშავებას.

სასწავლო მასალა და სწავლების მეთოდები,
ჩვენი აზრით, უნდა გამომდინარეობდეს შემდეგი
პრინციპებიდან:

1. ადამიანზე გარემოს ზეგავლენის ასპექტები (სანიტარიულ-ჰიგიენური, ფსიქიკური, მორალური, ესთეტიკური და სხვ.);
 2. ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკური შემეცნების პრინციპები;
 3. სოციალისტური წესების გამოყენება გარემოსა და ძეგლების დაცვაში;
 4. მზრუნველი დამოკიდებულება გარემოსა და ძეგლებთან (ასაყის მიხედვით: ბავშვებში ჭარბობს ემოციური და ესთეტიკური აღვემა მოქმედებებისა, მოზრდილებში კი მთავარია რაციონალური მსჯელობა, დაყავშირებული საწოდებრივ ასპექტებთან);



5. სასკოლო პროგრამებში, ცალკეული ინიციატივების სწავლებაში შეტანილი უნდა იქნას გარემონტირებული და ძეგლების მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავების მეთოდები, რამაც დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს მასწავლებელთა შორის კომუნისტური აღზრდის ამ ძალზედ მნიშვნელოვანი რგოლისადმი;

6. საინტერესო ფორმებში და ასაკის გათვალისწინებით აღსაზრდელებს უნდა აეხსნას და ჩაენერგოს გარემოსა და ძეგლების დაცვის შესახებ არსებული სამართლებრივი ნორმები, მორალური პასუხისმგებლობა და სხვ.

როგორც ვხედავთ, პრობლემები ბევრია და მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. მთავარია სათანადო სპეციალისტების გამოყენებით შემუშავდეს მეთოდური სახელმძღვანელოები საბჭავლო საგნების მიხედვით. აյ, რასაკვირველია, საჭიროა გონივრული მოფიქრება და შერჩევა საკათებისა, რომლებიც უნდა გავაცნოთ მოსწავლეებს და იქნებ საბავშვო ბალების აღსაზრდელებსაც. სწორედ აյ უნდა გამოჩნდეს პედაგოგის უნარი და ცოდნა, რომელთა გადაცემისა და საჭირო ეფექტის მიღწევისათვის შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი როლი მასწავლებლის პირად მაგალითს ენიჭება. უდავოდ მისასალმებელია საშუალო სკოლების მოსწავლეთა რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსები, რაც ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის საქმეში ახალგაზრდობის ჩაბმის საინტერესო და საჭირო ფორმაა.



ქეგლთა დაცვისა და რაციონალური გამოყენებაში მოვალეობის მისამართი პრობლემაა სახელმწიფო დაწესებულებების, უწყებების დამოკიდებულება მათ-დამი. გარდა ამ ქეგლთა დაცვისა უკულტურო, შეუგნებელი აღამიანების ხელყოფისაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქეგლთა დაცვას ბუნებრივი აგრძელების ზეგავლენისგან. რა ზომამდე შეიძლება მიიყვანოს ქეგლი უყურადღებობაში, კარგად ჩანს უფლისცისის მაგალითიდანაც. შეიძლება სხვა მაგალითიც დავისახელოთ; ესაა სახელგანთქმული სათაფლიის მღვიმის მახლობლად არსებული დინოზავრთა ნაკვალევები. ეს უნიკალური ნაკვალევები 1933 წელს ოღონიშინა მხარეთმოდნე პეტრე ჭაბუკიანმა. აյაღემიკოსმა ლეო გაბუნიამ შეისწავლა ისინი და დაადგინა, რომ მათი პატრონები 120 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ ამ რაიონში და მსოფლიო პალეონტოლოგიურ ანალებში ეს გადაშენებული ცხოველები შევიდნენ „სათაფლიაზავრის“ სახელწოდებით. კირქვის შრეს, რომელზეც ნაკვალევებია აღმარცვილი, მოაცილეს ნიადაგის ფენა, რათა ტურისტებს ეხილათ ეს საოცრება. როგორც აღვნიშნეთ, კირქვას წვიმის წყალი სსნის და ამიტომ ჩნდება მღვიმეები, ნაკვალევიანი კირქვის შრესაც წლების მანძილზე ებრძვის წვიმა, ქარი, ყინვა და თოვლი, მათი ნახევარი დღეს უკვე აღარ არსებობს. 1966 წლის 15 ივნისს საქართველოს სსრ ზემდგომმა ორგანოებმა საგანგებო დაგენილებაც კი გამოიტანა დინოზავრების ნაკვალევების დამცველი პავილიონის აგების თაობაზე, იყო



სხვა დადგენილებებიც, რომლებშიც სამართლებრივი
მღვიმის კეთილმოწყობასთან ერთად ეს ჟაზურის
იქნა გათვალისწინებული, მაგრამ აი უკვე 12 წელია
სხვადასხვა დაწესებულებებს შორის გრძელდება
მიწერ-მოწერა იმის თაობაზე, თუ როგორი კონს-
ტრუქციის და რა მასალისაგან უნდა აიგოს ეს პა-
ვილიონი. ნაკვალევები კი ნადგურდება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სპელეოლოგიური საბჭოს თაოსნობით, აკადემიკოს
ლეო გაბუნიას მხარდაჭერით შეიქმნა საზოგადო-
ებრივი აზრი სათაფლის დინოზავრების და ბუნე-
ბის სხვა ძეგლების მოელა-პატრონობის პრობლე-
მის ირგვლივ. დაარსდა საქართველოს ისტორიის,
კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და
გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამ-
მართველო. ამ სამმართველომ თავისი არსებობის
პირველ წელსვე (1978 წ.) სპელეოლოგიური საბ-
ჭოს აქტიური დახმარებით შეიმუშავა დინოზავრე-
ბის ნაკვალევის დამცველი პავილიონის ახალი
პროექტი, რომელიც ალბათ მაღლე განხორციელდე-
ბა. ასევე საქართველოს შესანიშნავი მღვიმის, აბრ-
სკილის კეთილმოწყობის პროექტი. რიგში დგანან
სხვა მღვიმებიც, რომლებსაც, კეთილმოწყობითი-
სამუშაოების დაწყებამდე, პირველ რიგში უნდა
გაუკეთდეს კარები და მიეჩინოს მცველები.

სკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავ-
რობა ზრუნვას არ აკლებენ ჩვენი ქვეყნის ისტო-
რიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვას.
ამის კიდევ ერთი დადასტურებაა საკავშირო კანო-



ნისა და 1977 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სახალხო მთავრობა
სსრ მე-9 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვეობულობის
სესიაზე მიღებული „ისტორიისა და კულტურის
ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სა-
ქართველოს სსრ კანონის მიღება, რომლებშიც ნა-
თქვამია: „ძეგლების დაცვა სახელმწიფო ორგანოე-
ბისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდ-
მნიშვნელოვანი ამოცანაა. სსრ კავშირის თითოეუ-
ლი მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა გაუ-
ფრთხილდეს ისტორიისა და კულტურის ძეგ-
ლებს“.

ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს ემსახურება
აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის დადგენილება
„რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნე-
ბის ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობი-
სა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შე-
სახებ“. ამ დადგენილებით საქართველოს კომპარ-
ტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს,
აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინის-
ტრითა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური
ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს,
რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების აღმასკო-
მებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს
პროფსაბჭოს, ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, შემო-
ქმედებით კავშირებსა და საზოგადოებებს, რეს-
პუბლიკის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას
დაევალა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი,
რათა განუხრელად სრულდებოდეს კანონი „ისტო-



რიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და მუნიციპალიტეტის შესახებ“. უზრუნველყონ რეზისურის მუნიციპალიტეტის მიერთორიაზე არსებული ბუნების, ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების ყველა ძეგლისა და დოკუმენტური ძეგლების დაცვა, ჩააბან პრაქტიკულ საშეფო მუშაობაში ორგანიზაციები და კოლექტივები, ფართო საზოგადოებრიობა, რაციონალურად გამოიყენონ ძეგლები დასვენებისა და მასობრივი ტურიზმის ზონების მოსაწყობად და სხვა მრავლი.

დიდი და საპატიო, ამავე დროს საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ამასწინათ შექმნილ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს, რომელსაც ძალიან ბევრი საშვილიშვილო საქმის გაკეთება შეუძლია.

ყოველი საბჭოთა მოქალაქის ვალია დიდი შეგნებით და პასუხისმგებლობის გრძნობით მიუღეს ძეგლთა დაცვის საქმეს. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მომავალი თაობა მაღლიერების გრძნობით განიმსჭვალოს არა მარტო მათდამი, ვინც ეს ძეგლები შექმნა, არამედ იმათ მიმართაც, ვინც ისინი შთამომავლობას შეუნარჩუნა.

* * *

„სსრ კიბშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენებას უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა 41-საათიანი სამუშაო კვირა და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ლამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა, ყოველწლიური ფასიანი შვებულების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები; აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება“.

(სსრკ კონსტიტუციიდან)

* * *

სახეომსაბჭომ 1918 წლის 5 ოქტომბერს გამოსცა დეკრეტი კერძო პირების, საზოგადოებებისა და დაწესებულებების საკუთრებაში მყოფი ხელოვნებისა და სიცემელეთა ძეგლების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის შესახებ, ხოლო 1921 წლის 16 სექტემბერს კი დეკრეტი ბუნების ძეგლების, ბალებისა და პარკების დაცვის თაობაზე.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კო-
 मიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ პარტიის საოლ-
 ქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სახალხო
 დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული
 საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, კულტუ-
 რის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოე-
 ბა, კულტურის ყველა მუშაյი, სამრეწველო სა-
 წარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები,
 მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, რომლებიც შეია-
 რბლებულნი არიან სკკ მე 25 ყრილობის გადაწყვე-
 ტილებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით,
 წარმატებით გაართმევენ თავს მათ წინაშე დასახულ
 რთულსა და საპატიო ამოცანებს და ყოველ ღონეს
 იხმარენ, რათა ძირეულად გააუმჯობესონ ისტორიის,
 კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გა-
 მოყენება რესპუბლიკის მშრომელთა კომუნისტური
 აღზრდის ეფექტიანობის ასამალლებლად.

* * *

უკანასკნელი 25 წლის მანძილზე პერიოდულად
 ტარდება სპელეოლოგთა საერთაშორისო კონგრე-
 სები. სამუშაო ენებად მიღებულია: გერმანული, ეს-
 პანური, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, რუ-
 სული. ამ კონგრესებზე, რომლებიც სპელეოლოგთა
 საერთაშორისო კავშირის თაოსნობით ტარდება,
 იუნესკოსთან ერთად იხილავენ მღვიმეთა კვლევის

უახლეს მეთოდებს, ტექნიკას, დაცვისა და გამო-
ყენების პრობლემებს.

I კონგრესი ჩატარდა 1953 წელს პარიზში.
II კონგრესი — 1958 წელს იტალიაში (ბა-
რი — სალერნო).

III კონგრესი — 1961 წელს ვენაში.

IV კონგრესი — 1964 წელს იუგოსლავიაში.

V კონგრესი — 1969 წელს გფრ-ში (მტუდ-
გარტი).

VI კონგრესი — 1973 წელს ჩეხოსლოვაკიაში
(ოლომოუცი).

VII კონგრესი — 1977 წელს ინგლისში (შე-
ფილდი).

VIII კონგრესი ჩატარდება 1981 წელს აშშ-ში,
კენტუკის შტატში, სადაც თავმოყრილია
მსოფლიოს უგრძესი მღვიმეები.

* * *

ქართველმა სპელეოლოგებმა მონაწილეობა მი-
იღეს რამდენიმე საერთაშორისო კონგრესის, კონ-
ფერენციისა და ექსპედიციის მუშაობაში.

1964 წელს ბრნოში (ჩეხეთი) გამართულ სპელეო-
ლოგთა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში
(ფაქტოურად ეს იყო საბჭოთა სპელეოლოგების
პირველი გასვლა საერთაშორისო არენაზე) სსრკ
მეცნიერებათა აკადემიის სახელით წარგზავნილ
6-კაციან დელეგაციაში, 5 საქართველოდან იყო
(ნ. გვოზლეცი — მოსკოვიდან, საქართველოდან:



6. ბურჩაქ-აბრამოვიჩი, თ. გორდეზიანი, ი. ელიაშვილი, თ. კიქნაძე — დელეგაციის ხელმძღვანელი, ქ. რაჭელიაშვილი. ბრნოში დელეგაციას შეუერთდნენ ჩეხოსლოვაკიაში მივლინებით მყოფნი ა. ვეკუა და ნ. ლაპტევა). დელეგაციის სამი წევრი, — ნ. გვოზდეცი, ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩი და თ. კიქნაძე გამოვიდნენ მოხსენებებით.

1965 წელს იუგოსლავიაში გამართულ სპელეოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 26-კაციანი დელეგაცია, მათ შორის 12 მეცნიერი სამართველოდან იყო წარგზავნილი (ე. აბაშიძე, ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩი, გ. გიგინეიშვილი, თ. გორდეზიანი, ა. კალანდაძე, თ. კიქნაძე, ქ. რაჭელიაშვილი, ზ. ტინტილოზოვი, ქ. ყავრიშვილი, შ. ყიფიანი, ქ. ჭავრიშვილი — ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი, რ. ჭანაშვილი). აქედან 11-მა გააკეთა მოხსენება. კონგრესის ერთ-ერთი სექციის სხდომას თავმჯდომარეობდა ქ. ჭავრიშვილი.

1967 წელს ჩეხოსლოვაკიაში მივლინებით იმყოფებოდა 4 ქართველი სპელეოლოგი და კარსტოლოგი (გ. გიგინეიშვილი, ზ. ტინტილოზოვი, ქ. ყავრიშვილი, შ. ყიფიანი).

1967 წელსვე შედგა გაცვლითი ექსპედიცია პოლონელ და ქართველ სპელეოლოგებს შორის (ი. ავდალოვი, თ. გორდეზიანი, თ. კიქნაძე, ქ. რაჭელიაშვილი, გ. სმირი, ქ. ტაბატაძე, გ. ყალაბეგიშვილი, ო. ცევიტინიძე, ს. ხაბეიშვილი, ქ. ჭავრიშვილი — ხელმძღვანელი, რ. ჭანაშვილი). 7



1969 წელს საფრანგეთში, ფრანგი კოლეგაბეჭის მიწვევით ექსპედიციაში იმყოფებოდა სსრკ მეცნიერებების ერებათა აკადემიის სპელეოლოგიური ექსპედიცია (გ. გიგინეიშვილი, მ. თოფჩიშვილი, თ. კიკნაძე — ხელმძღვანელი, კ. რაქვიაშვილი, კ. ჭავრიშვილი).

1973 წელს ქართველი სპელეოლოგები მონაწილეობდნენ სპელეოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუცში (გ. გიგინეიშვილი, თ. კიკნაძე, კ. რაქვიაშვილი, ზ. ტინტილოზოვი, შ. ყიფიანი). ამ კონგრესზე გ. გიგინეიშვილი და თ. კიკნაძე თავმჯდომარეობდნენ სექციების სხდომებს.

* * *

საბჭოთა კავშირში სპელეოლოგთა მრავალი ორგანიზაცია არსებობს. მათ შორის:

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კარსტული კომისია (თავმჯდომარე პროფ. ი. პერიქინი);

ამავე აკადემიის სპელეოლოგიური სექცია, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სპელეოლოგთა ეროვნულ ასოციაციას (თავმჯდომარე მეცნ. დოქტორი ვ. ილიუხინი).

საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს ცენტრალური სპელეოტურისტული კომისია (თავმჯდომარე ვ. ილიუხინი).



კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის საკანკალენია
ინსტიტუტი პერმის უნივერსიტეტში (საზოგადო-
ებრივ საწყისებზე, დირექტორი პროფ. ვ. მაქსიმო-
ვიჩი).

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლო-
გიური კომისია (თავმჯდომარე მეცნ. დოქტორი
ვ. ლუბლიანსკი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სპელეოლოგიური საბჭო (თავმჯდომარე მეცნ.
კანდიდატი თ. კიქნაძე).

საქართველოს ტურიზმის ფედერაციის სპელეო-
ლოგიური კომისია (თავმჯდომარე ვ. ჭიშკარიანი).

აფხაზეთის ტურიზმის ფედერაციის სპელეოლო-
გიური კომისია (თავმჯდომარე ზ. აძინბა).

თბილისის ტურისტული კლუბის სპელეოლო-
გიური სექცია (თავმჯდომარე კ. რაქვიაშვილი).

ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარ-
დახის“ სპელეოტურისტული სექცია (თავმჯდომა-
რე გ. ყალაბეგიშვილი).

აქვე უნდა დავისახელოთ ვახუშტის სახელობის
გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგიისა და სპე-
ლეოლოგიის ლაბორატორია (ხელმძღვანელი მეცნ.
დოქტორი ზ. ტინტილოზოვი), რომელიც განსაკუთ-
რებით ბევრს აკეთებს საქართველოს მღვიმეთა
შესასწავლად.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ზოგ მოქავში-
რე რეპუბლიკურებსა და მხარეებში მუშაობენ ტური-
ზმის ფედერაციის სპელეოლოგიური კომისია.

კარსტული მღვიმეები ზოგჯერ საოცარ სიგრძეს აღწევს. აქ იგულისხმება მღვიმის განტოტებათა ჯამური სიგრძე. მსოფლიოში ბევრია ისეთი მღვიმე, რომლის სიგრძე 5 კმ-ს აღემატება. მოგვყავს მათი ნუსხა:

მსოფლიოს უგრძესი მღვიმეები (ა კმ-ზე ჩეტი)

სახელმისამართი	სიგრძე ათას მეტი ტონმდენი	მდებარეობა
1	2	3
ფლინტის ქედისა და მამონ- ტის სისტემა	297080	აშშ
ჰიოლოიდი	129525	შვეიცარია
ოპტიმისტური	120500	სსრკ
ოშერნაია	102570	სსრკ
გრინბერერ-ორლანის სისტემა	70080	აშშ
კრაგუასტეას სისტემა	52700	კუბა
კევლი	50700	აშშ
პალმერას — ლოლენციას სისტემა	46000	ესპანეთი
აისრიზენველტი	42000	ავსტრია
მერიონედ ლინედ სლეიტი	40200	ინგლისი
ბინკლეისის სისტემა	40000	აშშ
ოგოუ ფლინტი დუ	37000	ინგლისი
დან დე კროლის სისტემა	31060	საფრანგეთი
ბლუ სპრინგი	30400	აშშ
ტრომბის სისტემა	300.0	საფრანგეთი
ლანკასტერ-ი გილის სისტემა	25000	ინგლისი
კოკალი	25000	საფრანგეთი
კარლსბადი	24000	აშშ
ტრუ ფერნი	24000	აშშ

1	2	
ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର-ମାନ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ	23800	ଅସକ୍ରିୟ
ଅଗାତିଲ୍ୟେ-ଦର୍ଶିତା	23100	ସ୍ଵର୍ଗରେ-କ୍ଷେତ୍ର- ସଲାଭାକ୍ଷିତା
ପାନ୍ସକ୍ଷେତ୍ରରେ ରାଶି	23000	ରୂପବଳା
ଶୁତ୍ରଲ୍ୟେ-ସିନ୍କିନ୍ଗେ	21700	ରୂପବଳା
ଦେଖିବାକ୍ଷେତ୍ରରେ	20000	ରୂପବଳା
ଦେଖିବାକ୍ଷେତ୍ରରେ	19690	ରୂପବଳା
ମାତ୍ର କାଣ୍ଡରେ	19570	ରୂପବଳା
ପାନ୍ସକ୍ଷେତ୍ରରେ	19410	ରୂପବଳା
ଅନ୍ତିମ	19300	ରୂପବଳା
କାନ୍ଦିକାଲ୍ୟରେ	18800	ରୂପବଳା
ଚାନ୍ଦ ରୂପବଳା	18200	ରୂପବଳା
କାନ୍ଦିକାଲ୍ୟରେ	18000	ରୂପବଳା
ମିଳିକ୍ଷେତ୍ରରେ	16200	ରୂପବଳା
କାନ୍ଦିକାଲ୍ୟରେ	16000	ଅସକ୍ରିୟ
କାନ୍ଦିକାଲ୍ୟରେ	16000	ଅସକ୍ରିୟ
ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର-କାଣ୍ଡରେ	16000	ଅସକ୍ରିୟ
ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର-କାଣ୍ଡରେ	16000	ଅସକ୍ରିୟ
ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର-କାଣ୍ଡରେ	15240	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ ମାତ୍ରରେ	15000	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	14500	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	14400	ଅସକ୍ରିୟ
ମାନ୍ୟକ୍ଷେତ୍ର-କାଣ୍ଡରେ	14200	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	13680	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	13100	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	13000	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	12800	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	12000	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	11870	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	11000	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	11000	ଅସକ୍ରିୟ
ନିର୍ମାଣ-କାଣ୍ଡରେ	10800	ଅସକ୍ରିୟ



ଶାଖା କେନ୍ଦ୍ର ପାଠ୍ୟ ମୂଲ୍ୟାଙ୍କଣ କମିଟି

1	2	3
ପାଠ୍ୟରୀ	10720	ଅଧିକ
କ୍ଷେତ୍ରନିର୍ମାଣ	10720	ନୁହିବାରେ
ଭାବିତ ସତ୍ୟକୁଳ	10390	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	10350	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	10100	ସମ୍ମାନ
ଭାବିତ ପାଠ୍ୟରୀ	10000	ଅଧିକ
ଶିକ୍ଷଣ ବିନିଯୋଗ	9970	ଅଧିକ
ଭାବିତ-ପାଠ୍ୟ-ପାଠ୍ୟ	97 0	ନୁହିବାରେ
ଶିକ୍ଷଣ ବିନିଯୋଗ	9610	ନୁହିବାରେ
ପାଠ୍ୟରୀ	9500	ନୁହିବାରେ
ଜ୍ୟୋତିଷ	9280	ଅଧିକ
ଭାବିତ ପାଠ୍ୟ	9020	ଅଧିକ
ଭାବିତ-ପାଠ୍ୟ-ପାଠ୍ୟ	9000	ପ୍ରସରଣ
ଶିକ୍ଷଣ ବିନିଯୋଗ	9000	ସାଫ୍ରାନ୍‌ଗ୍ରେଟର
ଭାବିତ-ପାଠ୍ୟ-ପାଠ୍ୟ	8630	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	8400	ଅଧିକ
ଶିକ୍ଷଣ ବିନିଯୋଗ	8390	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	8200	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	8000	ସମ୍ମାନ
ପାଠ୍ୟରୀ	8000	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	7910	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	7920	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	7800	ସମ୍ମାନ
ପାଠ୍ୟରୀ	7470	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	7410	ସାଫ୍ରାନ୍‌ଗ୍ରେଟର
ପାଠ୍ୟରୀ	7310	ଅଧିକ
ପାଠ୍ୟରୀ	7250	ନୁହିବାରେ
ପାଠ୍ୟରୀ	7200	ସାଫ୍ରାନ୍‌ଗ୍ରେଟର
ପାଠ୍ୟରୀ	7000	ସାଫ୍ରାନ୍‌ଗ୍ରେଟର

1	2	3
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6900	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6710	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6700	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6450	నీచేసించువాయిదా
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6400	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6300	నీచేసించువాయిదా
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6080	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6000	సామూలాంగ్జెతి
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6000	గ్లోబ్లుసెంగ్జెతి
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6000	గఢరు
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6000	నొర్మెంగ్జో
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	6000	చెంగ్రెటి
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5940	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5910	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5900	వెన్సెస్ట్రోల్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5790	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5640	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5600	సస్క్రి
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5500	సస్క్రి
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5490	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5460	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5260	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5240	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5240	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5210	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5180	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5180	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5180	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5150	ఎచ్చ
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5000	ధైల్గో
ప్రాథమిక పరీక్షల నుండి	5000	ఎంప్రాథమిక్

მსოფლიოში დღეისათვის ცნობილი და შესწავლილია არა მარტო უგრძესი, არამედ ულრმესი მღვიმეებიც, რომლებსაც კარსტულ უფსკრულებს უწოდებენ, აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, სილრმე ვერტიკალური მონაკვეთების სიგრძეთა დაჭამებით განიზომება. ის ფანტასტიკური სილრმეები, რასაც დედამიწის ზოგიერთი კარსტული უფსკრული აღწევს, ჩამოთვლილია ქვემოთ მოყვანილ ნუსხაში, რომელშიც შეტანილია 500 მეტრზე მეტი სილრმის მღვიმეები.

მსოფლიოს ულრმესი მღვიმეები (უფსკრულები)

სახელწოდება	სილრმე მეტრ- ბით	მდგრადი
1	2	4
პიერ-სენ-მარტინი	1332	საფრანგეთ-ესპანეთი
უან-ბერნარი	1298	საფრანგეთი
ბერე	1141	საფრანგეთი
კილი	1080	სსრკ
ათგარელი	980	საფრანგეთი
მიშელ ვარდანი	920	იტალია
კამბუ დე ლიარი	908	საფრანგეთი
სპლუვა დელა პრეტა	886	იტალია
ტროგბის სისტემა	880	საფრანგეთი
გრუბერ პორტი	854	ავსტრია
ანტრი დი კორსიკა	838	იტალია
მონტე კუსკო	821	იტალია
სნეჟნა	780	პოლონეთი
თოვლიანი	770	სსრკ, საქართველო

1	2	შეკვეთის მიზანი
პიაჯა-ბელა	689	იტალია
ქედლობი	524	ესტონია
ფლიდერშაუზი	517	ევსტრია
შეერიე	504	შევერცარია
ნაზაროვის	500	სსრკ
სოლდატსკია	500	სსრკ

* * *

ზოგიერთი მღვიმის დარბაზი ფანტასტიკურ სი-
დიდეებს აღწევს. მაგალითად, კარლსბადის მღვიმის
(აშშ, ნიუ-მექენიკოს შტატი) ერთ-ერთი დარბაზის
ფართობი 14-ჭერ აღემატება ფეხბურთის სათამა-
შო მინდორს, ხოლო ჭერის სიმაღლე 1,5-ჭერ მე-
ტრია ნიაგარის ჩანჩქერის სიმაღლეზე. იტალიაში,
გიგანტების მღვიმის ერთ-ერთი დარბაზის მოცუ-
ლობა 6 მლ/მ³-ს აღემატება, ხოლო ტორკა დელ
კარლისტას დარბაზის სიგრძე 500 მეტრია, სიგანე—
230, სიმაღლე—125 მეტრი. ასევე დიდია საფ-
რანგეთში, პიერ სენ მარტინის სისტემაში ვერ-
ნის დარბაზი. მისი ზომაა $230 \times 180 \times 150$ მ,
ხოლო შევალიეს დარბაზისა — $400 \times 80 \times 80$ მ. და-
დია აგრეთვე მექსიკაში სოტანო დე ლა კუებტას
დარბაზი — $300 \times 90 \times 160$ მ (სიგრძე — სიგანე —
სიმაღლე).

საბჭოთა კავშირის მღვიმეთა შორის მოცულო-
ბით პირველ იდგილზეა ახალი ათონის მღვიმე ($1,5$
მლნ/მ³), ხოლო მისი ერთ-ერთი დარბაზის, რომე-



ლიც ქართველ სპელეოლოგთა სახელს ატაზუშებირთული
სიგრძე 260 მეტრია, სიგანე და სიმაღლე — 75 —
50 მეტრი.

* * *

1955 წელს სლოვაკიის (ჩეხეთი) ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ბუნების სახელმწიფო დაცვის თაობაზე. ამ კანონში ისიცაა ნათქვამი, რომ მღვიმეები წარმოადგენენ ბუნების შესანიშნავ ქმნილებებს და ხალხის კუთვნილებას. სკოლებისა და კულტურის სამმართველოში შექმნეს კარბტისა და მღვიმეთა დაცვის საკითხების განსაკუთრებული სათბირო ორგანო.

* * *

სლოვაკიაშივე შექმნილია სპელეოლოგიური საზოგადოება, რომელიც აერთიანებს სპელეოლოგიური დისციპლინების ყველა პროფესიონალურ წარმომადგენელს და მოყვარულ სპელეოლოგს. საზოგადოების ამოცანებს შეადგენს სლოვაკიის მღვიმეთა აღმოჩენა და შესწავლა, თანამშრომლობა მათი დაცვისა და გამოყენების საქმეში. ეს საზოგადოება უკვე 500-ზე მეტ წევრს ითვლის, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 30-მდე ტერიტორიულ ჯგუფში.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად ცნობილია 11 ათასზე მეტი მღვიმე, იტალიაში — 8350,



საფრანგეთში — 7 ათასი, იუგოსლავიაში დღიური 50000 ტაკა
საბჭოთა კავშირში დღეისათვის გამოკვლეულია 5
ათასზე მეტი სხვადასხვა ტიპის მღვიმე, აქედან
საქართველოში — 500-ზე მეტი, რომელთა ჯამური
სიგრძე 60 კმ-ს აღემატება, ხოლო ჯამური სილრმე
8 კმ-მდეა.

* * *

100 წელზე მეტია, რაც ჩეხოსლოვაკიაში კე-
თილმოწყობილია და ტურისტებისათვის ღიაა დობ-
შინის ყინულიანი მღვიმე. ზამთარში აქ ტემპერა-
ტურა — 5°-მდე ეცემა. მღვიმეში არის უამრავი
ყინულის სტალაქტიტები და სტალაგმიტები, ხო-
ლო იატაკზე ყინულის სისქე 25 მეტრამდე აღწევს.
ყინულის საერთო მოცულობა ამ მღვიმეში
145.000 მ³-ია. მრავალთა შორის დობშინის მღვიმე
მოინახულეს სუეცის არხის მშენებელმა ფ. ლესეპს-
მა და გამოჩენილმა პოლარულმა მეცნიერმა ფ.
ნანსენმა. ესაა მსოფლიოში პირველი მღვიმე, რო-
მელიც ელექტროობით განათდა ედისონის ელექ-
ტრონათურის გამოგონებიდან 9 წლის შემდეგ.

* * *

იუგოსლავიაში საქვეყნოდ ცნობილია პოსტო-
ინის მღვიმე, რომელიც 150 წელზე მეტია, რაც
მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტურისტების სანახა-
ობით ობიექტადაა ქცეული. ამ მღვიმის სიკრძე

23 ქ-ია. ტურისტები მღვიმეში მოგზაურობენ 324
ტარა ელექტრომატარებლით. იგი უკვე 12 მილის დაშორებით
ონამდე ტურისტმა მოინახულა.

* * *

ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიწისქვეშა დარბაზი
არის კარლსბადის მღვიმეში (აშშ, ნიუ-მექისიკის
შტატი). მისი სიგრძეა 1220 მეტრი, სიგანე — 190,
ხოლო ჭრის სიმაღლე — 91,5 მეტრი. ეს მღვიმე
აღმოჩენილია 1901 წელს. ერთ-ერთ დარბაზში აღ-
მართულია ვეებერთელა სტალაგმიტი, რომლის
სიმაღლე 18,8 მეტრია, ხოლო განივევეთი — 4,9
მეტრი. ამ სტალაგმიტის ასაკს 60 მილიონ წლად
ანგარიშობენ.

* * *

იუგოსლავიაში, ქ. პოსტონიდან 8—9 კილო-
მეტრის დაშორებით მდებარეობს მრავალსართუ-
ლიანი მღვიმური სისტემა პრედიამა, რომლის სი-
გრძე 5782 მეტრია. მღვიმის ზედა სართულის შესა-
სვლელში აგებულია XV საუკუნის რაინდული ცი-
ხე-დარბაზი. მისი უკანასკნელი მფლობელი იყო
რაინდი — ყაჩაბი ერაზმ პრედიამელი, რომელიც
სარგებლობდა შენობის უკან მიმდებარე მღვიმის
საიდუმლო გვირაბებით.

* * *

XVI—XVII საუკუნეებში ევროპაში სისხლის
დენის შესაწყვეტად იყენებდნენ „სასწაულებრივ

წამალს“. ეს იყო მღვიმეებში მოპოვებული მცხოვრილი მთვარის რძე (მუსნმილე). ამჟამად გარეული მცხოვრილი მთვარის რძეს, გახსნილი კირქვის ამ ცომის სებრ მასას, მართლაც აქვს ანტიბიოტიკური თვისებები, რაც გამოწვეულია მასში მიმღინარე აქტანომიცეტური პროცესებით.

* * *

პრიმორიეში, ზმეინაას მთის მღვიმეში იპოვეს სტალაქტიტებზე და სტალაგმიტებზე ამოკვეთილი საოცარი ქანდაკებები, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულს მიაკუთვნეს. სტალაქტიტზე გამოკვეთილი შიშველი მამიკაცის 2-მეტრიანი ტორისი ჩამოვავს ერუბელის „დემონს“. აქვეა ქალის ფიგურაც. ამ მღვიმეს „მძინარე მზეოუნახავი“ უწოდეს.

* * *

კუნგურის ყინულოვან მღვიმეში (პერმის მახლობლად) ერთ-ერთ მიწისქვეშა გვირაბში აღმოაჩინეს თუჭისაგან დამზადებული ზარბაზნის ორი ყუმბარა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩამოსხმულია მე-17 საუკუნეში. ყუმბარები მღვიმეში მოხვდნენ მღვიმის თავზე, ყინულიანი მთის ზედაპირზე განლაგებული ხერელებიდან.

* * *

ტაიგის ერთ-ერთი სოფლის, სტრელკას (ამუ-
რის ოლქი) მიდამოების მღვიმეში მოსწავლეებმა
იპოვეს ბოთლი, რომელშიც ოთხ კილოგრამამდე
ოქრო იყო. მათ ოქრო სახელმწიფოს ჩააბარეს.

* * *

ახალგაზრდა ტრიესტელმა სპელეოლოგებმა რი-
ნალდო სონიგმა და ლაურა გრეგორიომ ამ თხუთ-
მეტიოდე წლის წინ იქორწინეს ალპების წინამთე-
ბის ერთ-ერთ მღვიმეში 139 მეტრ სიღრმეზე. ნე-
ფე-დედოფალს და სტუმრებს ეცვათ სპელეოლოგ-
თა ტანსაცმელი და თავზე ეხურათ მუზარა-
დები.

* * *

იტალიაში, კაპრის კუნძულზე მდებარე ცისფერ
მღვიმეში აღმოჩენილია თეთრი მარმარილოს კარ-
გად შემონახული ქანდაკება. არქეოლოგთა დასკვ-
ნით, იგი გამოკვეთილია რომის იმპერატორების —
ავგუსტინეს ან ტიბერიუსის მმართველობის ხანა-
ში, როდესაც ამ მღვიმეში წარმართული ტაძარი
იყო. 2 ათასი წლის შემდეგ ეს ქანდაკება მღვიმი-
დან ამოიტანეს და მუზეუმში მოათავსეს.

იაპონიაში აკიოსის კარტული პლატო გამოცხადებულია ნაკრძალად, რადგან აქ, 45 კმ² ფართობის ტერიტორიაზე 23 მღვიმეა. მათგან ყველაზე დიდია აკიოსის მღვიმე, რომელსაც ყოველწლიურად 400 ათასზე მეტი მნახელი ათვალიერებს.

* * *

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის მრავალ მღვიმეს პარტიზანები იყენებდნენ, ყირიმში, აი-პეტრის მასივზე, ბორიუ-ტეშიკის მღვიმეში ჯერ პარტიზანული შენაერთი იფარებდა თავს, შემდეგ კი აქ მოათავსეს ჰოსპიტალი. მაგრამ აღმოჩნდნენ მოლალატენი, რომლებმაც ფაშისტებს გზა მოასწავლეს. მღვიმის შესასვლელთან, ძმათა სასაფლაოზე აღმართულია დალუპულთა ძეგლი.

* * *

მღვიმეში მარტოდ მყოფი ადამიანი კარგაუს დროის აღქმის უნარს, ემართება ჰალუცინაციები, ტარდება ექსპერიმენტები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმონავტიკისათვის. მღვიმეში ნება-ყოფლობით ათავსებენ ადამიანს, რომელსაც არა აქვს დროის აღმნიშვნელი საშუალებები, აქვს მხოლოდ ცალმხრივი კავშირი ზედაპირთან და სხვ.



პირველად ფრანგმა მიშელ სიცრმა გაატარა 2000 კუთხა
თვეზე მეტი მარტოდმარტო მღვიმეში, ყოველით და
მეტრ სიღრმეზე. ინგლისელმა დევიდ ლეფერ-
ტმა 127. დღე გაატარა მღვიმეში და ამ ხნის
მანძილზე წაიკითხა 200-მდე წიგნი, სწავლობ-
და უცხო ენებს. ფრანგმა უან პიერ მერეტ-
მა კი 6 თვემდე იცხოვრა სამხრეთ საფრანგე-
თის ერთ-ერთ მღვიმეში. იუგოსლაველმა სპელეო-
ლოგმა მილუტინ ველქოვიჩმა 463 დღე დაჭყა
მღვიმეში, მას თან ჰყავდა ძალი, კატა, ქათამი და
იხვი.

* * *

1965 წლის 4 ოქტომბერს ასხის მასივის მღვი-
მეთა კვლევისას დაიღუპა გამოჩენილი ქართველი
სპელეოლოგი არსენ ოქროვანაშვილი, რომელიც
პირველად ჩავიდა საქართველოს მრავალ მღვიმეში.
ახალი ათონის მღვიმის შესწავლაში აქტიური მო-
ნაწილეობისათვის მას 1977 წელს, სიკვდილის შემ-
დევ მიანიჭეს სსრკ სახელმწიფო პრემია მეცნიერე-
ბისა და ტექნიკის დარგში. ამ ინგილო ჭაბუკის
სახელს ატარებს მის მიერვე აღმოჩენილი და შეს-
წავლილი ტობას II მღვიმე ასხის მასივზე, სამეგ-
რელოში.

* * *

1967 წლის 19 სექტემბერს, ტყიბულის რაიონ-
ში მდებარე ტყიბულა-ძევრულას მღვიმეში ტრალი-



ქულად დაიღუპა გამოჩენილი პოლონელი ქადაგისა
სპელეოლოგი ვიტოსლავა (ვიშკა) მორეტულის შემცირებულ
შევიჩი. მოგვყავს ნაწყვეტი პოლონელების ექს-
პედიციის ხელმძღვანელისა და ვიტოსლავას მეუღ-
ლის იანუშ ონიშკევიჩის ნამბობიდან: „დამნაშავე
არავინ არის, მხოლოდ სტიქია. ყველაფერი წეს-
რიგში იყო. ჩასასვლელთან, გივი ყალაბეგიშვილ-
თან დარჩნენ სტეფან ზვოლინსკი და იანინა რუდ-
ნიცკა. ჩვენ კი, ცხრანი, ორ ქუთაისელ მთამსულელ-
სპელეოლოგთან ნ. ნემსიშვერიძესთან და ვ. მინ-
დაძესთან ერთად დავიწყეთ წინწევილას (ტყიბულა-
ძევრულას მღვიმის — თ. კ.) შტურმი. 19 სექტემბ-
რს დილის 6 საათზე მშვენიერი ამინდი იდგა და
ცაჟე ღრუბლის პატარა ნაგლეჭიც კი არ ჩანდა.
ჩვენმა ჯგუფმა წარმატებით, სარეკორდო დროში
გაიარა უფსკრული და სიფონამდე მივიდა. უკან
გამობრუნებისას, როდესაც გასასვლელამდე ასიო-
დე მეტრი და ერთი 5-მეტრიანი საფეხური დარ-
ჩა, შევამჩნიეთ, რომ წყალმა სწრაფად დაიწყო
მატება, მალე თითქმის მთლიანად დაფარა საფე-
ხურის თავზე ხვრელი და მქუხარე ჩანჩქერად გად-
მოეშვა ჩვენსკენ. რამდენიმემ მოასწრო ასვლა და
მღვიმის უწყლო განტოტებაში გადასვლა. დაგა-
სვით პალოები, გავმაგრდით და დავიწყეთ დანარ-
ჩენების ამოყვანა. ვიშკას თოვი ჩავაბით წელზე და
როგორც კი ზევით ამოვწევდით, წყლის გამძვინვა-
რებული ნაკადი უკანვე ისროდა. დაიღალა. სამი
ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ბოლოს, როცა ღო-
ნემიხდილი კვლავ გადააგდო წყალმა, მეგონა თოვი



გაწყდა და იმის შიშით, რომ წყალი გაიტაცებდა უფრო რეალურად და ახრისი და, გადავხტი მისაშველებლად. მაგრამ შეიძლო თოვე არ იყო გაწყვეტილი, მე კი წყალმა გამიტაცა, ფარანი ჩამიქრო და ორასიოდე მეტრი მახოსიალა მღვიმეში. მახსოვდა, იქით 30-მეტრიანი საფეხური, სადაც ბობოქარ ჩანჩქერად ეშვებოდა მდინარე. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და ახლაც არ ვიცი, როგორ შევჩერდი საფეხურიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. აბსოლუტურ სიბნელეში უკან გამოვბრუნდი და იმ ადგილას მივედი, სადაც ჩემი მეგობრები ცდილობდნენ უგონოდ მყოფ ვიშკას დახმარებას. მეც ჩავერიე: არც ხელოვნურმა სუნთქვამ უშველა, ვერძნობდი, როგორ ცივდებოდა მისი ტუჩები... ამასობაში ზევით ასულმა ელჟბეტა მიშკევიჩმა გივი ყალაბეგიშვილს შეატყობინა საშიშროების ამბავი (მათ არ იცოდნენ, რომ ვიშკა დაიღუპა) და გივიმ ნახევარ საათში ტყიბულიდან მოიყვანა სამთო-მაშველი ჭგუფი, მათი დახმარებით ყველანი უვნებლად ამოვედით, ვიშკას გარდა...“.

* * *

მღვიმეთა კვლევას და განსაკუთრებით უბრალო, ცნობისმოყვარულ მოგზაურობებსაც მიწის ქვეშ მრავალი გაუთვალისწინებელი ხიფათი სდევს თან. ამიტომ, როდესაც ადამიანი მღვიმეში შედის, გამოკვლეულიც რომ იყოს იგი, მაინც აუცილებელია სიფრთხილე. ხშირად დიდი გამოცდილების

მქონე სპელეოლოგებსაც შემთხვევიათ ხიფათი და
მსხვერპლიც გამხდარან. რა ფათერაკს შეიძლება მო-
გადაეყაროს მღვიმეში შესული ადამიანი? ესაა მო-
ულოდნელად მღვიმის ჰერიდან ლოდების ცვენა,
რომელიც ზოგ მღვიმეში ცხვირის დაცემინებამაც კი
შეიძლება გამოიწვიოს, წყალდიდობა, როდესაც
მიწისქვეშა მდინარე უეცრად მოსული წვიმის
გამო აღიდდება და ზოგჯერ მთლიანად ავსებს მღვი-
მეს, მღვიმეთა სიფონებში, ნაპრალებში გაჭედვა,
ზოგან არსებული ნახშირორუანგა გაზით მოწამვლა,
ფერქებადი აირების აფერქება, დამცველი თოკის
გაწყვეტა და სხვ.

* * *

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე
ქართულმა სპელეოლოგიურმა საზოგადოებრიობამ
მძიმე დანაკლისი განიცადა. მის რიგებს გამოაქვა-
ნენ: ვალერი გაბელაშვილი — სპორტის ოსტატი,
მთამსვლელი, სპელეოლოგი, ლევან გოთუა — მწე-
რალი, მთამსვლელი, სპელეოლოგი, გურამ თიქა-
ნაძე — გეოლოგი, მთამსვლელი, სპელეოლოგი,
ფოტოეურნალისტი, ალექსანდრე კალანდაძე —
არქეოლოგი, სპელეოლოგი, გიორგი ლომთათიძე —
არქეოლოგი, გეოლოგი, სპელეოლოგი, ევგენი მი-
ლიანოვსკი — სპელეოლოგი, ალექსანდრე ნემსი-
წვერიძე — სპორტის ოსტატი, მთამსვლელი, სპე-
ლეოლოგი, არსენ ოქროგანაშვილი — გეოგრაფი,
სპელეოლოგი, კოტე ჭავრიშვილი — მთამსვლელი,



უურნალისტი, სპელეოლოგი (საქართველოში სამართლებრივი მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე), ალექსანდრა ჭავჭავაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მთამსვლელი, სპელეოლოგი.

* * *

საქართველოს კარსტს, კარსტულ წყლებს, მღვიმეებსა და გამოქვაბულებს დღეს წარმატებით იკვლევენ ქართველი გეოლოგები და გეოგრაფები, კარსტოლოგები და სპელეოლოგები, არქიტექტორები და ხელოვნებათმცოდნენი, პალეონტოლოგები და ბიოსპელეოლოგები: ელენე აბაშიძე, ილია აფხაზავა, ზურაბ აძინბა, ნინო ბერძენიშვილი, იოსებ ბუაჩიძე, ნიკოლოზ ბურჩაქ-აბრამოვიჩი, ჭემალ გაბეჩივა, ლეო გაბუნია, გივი გაფრინდაშვილი, ბორის გერგედავა, გივი გიგინეიშვილი, თელო გორგოლაძე, გურამ გრიგოლია, ომარ ერქომაიშვილი, ავთანდილ ვართავავა, აბესალომ ვეკუა, ლევ ვლადიმიროვი, ალიმ თვალთვაძე, დავით თუშაბრამიშვილი, კარლო კალანდაძე, თამაზ კიქნაძე, კარლო ლიფონავა, ლევან მარუაშვილი, კუკური მგელაძე, დავით მუსხელიშვილი, სიმონ ნემანიშვილი, კიაზმა რაქმაშვილი, დემურ ტაბიძე, ზურაბ ტინტალოზოვი, ქეთო ყავრიშვილი, შალვა ყიფიანი, გორგი ჩანგაშვილი, ნიკო ჩუბინაშვილი, გივი ჩხაიძე, კუკური წიქარიშვილი, ღურსუნ ხახუტაიშვილი.



ლი, რევაზ ჭანაშვილი, ჭიჭიკო ჭანელიძე, თრუქანული
ჟუმბურიძე და სხვანი.

* * *

საქართველოს მღვიმეთა და გამოქვაბულთა აღ-
მოჩენა-შესწავლაში, მღვიმეთა კეთილმოწყობითი
სამუშაოების განხორციელებაში, სპელეოლოგის
პოპულარიზაციაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მოყვა-
რულ სპელეოლოგებს: იური ავდალოვს, ტრისტან
ანთიძეს, თამაზ ბაქანიძეს, ენრიკო გერმესაშვილს,
გიორგი გვიმრაძეს, თამაზ გორდეზიანს, ანატოლი
გოფს, ნუგზარ ერქომაიშვილს, მინა იაკობაშვილს,
ჰენრიგ კავლელიშვილს, რევაზ კახიძეს, ოთარ კინ-
ტურაშვილს, შამილ კორძაძეს, ძმებს ავთანდილ,
ვაჟა და ლერი მაჩაიძეებს, ვახტანგ მიქელაძეს, რო-
ბერტ ნავერიანს, რომეო ორდენიძეს, რუდოლფ
რიუინაშვილს, თამაზ სიხარულიძეს, გივი სმირნის,
ვიანორ ფაჩულიას, ლადო ქალდანს, ვალერი ქაჯა-
იას, გივი ყალაბეგაშვილს, ლაშა ცისკარაშვილს,
რევაზ ხაზარაძეს, ჯუმბერ ხომასურიძეს და მრავალ
სხვას.

* * *

ქართული საბჭოთა სპელეოტურიზმი თავის სა-
თავეს იღებს 1925 წლის 2 აგვისტოდან, როდესაც
ქუთაისელმა მხარეთმცოდნებ და ბუნების დიდმა
ქომაგმა პეტრე ჭაბუკიანმა 6 ახალგაზრდასთან ერ-

თად შეაღწია სათაფლიის მღვიმეში. დიდია პეტრე რეანა
ჭაბუკიანის ლვაწლი სათაფლიის ნაქრძალას აუცხოება
ნაში, მღვიმისა და მის მიერვე აქ აღმოჩენილი და-
ნოზავრების ნაკვალევების პოპულარიზაციაში.
დღესაც 90 წლის მოხუცი თავდადებით ემსახუ-
რება შშობლიურ ბუნებას და ხალხს.

* * *

დიდი ფრანგი მწერალი დიუმა-მამა, თბილისი-
დან ვლადიკავკავში მოგზაურობის დროს თბილი-
სის მახლობლად დანახულ გამოქვაბულებზე წერს:
„...გზის ამ ნაწილზე ყველაზე დიდ ღირსშესანიშ-
ნაობას წარმოადგენს მრავალრიცხოვანი გამოქვა-
ბულები, რომელთაც ოთკუთხა ხვრელები აქვთ და
ვერავითარი კიბით ვერ მიუდგებით. მართალი გი-
თხრათ, ამ გამოქვაბულებმა ჩემში დიდი ინტერე-
სი გამოიწვია... ადამიანის ხელითაა ეს გამოქვაბუ-
ლები გამოთხრილი თუ ბუნებამ შექმნა ისინი?
ბუნება ალბათ ასე წესიერად ვერ გამოთხრიდა
მათ... ყველაზე სარწმუნოა, რომ ეს გამოქვაბულე-
ბი კავკასიაში მცხოვრებ პირველ ტომთა სადგომე-
ბი იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ მუხლი უნდა მო-
ვიყაროთ ამ პირველყოფილი არქიტექტურის წინა-
შე“.

ჯეიმს ოლდრიჯმა კი ასე გამოხატა თავისი აღ-
ფრთოვანება ვარძიის ხილვით: „დიდებულია, დი-
დებული თქვენი ვარძია. მე ბევრი ქვეყანა მინახავს,
მაგრამ ამისთანა საოცრებას არ შევხედრივარ.“

ნეტა რა ხელმა გამოკვეთა ეს გამოქვაბულები, თუ
ფუნქშა მოხატა ეს ფრესკები“.



* * *

„როდესაც ამბობენ, რომ მღვიმეები წარმოად-
გენენ მარადიული, თვალისფერის გაუვალი წყვდია-
ლის სამეფოს, მე მგონი ამ ჭეშმარიტებას არ სჭირ-
დება დამტკიცება“.

ნორბერ კასტერე

* * *

„მღვიმეთა კვლევებში ადგილი არა აქვა სენსა-
ციებს. მღვიმის გამოკვლევა იმდენად დიდი და კო-
ლექტიური სამუშაოა, რომ აქ შეუძლებელია ინ-
დივიდუალური „ვარსკვლავების“ გამოჩენა“.

უ ი ლ ი ა მ ჰ ი ლ ი დ ე ი

* * *

„მე მარტო ვარ, სრულიად მარტო! მარტოობა
შემაძრებულებელია, განსაკუთრებით, როცა მასზე
ფიქრობ. მაგრამ მარტოობა ყინულოვანი უფსერუ-
ლის სიღრმეში, სრულ სიბნელესა და აბსოლუტურ
სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ ნგრევის გრიალი
არღვევს — ნამდვილი ჭოჭოხეთია! და მაინც უნდა
გავძლო. თუ დავმარცხდები, — არა სჯობს ამაზე
არ ვიფიქრო... მე უკვე იმდენი ვიტანჯე, იმდენჯერ

ვიყავი ქვის ზვავების ქვეშ დაღუპვის პირას! უნდა
ბოლომდე მივიყვანო საქმე....“.

მ ი შ ე ლ ს ი ჭ უ ხ ი ბ ი რ ა რ ა ბ ი რ ა

„მღვიმეთა კვლევისას სპელეოლოგები ხშირად
ხვდებიან ისეთ სიძნელეებს, რომელთა დასაძლე-
ვად საჭიროა არა მარტო სულიერი და ფიზიკური
ძალების მთლიანად მოკრეფა, არამედ საზრიანო-
ბისა და მიხვედრილობის გამოჩენაც კლდეზე ცო-
ცვის ბაშუალებებისა და ხერხების აჩვევაშია“.

ლ ა ს ლ ო თ ა კ უ ჩ ი

„ბუნებრივ სილამაზეთა სიმდიდრე დემიანოვს-
კისა და სვიატოიანსკოეს ხეობების ზედაპირზე და
მიწის ქვეშ წარმოადგენს ბუნებისა და მისი სილა-
მაზის შეცნობის დაუშრეტელ წყაროს. მღვიმეებში
მოპოვებული მეცნიერული მასალა სპეციალური
დამუშავების შემდეგ გამოიინება „სლოვაკიის
კარსტისა“ და ლიპტოვსკი მიკულაშის მუზეუმებში,
საღაც მის ხალხი ათვალიერებს“.

ა ნ ტ ო ნ დ რ ი ვ ა

• • *

„მღვიმე-გამოქვაბულთა ზოგადი მიმოხილვაც
კი ნათელჲყოფს, თუ რა გამჭირიახობით, ოსტატუ-



რად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ბუნებრივ მოყვა-
რობებს ქვეყნის თავდაცვისათვის და რომელიც ადგილი მღვი-
დაცვის ორგანიზაციაში გარკვეული ადგილი მღვი-
მე-გამოქვაბულებს ეჭირათ, რომლებიც ჩვენი
ხალხის ნიჭით, ცოდნამ და დიდმა შრომისუნარია-
ნობამ სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოიყენა“.

კოტე ჯავრიშვილი

„რიონის დასავლეთით, მთის ძირს, არს ხომლის
კლდე, ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სი-
მაღლით, ხომლის ვარსკელავის სწორობით. ამ
კლდეში არის ქუაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შე-
უვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“.

ვახუშტი ბაგრატიონი

„თუ მაგალითად უფლისციხის შესანიშნავი ად-
რინდელი ქვაბების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქარ-
თველოს გაერთიანებამდე შიდა ქართლელებსაც
ძალიან კარგად სცოდნიათ ქვაბთა კვეთა, ოლონდ
კი სამისოდ მარჯვე კლდე ეშვენათ!...“

გიორგი ლომთათიძე

„გვიანი აშელით დათარილებული ძეგლები მი-
კვლეულ იქნა მდ. ჯეჯორისა და ყვირილას სათა-
ვებში. ესაა კუდაროს მღვიმეთა ჯგუფი სოფ. ჩასავალთან და წონას მღვიმე ერწოს ტბისა და
სოფ. წონას მახლობლად (ჯავის რ-ნი). ზღვის დო-
ნიდან ისინი საქმიოდ მაღალზე იმყოფებიან (კუ-
დარო — 1600 მ, წონა — 2100 მ) და მარაგთოვ-
ლიანი მთებისგან 15—20 კმ-ით არიან დაშორებულ-



ნი. შეიცავენ ოთხი სხვადასხვა დროის (აშელუჭარიანული მუსტიეს, ეპიპალეოლიტისა და ადრებრინგობა) დროების ძეგლებს. ჩანს, ისინი პირველყოფილი ადამიანის დროებითი საღომებია.... ამათი განსაკუთრებული მნიშვნელობა კიდევ იმაშია, რომ აშელით დათარიღებული ძეგლების ასეთ დიდ სიმაღლეზე (ზღვის დონიდან 2100 მ) აღმოჩენა პირველად დასტურდება არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც“.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე

* * *

„არაერთხელ თქმულა: „საქართველო თითქმის ერთადერთი ქვეყანაა, რომლის მღვიმურ ფონდში ბუნებრივი და ხელოვნური კომპონენტები ერთნაირად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ბუნებისმეტყველისა და გეოგრაფის გულთან უფრო ახლოსაა კარსტული მღვიმები, მაგრამ თუ ბუნებისმეტყველი ამავე დროს ქართველიც არის, მას არ შეუძლია გვერდზე გაუაროს ქარაფებში გამოკვეთილ, წინაპრების მტკიცე მარჯვენით შექმნილ ქვაბებს, რომლებიდანაც თითქოს ეს-ეს არის ახლაგამოიხედავს აბჯარასხმული მეომარი ან კალმოსანი ბერი....

ვისაც არ დაუთვალიერებია კლდეში გამოკვეთილი ქალაქ-მონასტრები: „ვარძია, ვანის ქვაბი, სამსარი, უფლისციხე და გარეჯა, მას წარმოიდვენა არ ექნება ქვაბთმშენებლობის მასშტაბებზე ძველ



საქართველოში და, მაშინადამე, ვერც ჩვენს სტუდენტი რიცხვი წარსულის ცოდნაზე განაცხადებს „ვერცენზიას“.

ლევან მარუაშვილი

* * *

„კარსტული მღვიმე, თავისი ნაწევეთი მორთულობების გარეშე, სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების გარეშე იქცევა მოსაწყენ, ნესტიან სარდაფად, ვრცელ მიწისქვეშეთად. აუცილებელია მკაცრად იკრძალოს მღვიმიდან ნაწევეთი წარმონაქმნების გამოტანა, რაც ბოლოს და ბოლოს მისი ბუნებრივი ფასეულობის გაძარცვამდე მიღის“.

ნიკოლოზ ბურჩაქაბრამოვიჩი

* * *

„დედამიწის ზურგზე ძნელად მოიძებნება ისეთი კუთხე, რომელიც საქართველოს მღვიმეებისა და უფსერულების სიმდიდრით შეეღრებოდეს. ამიტომაც ჩვენში მიწისქვეშა სამყაროს კვლევა სულ უფრო და უფრო ცხოველდება... ექნპედიციების მიერ მოპოვებული დიდძალი მასალა წარმოდგენას გვაძლევს გამოკვლეული მღვიმეების როგორც წარმოშობისა და განლაგების, ისე ისტარიამდელი ადამიანის ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე. მაგრამ გაწეული მუშაობა არ არის საკმარისი. დეტალურ კვლევას მოითხოვს



მღვიმეების მორტფოლოგიური და მიკრომეტეოსონონული
ლოგიური პირობები, მღვიმური ნაფენები, წყლე-
ბის ცირკულაციის თავისი გამოყენებანი მიწის ქვეშ,
ცხოველთა სამყარო, მინერალები და სხვ. ამ საკით-
ხების გაშუქებას აქვს როგორც თეორიული, ისე
პრაქტიკული მნიშვნელობა.

ეს მომავალი კვლევის საქმეა.

რამდენი გამარჯვება ელის არაბიკისა და ბზი-
ფის, ასხისა და ოხაჩქუს მიწისქვეშეთის კოლუმ-
ბებს, რამდენ საიდუმლოებას ინახავს ქართული
მიწის წიაღი!

მღვიმეები და უფსკრულები უხმობენ გაბედულ
მკვლევართა ლაშქარს“.

ზურაბ ტინტილოვი

* * *

„საქართველოს კარსტის მეცნიერული შესწავ-
ლის მზარდი აღმავლობის კვალდაკვალ და ამასთან
დაკავშირებით აღძრულ პრობლემებთან ერთად
ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი სამეცნიე-
რო-პოპულარიზატორული მუშაობა იქნა გაწეული.
ამ მუშაობის მიზანს შეადგენდა რესპუბლიკის ფარ-
თო მასებისათვის ცნობილი გაეხადა ამ დარგში ჩა-
ტარებული მუშაობა, აღეძრა მათი ინტერესი ამ მუ-
შაობისადმი და მიეღოთ სათანადო დახმარება რო-
გორც თანაგრძნობით, ისე უშუალო დახმარებით;
ამან ბევრ ახალგაზრდას გაუღვიძა სურვილი, რათა
მათაც მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს კარს-



ტის, განსაკუთრებით კარსტული მიწისქვეშა ფირჩმნები
მების აღმოჩენასა და დაპყრობაში“.

შალვა ყიფიანი

* * *

„გურამ თიკანაძე სულ ათიოდე წელი მოლვა-
წეობდა ალპინიზმისა და სპელეოლოგის სარჩი-
ელზე. მრავალ მწვერვალზე ავიდა კავკასიონსა და
პამირზე, ბევრი ზეკარი გადაიარა, დაუღალავად
იკალევდა საქართველოს მღვიმეებსა და გამოქვა-
ბულებს... გურამ თიკანაძის დაკარგვით საქართვე-
ლოს სპელეოლოგის გამოაკლდა ნიჭიერი და გა-
ტაცებული მკვლევარი, რომელიც კიდევ ბევრს
გააკეთებდა საქართველოს მღვიმეებისა და გამო-
ქვაბულების შესასწავლად“.

კოტე ჭავრიშვილი

* * *

აქ, მიუვალ ქვაბებში უნდა ვეძებოთ „ქართლის
ცხოვრების“ დაფანტული ფურცლები, მამა-პაპათა
სისხლით დაპურებული ხატ-სალოცავები და სა-
ბრძოლო დროშები“.

ლევან გოთუა

* * *

„ტობას II მღვიმე მდ. აბაშის აუზში და საერ-
თოდ ასხის კირქვეულ მასივზე ჭერჭერობით ყვე-

ლაშე დიდია... მღვიმე იწყება 10—12 მ სიგანისა
და 20—25 მ სიმაღლის დარბაზით. შესასვლელი უდაბნო თავა
20 მ შემდეგ მღვიმე გვირაბის ფორმას იღებს, 100
მეტრზე კი იგი მკვეთრად უხვევს სამხრეთ-დასავ-
ლეთი მიმართულებით და გადადის დარბაზში. აქე-
ლან მღვიმე აჩენს 550 მ სიგრძის რკალს, რომელიც
ბოლოს სამხრეთით იღებს მიმართულების და სი-
ფონური ტბით მთავრდება... მღვიმის ჭამური სი-
გრძე 1150 მ, ხოლო ძირითადი მაგისტრალის --
850 მ აღწევს“.

არსენ ოქროჭანაშვილი

* * *

„მღვიმეების თითქმის უცვლელ ეკოლოგიურ
გარემოში ბინადარ ცხოველთა გამოკვლევა დიდ
ინტერესს წარმოადგენს ბიოლოგიური მეცნიერე-
ბისათვის; მიღებულ მონაცემებს მნიშვნელობა
აქვს ისეთი რთული საკითხების გასაშუქრებლად,
როგორიცაა: გარემოს გავლენა ორგანოთა რე-
ლუქციაზე, ადაპტაცია, სახეობათა წარმოშობა და
სხვა“.

რევაზ ჭანაშვილი

* * *

„სპელეისტიკის ლაბორატორიის ძირითადი
კვლევითი ნაქმიანობა ვანის ქვაბთან ერთად მოი-
ცავს ვარძიის მონასტრის და გარეჯის უდაბნოს



ქეგლების შესწავლას, აგრეთვე საქართველოს ქუთხაუა-
თა სხვა კომპლექსების შესწავლას. ამ მიმართ ულე-
ბით კელევების გასაღრმავებლად საქართველოს კა-
ც და მინისტრთა საბჭოს ცნობილ დადგენილებებ-
ში დასახულია კონკრეტული ამოცანები, რომელ-
თა წარმატებით შესრულება მოითხოვს სამეცნიე-
რო კადრების მომზადებას და სპელეისტიკის
ლაბორატორიის გაფართოებას“.

გ ი ვ ი გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი

* * *

„ძნელადმისადგომი მღვიმეები — ღამურების,
მოაჭირის და დათვის შუა საუკუნეებში გამოიყენე-
ბოდნენ მახლობელი სოფლების თავშებაფრებად
მტრის შემოსევისას. ამაზე მეტყველებენ ქვის
კედლები, აგებული კირიან ხსნარზე კლდის საფე-
ხურზე, რომელიც აღნიშნულ მღვიმეებს აერთებს
უფსკრულის მხრიდან... და ქვევრების ნაშთები
თვით მღვიმეებში. ეს ქვევრები ამოთხრილი იყო
მღვიმეთა ფხვიერ ფსკერში და გამოიყენებოდნენ
სასმელი წყლის შესანახად საალყო მდგომარეობის
დროს“.

დ ი ვ ი თ თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

* * *

„შაორის ქვაბულის რაიონში (დასავლეთი სა-
ქართველო) ბევრი კარსტული ძაბრი და მღვიმეა.
106



ერთი მათგანი, საყინულე, ხასიათდება ყინულოვანია
ნი წარმონაქმნებით. ჩაღრმავებებში, სადაც ფარგლე-
პები გუბდება (როცა გარეთ ტემპერატურა 18°
იყო, მღვიმეში $3-4^{\circ}$ -ს არ აღემატებოდა) არის
საფარი ყინული და ყინულის სტალაგმიტები. ეს
ადგილები, სადაც ჰაერის ცირკულაცია არ შეიმჩ-
ნევა, ზაფხულობით მოქლებულია ყინულოვან წარ-
მონაქმნებს“.

კიაზო რაჭვიაშვილი

• • •

„ტობას მღვიმოვანი ურთიერთდაკავშირებულ
რთულ მიწისქვეშა სისტემას ქმნის, რომლის სავა-
რაუდო სიგრძე 15 კილომეტრს უნდა იღწევდეს.
ტობას მღვიმოვანიდან უგრძესია ოქროვანაშვილის
ელვიშე, რომლის ჯამური სიგრძე 1900 მეტრია. მღვი-
მე მდიდარია მრავალფეროვანი ნალვენთი ფორ-
მებით. სილამაზით გამოიჩინა „ნონას დარბაზი“,
„უნივერსიტეტი — 50“, „ნინას დარბაზი“, „სალო-
ნი“. მღვიმიდან გამოედინება მდინარე, რომელიც
ზედაპირზე 235-მეტრიან ჩანჩქერს წარმოშობს.
აქვე მდებარეობს ტობა — I მღვიმე, რომლის გა-
მოკვლეული სიგრძე 700 მეტრია. მღვიმიდან გა-
მოედინება მიწისქვეშა მდინარე. იგი ზედაპირზე
აჩენს მეტად ეფექტურ ჩანჩქერს, რომლის თავი-
სუფალი ვარდნა 67 მეტრია. აღსანიშნავია, რომ ამ
მღვიმეში შესასვლელიდან მე-80 მეტრზე გვხვდე-

ბა 21-მეტრიანი მიწისქვეშა ჩანჩქერი, რომელიც
კერჭერობით უდიდესია ჩვენს ქვეყანაში.. გიგანტურობა

ჭუმბერ ჭიშკარიანი

* * *

„კარსტული წყლების რაციონალური გამოყე-
ნების ძირითადი ასპექტებია: სასმელი წყალმომა-
რაგება, ჰიდროენერგეტიკა და სატბორე მეთევზე-
ობა... დაბალ და მცირედ რყევადი ტემპერატურის
მქონე უხვდებიტიანი კარსტული წყაროები, რომ-
ლებიც დაბალ ჰიდრომეტრულ ნიშნულებზე იჩენენ
თვეს, წარმატებით გამოიყენებიან სატბორე მეთევ-
ზეობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტური მი-
მართულების — მეკალმახეობის განვითარებისა-
თვის. ატმოსფეროსა და ზედაპირული წყლების რა-
დიოაქტიური ან ბაქტერიოლოგიური მოწამვლის
შემთხვევაში კარსტული წყაროები, რომლებიც მო-
წამლული ტერიტორიის ფარგლებს გარედან იქრე-
ბენ წყალს, სასმელი წყალმომარაგებისათვის სასი-
ცოცხლო ფუნქციებს იძენენ“.

გივი გიგინეიშვილი

* * *

„რიხვას კარსტული მასივის ზედაპირზე კარს-
ტული ფორმებით შეწოვილი ატმოსფერული ნა-
ლექები ზედაპირზე გამოსავალს პოულობენ მასი-
ვის სამხრეთ-დასავლურ, ციცაბო ფერდობის სხვა-

დასხეა სიმაღლეზე მძლავრი კარსტული ვოკლუზუ-
ბის სახით. ასეთი ვოკლუზები ბზიფის ხეობრივი მარტივია
ჭვენა ფერდობზე ჩვენ მიერ 7-მდე იქნა შენიშვნუ-
ლი და ყოველი მათგანის ხარჯი საშუალოდ 1—2 გვ.
უნდა იყოს წამში. დასახელებული ვოკლუზების
უმრავლესობა მდ. ბზიფის ყელის ფსკერიდან 800 —
1000 მ სიმაღლეზე მდებარეობს და ბზიფის ვიწრო,
კანიონისებური ხეობის მარჯვენა ფერდობზე თით-
ქმის. 1000 მ-ის სიმაღლის წარმტაც ჩანჩქერებს
წარმოშობს“.

დ ე მ უ რ ტ ა ბ ი ძ ე

* * *

„როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, მე საოცრად
ძლიერი ლტოლვა მქონდა იმ მეცნიერებისაკენ,
რომელსაც უწოდებენ მეცნიერებას ბუნების შესა-
ხებ. მე რალაც განსაკუთრებულად ამაღლებულს
ვხედავდი იმაში, რომ მცოდნოდა ყოველი მოვლე-
ნის მიზეზი — რატომ იბადება ეს თუ ის, რატომ
იღუპება და რისთვის არსებობს“.

პ ლ ა ტ ო ნ ი

შ ი ნ ა რ ს ი

სეილეოლოგია — მღვდელთა მონაცემებია	3
მღვდელი და არძოოლოგია	10
კაცობრივის ხილოვანების გარემონაზე	20
მღვდელი-გამოქვაბულები, ლიგინები, პომტები, მხატვრები და მუსიკოსები	36
მღვდელის სალანდ სამსახურები	52
შემუშავების უნიტ უთამომავლობას	64
ფირად-ფირადი	73

რედაქტორი ე. ტრიპოლსკაია
მხატვარი თ. გორგალევიჩი
მხატვებული რედაქტორი ლ. ღვინჯიშვილია
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ე. უვანია
გამომუშები დ. იაშანიძე

გადაეცა წარმოებას 16/VIII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
31/X-79 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1; 70X901/32; შრიფტი
ენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 4,09 +
+ ჩაკვრა 0,59. სააღრიცხვო-საგამოშემლო თაბაზი 3,96.
უ 06020. ტირაჟი 2500. შეკვ. № 811.
ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, მარგანიშვილის 5

საქართველოს სსრ გამსახურმის თბილისის № 4 სტამბა
380060, მედქალაქის II კორპ.
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.
Тбилисская типография № 4 Госкомиздата



ТАМАЗ ЗАХАРЬЕВИЧ КИКНАДЗЕ

ПЕЩЕРЫ И ЧЕЛОВЕЧЕСТВО

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1979

